გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
შაბათი, 6 აგვისტო, 2005 წელი.
№185-186 (5216-5217)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. **ფასი 50 თეთრი.**

წინასწარი არჩევნები
(PRIMA
Marriott

ოპოზიცია შეიკრა?

პატარა ხელმოწერა დიდი ეროვნული გაერთიანებისკენ

იხ. მე-2 გვ.

„ისე არ წვიმს, როგორც ქუხს“

საერთო მოხმარების მრიცხველები – დროებითი ლონისძიება

თუ ვინმეს არ მოსწონს საერთო მოხმარების მრიცხველით ანგარიშსწორება, საკითხი შეუძლია მარტივად გადაჭრას – დაამონტაჟოს ინდივიდუალური მრიცხველი და ყველა პრობლემა მაშინვე მოიხსნება.

იხ. მე-2 გვ.

◉ პანორამა

ავსტრიის ქალაქ ვილაჰში დაიჭირეს თაგვი, რომელიც ფულს იპარავდა მაღაზიის სალაროდან. გამყიდველმა დააყენა სათვალთვალო კამერა სალაროსთან მას შემდეგ, რაც დაიკარგა 50-ევროიანი ორი ბანკნოტი. ფირზე მღრღნელი გადაიღეს „დანაშაულის“ ჩადენის მომენტში. როგორც გაირკვა, ბანკნოტებს თაგვი იყენებდა სოროს მშენებლობისთვის.

* * *

ესპანეთში „გრილის“ ქათმებით მასობრივად მოიწამლნენ ადამიანები: ერთი პენსიონერი დაიღუპა, 1200 კაცი კი დაავადდა. სალმონელოზით დაავადების შემთხვევები დაფიქსირდა პრაქტიკულად მთელ ქვეყანაში – ყველა დაავადებული მოიწამლა „სადას“ კომპანიის პროდუქციით, რომელიც ქალაქების მურსიისა და ტოლედოს საწარმოებში დაამზადეს.

* * *

ახალი ზელანდიის ტყეებში საკვების უკმარისობის გამო გარეული მტრედები მიაწყდნენ ქალაქს, სადაც ჭამენ გუავის დამაჭრებულ კენკრას. ამის შედეგად ფრინველები თვრებიან, ვეღარ იმაგრებენ ხეებზე თავს და მიწაზე ვარდებიან. ორნითოლოგებს ხეებიდან ჩამოვარდნილი მტრედები სპეციალურ კლინიკებში მიჰყავთ, რადგან, ქუჩებში, ისინი, შეიძლება ძაღლების და კატების საკბილო გახდნენ.

* * *

„ევროსამეულმა“ ირანს გადასცა ამ ქვეყნის ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებისთვის გამიზნულ წინადადებათა პაკეტი. ამ ბოლო დღეებში ირანი აცხადებდა, რომ მზად იყო განეახლებინა ურანის გამდიდრება. ევროკავშირი ასეთ ნაბიჯს მიიჩნევს როგორც ურანის გამდიდრების სფეროში სამუშაოთა განხორციელებაზე დადებული მორატორიუმიდან გამოსვლას. ამის გამო, ირანს საერთაშორისო სანქციები დაემუქრება. „ევროსამეულის“ მიერ მომზადებულ წინადადებათა პაკეტი შეიძლება განვიხილოთ როგორც კრიზისის მოგვარების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი.

თავის ქალა – მხსნელად?!

მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა — დმანისში



გუშინ ქართველმა არქეოლოგებმა დმანისში კიდევ ერთი ადამიანის თავის ქალა აღმოაჩინეს, რომელიც 1 მილიონ 800 ათას წელიწადს ითვლის.

დღეს, როცა ქართულ მეცნიერებას ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე ეჭვის თვალით უყურებს, იქნებ სწორედ ჩვენდა საბედნიეროდ ნაპოვნმა ამ თავის ქალამ დაადგას თავი ქართული მეცნიერების გადარჩენის პროცესს.

როგორ გადავარჩინოთ ქვეყნის ინტელექტი?

ყოველმხრივ ვუჭერთ მხარს აკადემიის ფართომასშტაბიან გარდაქმნას, ოღონდ გააზრებულს და მიზანდასახულს

იხ. მე-4 გვ.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ანზანთქება

„პანაწინა ქართველივით ხელში ასაყვანი ხარ“

მოყვრისათვის დილის მზე ხარ, მტრისთვის შავი ღამე ხარ, საქართველოს გაუმარჯოს, — ნატყვიარს და ნამეხარს!

იხ. მე-4 გვ.

რომც ჩამქოლონ, მაინც ჩავალ სამეგრელოში,

— ამბობს „წინ საქართველოს“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი

გეხსომებათ, ალბათ, ქობალიას და აბსანძის ციხიდან გაქცევა. მაშინ დღევანდელი პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობაში ფრაქციის ხელმძღვანელი იყო და მთელი პარლამენტი მას მიჰყავდა. გაქცევით დანაშაული ჩაიდინეს და ამის გამო იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მოხსნილი მინისტრის ადგილზე მოვიდა სააკაშვილი. ე. ი. ქობალიას ციხიდან გაქცევის გამო იგი იუსტიციის მინისტრი გახდა. თუ ესენი კარგი ხალხი იყვნენ, მაშინ სადმე ეთქვა სააკაშვილს, რომ აბსანძე და ქობალია არასწორად ჩასვეს ციხეშიო. ახლა იმასაც ვეჭვობ, ამ გაქცევით ყველაზე მეტად ვინც ისარგებლა, სწორედ სააკაშვილია.

იხ. მე-3 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილი აცხადებს, რომ მზადაა კომპრომისისთვის

საქართველომ მიიღო დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოთქმული ეს წინადადებები თუ დაედება საფუძვლად მხარეთა პოზიციების დაახლოებას? თუ არიან მზად მხარეები იმისთვის, რომ განიხილონ ეს ინიციატივები და დასაბამი მისცენ ვითარების მოწესრიგების ახალ ეტაპს?

ამ ინიციატივების არსისა და შინაარსის შესახებ „ნოვაია გაზეტას“ კორესპონდენტს ანა შამბუროვას ესაუბრა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული თეიმურაზ გამცემლიძე.

— ვინ მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების გეგმის შემუშავებაში?

— ეს საქართველოს მთავრობის ინიციატივაა.

— არ გაგითვალისწინებიათ დასავლეთის პოზიციები და მოსკოვის აზრი?

— მთლად ასე არ არის. ბათუმში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ გამოთქმულ წინადადებებს. საქართველოს პრეზიდენტმა ეს წინადადებები ჩამოაყალიბა 2004 წლის 21 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე და 26 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე.

იხ. მე-2 გვ.

ღარიბი კაცის ულუფა

რაც რიგითმა ეკონომისტმა იცის, ხელისუფალმა არ იცის?



როცა ქვეყანაში უმუშევართა რიგები და, შესაბამისად, სიღატაკე ყოველდღიურად იზრდება (ეს საშიშროება ადრე მრავალი დარგის მუშაკებს ხომ შეეხოთ და რეფორმის წყალობით ახლა უამრავ პროფესორ-მასწავლებელსაც ემუქრება), კორუფცია და კონტრაბანდა უკან კი არ იხევს, პირიქით, კლერკთა ბალახივით იბორჯღება. რაც არ უნდა უარყოთ, ბატონებო, სათავეში მსხდომმა ჩინოსნებმა, იმ თუთაშხიასი არ იყოს, ასეა ეს.

იხ. მე-2 გვ.

თუ ვინ ძერწავდა „მწუხარე საქართველოს“

ფაქტობრივად კი ილიას საფლავის ძეგლი „მწუხარე საქართველო“ არა ქარხანაში, არამედ პარიზიდან არცთუ ისე შორს, მედონში, ოგიუსტ როდენის სახელოსნოში ჩამოასხეს თავად იაკობ ნიკოლაძემ და ფრანგი მაესტროს მეგობარმა, ჩამომსხმელმა მილემ.

იხ. მე-7-8 გვ.

სიღატაკის ზღვარს მიღმა...

გუშინწინ წყალტუბოში, სასტუმროებში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა ეწვია. მან დაათვალიერა უცხოელ დონორთა მიერ შესრულებული აღდგენითი სამუშაოები, სანატორიუმების შენობებს რომ ჩაუტარდათ.

დევნილებმა მინისტრს თავიანთი პრობლემები შესჩივლეს. მდგომარეობა მეტად რთულია. წყალტუბოში ამ შეხვედრებზე იმყოფებოდა ჩვენი კორესპონდენტი. ამის შესახებ უფრო ვრცლად მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.

◉ ინფორმაცია

მხარს შვედეთიც გვიჭერს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შვედეთიდან სამშობლოში გუშინ გამთენიისას დაბრუნდა. იგი შვედეთში ტალბეგის საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოვიდა და საზოგადოებას, პოლიტიკოსებსა და ამერიკის სენატორებს საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, ასევე ვარდების რევოლუციის დეტალებზე ესაუბრა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, რევოლუციის შემდეგ საქართველოში არაერთი რეფორმა იყო წარმატებული. ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის კი საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერაა აუცილებელი.

საქართველოს პრეზიდენტი შვედეთის პრემიერ-მინისტრს იორან პერსონს შეხვდა. შვედეთის მთავრობის ხელმძღვანელობამ ქართულ მხარეს ევროკომისიაში გაწევრიანების გზაზე სრული მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა.

ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოპოზიციასთან სათანამშრომლოდ არის განწყობილი და აცხადებს, რომ აქტიური, ჯანსაღი და კონსტრუქციული ოპოზიციის არსებობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნული კომენტარი ოპოზიციის მიერ პრაიმერთან დაკავშირებით შეთანხმების ოფიციალურად გაფორმების შესახებ გააკეთა.

— მე მხოლოდ მივესალმები, თუ ოპოზიცია იქნება ძლიერი და კონსტრუქციული. კონსტრუქციულობა აუცილებელია იმისათვის, რომ მე და ჩემი კოლეგები პატივისცემით ვიყოთ განმსჭვალულები განსხვავებული აზრის მიმართ, — აღნიშნა ბურჯანაძემ, თუმცა პრაიმერის შედეგებთან დაკავშირებით წინასწარი შეფასებისგან თავი შეიკავა.

ბავშვები დაუდგენელი ვირუსით დაავადდნენ

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში მდინარე ჯუმში ბანაობის შემდეგ შვიდი ბავშვი ჯერჯერობით დაუდგენელი ვირუსით დაავადდა.

როგორც 14 წლის გრიგოლ თოდუა აცხადებს, მდინარეში ბანაობიდან სამი დღის შემდეგ მან და მისმა მეგობრებმა ერთნაირი სიმპტომებით შეუძლოდ იგრძნეს თავი.

მათ თავბრუსხვევა და მაღალი ტემპერატურა აღენიშნათ, თუმცა სამი დღის შემდეგ შედარებით უკეთ იგრძნეს თავი და სამკურნალო დაწესებულებას არ მიაკითხეს.

მოგვიანებით, გრიგოლ თოდუას მშობლები იძულებულნი გახდნენ, რომ მოზარდი საავადმყოფოში მიეყვანათ, სადაც მათ განუცხადეს, რომ ბავშვს სტაციონარული მკურნალობა ესაჭიროება. ექიმის თქმით, ავადმყოფს მთელ ტანზე გამონაყარი აქვს.

როგორც გრიგოლ თოდუას მშობლები აცხადებენ, შესაძლოა დაავადება მდინარის დაბინძურებამ გამოიწვია, რომელშიც, მათი თქმით, რუსეთის სამშვიდობო ძალების საგუშაგოს მიუძღვის ბრალი. საგუშაგო მდინარიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით მდებარეობს. ადგილობრივი მაცხოვრებლები არ გამორიცხავენ, რომ იქ შესაძლოა ინახებოდეს რადიოაქტიური აპარატურა, რომელიც მდინარის დაბინძურებას იწვევს.

თუმცა, ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი ვალერი ჯაფარიძე აცხადებს, რომ სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები პოსტებზე არანაირ რადიაციულ აპარატურას არ ინახავენ და რომელიმე რადიაციული ნივთიერებით მდინარის დაბინძურება ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნია.

ინტერპრესნიუსი

ცუჩებით მკითხველი,

ყრუ მოგონას ლააპარაკი ასწავლეს

ამჟამად ორივენი შესანიშნავად სწავლობენ მუსიკალურ სკოლაში ფლეიტის კლასში, ეუფლებიან უცხო ენებს. დაშა მშვენივრად ხატავს, გალია კი ლექსებს წერს.

გულსატკენი მარტო ის არის, რომ ზოგჯერ ეს ოჯახი აგრესიულ შურს აწყდება. ზოგი ადამიანის ბოროტი გამოხდომები იმის აბსურდულ მტკიცებას ემყარება, რომ თითქოს არ შეიძლება ყრუ მშობლებს ჯანმრთელი და წარმატებული შვილები ჰყავდეთ. ეს არ არის მართალი.

იხ. მე-10-11 გვ.

◎ ოპოზიცია შეიკრა?

პატარა ხელმოწერა დიდი ეროვნული გაერთიანებისკენ

ამდენი ხნის ნატვრა ასრულდა, ოპოზიციამ საერთო ენა მონახა. ამჯერად ოთხი პარტია — „მემარჯვენეები“, „კონსერვატორები“, „ლეიბორისტები“ და „თავისუფლება“ სადღეისოდ მნიშვნელოვან საკითხთან — შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გაერთიანდა. წინასწარი არჩევნების ჩატარებაზე ხანგრძლივი კონსულტაციები წარმატებით დასრულდა, საბოლოოდ შეთანხმდნენ და გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებას ხელიც მოაწერეს. ხაზგასმით ისიც აღნიშნეს, რომ შეთანხმება არ გულისხმობს მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ მომავალში საარჩევნო ბლოკის შექმნის ვალდებულებას.

გაერთიანების იდეა კონსერვატორებისგან წამოვიდა. ამ ოთხი პარტიის გარდა თანამშრომლობა რესპუბლიკელებსაც შესთავაზეს, თუმცა, მათთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. ისინი შუალედურ არჩევნებს საერთოდ გამოეთიშნენ. დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ რესპუბლიკელების უარის მიუხედავად ისინი მჭიდრო თანამშრომლობას კვლავ გააგრძელებენ და შუალედური არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებასაც მოახერხებენ. რაც შეეხება რესპუბლიკელების განცხადებას, რომ ისინი მოემზადებიან 2006 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის და იმ პერიოდში მათი პარტია იქნება ერთადერთი ალტერნატივა ხელისუფლებისა, შალვა ნათელაშვილი აცხადებს: — ყველა ნორმალურ პარტიას საკუთარ თავზე შესანიშნავი წარმოდგენა აქვს, ეს მსოფლიო მოვლენაა და გამონაკლისს არც რესპუბლიკელები წარმოადგენენო.

ახალ გაერთიანებას ყველა პარტიის თავმჯდომარე საკუთარ მიზნებს და იმედებს მიაწერს. კობა დავითაშვილის თქმით, ეს გაერთიანება გახდება კარგი საფუძველი ნამდვილი დემოკრატიული არჩევნების სისტემის დამკვიდრებისთვის, რომელსაც დღეს ყველანაირად ხელს უშლის ხელისუფლება. შეეცდებიან ხელისუფლებას და საზოგადოებას წინასწარი არჩევნებით უჩვენონ მაგალითი პოლიტიკური პარტიების თანამშრომლობისა, რომლებიც ინარჩუნებენ საკუთარ პოლიტიკურ პროგრამასა და პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ თანხმდებიან ურთიერთობის წესებზე, ეთიკაზე. ქართულ პოლიტიკაში ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია. „მემარჯვენეები“ კი ამ გაერთიანებით ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ ძალადობას, უწესობას, დემოკრატიული ფორმით ბრძოლას დაუპირისპირებენ და მის შეცვლას მშვიდობიანი არჩევნების გზით მოახერხებენ. ლეიბორისტთა ლიდერის შალვა ნათელაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე კი გუშინდელი დღე, როგორც თავად ამბობს, ერთ-ერთი სასიამოვნო იყო, — ოპოზიციურმა ძალებმა თანამშრომლობის წერტილი მონახეს. მისთვის გაერთიანების მიზანი ქართველი ხალხისთვის ოცნების ასრულებაა. სააკაშვილის ხელისუფლებას საზოგადოება მალე ბორკილებში ნახავს. ამით თავიდან ავიცილებთ იმ საშიშროებას, რომელსაც, მისი თქმით, ხელისუფლება ხალხს უმზადებს:

— ის გაჭირვება, ქაოსი, სიღატაკე, ადამიანის უფლებების შელახვა ჩვენ არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ კომენტატორის როლში აღმოვჩნდეთ, — აცხადებს ნათელაშვილი.

პარტია „თავისუფლების“ წარმომადგენლის სოსო ბარათაშვილის თქმით, ეს პარტია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონკრეტული პარტია, როგორც არ უნდა ეცადოს იგი, სადღეისო სიტუაციაში ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევს. ამიტომ საჭიროა კოორდინაცია, მათი გაერთიანებაც აქედან გამომდინარეობს.

წინასწარ არჩევნებში კონსერვატორებს ოთხი კანდიდატი ეყოლებათ: ისნის რაიონში — მერაბ კაჭახიძე; ბათუმში — ჯუმბერ თავართქილაძე; ქობულეთში — ჯიმშერ ჯინჭარაძე; ტყიბულში — შალვა გაბრიაძე. კონსერვატორებს მემარჯვენეები სამ რაიონში გაუწევენ ოპონირებას: ისანში — გიორგი მოსიძე; ტყიბულში — ნინო ქვარიანი და შუახევში — ედვარდ ნიჟარაძე. ბათუმსა და შუახევში საკუთარ ძალებს პოლიტიკური პარტიის „თავისუფლების“ ჯერ უცნობი სახეები მოსინჯავენ. მათი ვინაობა მომავალ კვირას დასახელდება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „ლეიბორისტები“ კანდიდატებს არ ასახელებენ, ოპოზიციასთან მათი თანამშრომლობის მთავარი მიზანი ამ ხელისუფლებისგან ქვეყნის გათავისუფლებაა. მათი პარტიიდან პარლამენტში ერთი ან ორი დეპუტატის შესვლაში ისინი აზრს ვერ ხედავენ, რადგან ეს ძალთა ბალანსს პარლამენტში არ შეცვლის.

ოპოზიციურმა პარტიებმა ისიც იციან, რომ ხელისუფლება არჩევნებს ობიექტურად არ ჩაატარებს. ისინი მოსახლეობას მოუწოდებენ გააქტიურებისკენ, რათა ნაკლები შანსი დარჩეს ხმების გასაყალბებლად. დავით გამყრელიძე ფიქრობს, რომ ხელისუფლება აამოქმედებს ყველა იმ მეთოდს, რომელიც, თავის დროზე, მოქალაქეთა კავშირმა დანერგა. არ გამორიცხავს, რომ შეიძლება ყველაფერი უფრო რთულ ფორმებში მოხდეს. იგი ბოლო,, იმედის“, — სასამართლოს შესახებაც საუბრობს და აცხადებს, რომ ხელისუფლებისგან ტყიბულში კენჭს იყრის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის — კოტე კუბლაშვილის ძმა. მას, საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების იმედიც აღარა აქვს.

მიუხედავად ამისა, ოპოზიცია ფარხმალს არ ყრის. იგი შეეცდება არ დაუშვას ძალადობა, მასობრივი გაყალბება... ამ ფონზე კი გამარჯვებაც შეიძლება.

ლელა ხვადაგიანი

◎ საინფორმაციო ომი

ანტიქართული ძალების მეორე ცდა?

საქართველოს ერთიანობას „ქართული ბედოვლათობით“ შემოდგომაზე, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალური ლობის“ ხელმძღვანელმა გიორგი ანდრიაძემ განუცხადა. ანდრიაძის თქმით, საქართველოს პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე ევროკავშირის მორიგ კონვენციას შეუერთდება და ეს, ერთი შეხედვით რიგითი მოვლენა, შესაძლოა, ქართველი ერის და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისთვის მეტად საშიში აღმოჩნდეს.

„აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს მცირე ენების დაცვის სამართლებრივ დოკუმენტს და თუ საქართველო ამ კონვენციას შესაბამისი დათქმის გარეშე შეუერთდება, მრავალსაუკუნოვანი ერთიანი ქართველი ერი ევროსამართლებრივი სივრცისთვის მცირე ენების და (სამართლებრივად მცირე ეთნოსების (მეგრელი, სვანი, ლაზიძ კონგლომერაციად გაფორმდება“, — განაცხადა ანდრიაძემ. მისი თქმით, ეს პროცესი საეჭვოდ ემთხვევა მეგრულ და სვანურ ენებზე ბიბლიის თარგმნის შესახებ ბოლო პერიოდში გავრცელებულ ინფორმაციას, რასაც, ანდრიაძის თქმით, სახალხო დამცველი ლობირებს.

“ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის დამქაშებმა მეგრული კარტის გათამაშება სცადეს და წირვა-ლოცვა მეგრულად თარგმნეს. წირვას ჩატარება“. საბედნიეროდ, ერთხელაც ვერ ეღირსა. საზეიმოდ დაწყებული პირველი მეგრული წირვა მოსახლეობის წყევლა-კრულვის ფონზე ჩაიშალა. იმპერიის მსახურნი შერცხვენილნი გაიძურწნენ საქართველოდან. თუმცა, მათ თავისი ბოროტი განზრახვისათვის თავი არასდროს დაუნებებიათ.

„ნაციონალური ლობის“ ლიდერი მიიჩნევს, რომ ანტიქართული ძალები თავის მორიგ რაუნდზე წავიდნენ. „სამწუხაროდ, ისინი ამჯერად მარტონი აღარ იქნებიან და მათ გვერდით შეიძლება ვიხილოთ ჩვენი ქვეყნის ფსევდო-ლიბერალები და მეცნიერთა ერთი ჯგუფის წარმომადგენლები. ასევე, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, საინფორმაციო ომის შედეგად მოტყუებული ენობრივი უმცირესობების უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო სამართლებრივი სივრცისთვის ენის მცნება შეესაბამება ეთნოსის მცნებას და მის დაცვასა და განვითარებას გულისხმობს, ამიტომ კონვენცია ფარატინა ქაღალდი არ იქნება და თავის პრაქტიკულ შედეგებს გამოიღებს“, - განაცხადა ანდრიაძემ.

„ნაციონალური ლობი“ მიმართავს პარლამენტის ყველა წევრს, გულდასმით შეისწავლოთ აღნიშნული კონცეფცია და მას მხოლოდ დათქმის შემდეგ შეუერთდნენ.

ინტერპრესნიუსი

◎ კონტრაბანდა

ღარიბი კაცის ულუფა

რაც რიგითმა ეკონომისტმა იცის, ხელისუფალმა არ იცის?

— არა, ძმაო, ამ ბოლო დროს სიგარეტის ყიდვა ძალიან მიჭირს, — მეუბნება მეგობარი, — შენ რას ეწევი?

— ადრე „მალბოროს“ ვეწეოდი, შემდეგ — „ვინსტონს“, ახლა „მმ“-ზე გადავედი.

— რა ღირს ეგ შენი „მმ“-ი?

— ადრე ლარად ვყიდულობდი, ახლა ორ ლარს ვაძლევ.

— ძვირია, ორლარიანი სიგარეტი რომ ვეწიო, მაშინ საჭმელი აღარ უნდა ვჭამო.

— აბა, რას ეწევი? — დავინტერესდი.

— რუსულ „ალიანსს“ ან „იავას“ — ორივე ლარი ღირს.

— ეგ კარგი მითხარი, მეც მაგაზე გადავალ, მაგრამ კონტრაბანდული ხომ არ არის?

— რა თქმა უნდა, მაგიტომ ღირს იაფი, რომ კონტრაბანდაა.

— მერე იშოვება? ჩვენთან ხომ კონტრაბანდას სასტიკად ებრძვიან!

— კარგია, რომ ებრძვიან, ამიტომაც მომრავლდა უაქციზო სიგარეტი.

— გემო მაინცა აქვს?

— თამბაქოსი? არა, უფრო ბალახის გემო გაჰკრავს, მაგრამ რა უჭირს.

— რას ამბობ, თუ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბალახს მაინც ურევენ, მაგას რა სჯობს.


კონტრაბანდა დავამარცხეთ!

მსგავს საუბრებს ახლა ხშირად მოისმენთ ქალაქის ქუჩებში. ტელევიზიიდან კი ხელისუფალნი და სამართალდამცველები დაბეჯითებით გვიმტკიცებენ — კონტრაბანდასთან ისეთი ხელჩართული ომია გაჩაღებული, მალე საქართველოში მისგან ბუნდღაც აღარ დარჩებაო.

დავიჯეროთ? ასეთი მუქარა კარგახანია გვესმის, მაგრამ კონტრაბანდა, რომლითაც ბაზრები და ქუჩები სავსეა, რატომღაც გული არხეინად გამოიყურება. რისი იმედი აქვს, ვერ გავიგე. მით უფრო, რომ ამ ორი დღის წინათ მთავრობის სხდომაზე ბატონმა ზურაბ ნოღაიდელმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა — თამბაქოს კონტრაბანდის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ღონისძიებებს ვახორციელებთო. ისიც დაუმატა — უაქციზო თამბაქოს პროდუქციის გაყიდვისთვის ჯარიმები თითქმის 100-ჯერ გაიზარდაო.

ეს ლიტონი სიტყვები არ გეგონოთ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (მუხლი 155^2) უკვე შევიდა ცვლილება, სადაც სიტყვა-სიტყვით ჩაწერილია:

„1. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა, თუ საქონლის ღირებულება არ აღემატება 200 ლარს — გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, თუ საქონლის ღირებულება აღემატება 200 ლარს, ან ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი — გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო თუ საქმის გარემოებათა მიხედვით, დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, ამ ზომის გამოყენება საკმარისად არ ჩაითვლება — ადმინისტრაციულ პატიმრობას, ვადით 30 დღემდე, სამართალდარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მოწოდების საშუალებების კონფისკაციით ან უამისოდ.“

დამერწმუნებით, საკმაოდ მკაცრი სანქციებია. მეტი რა უნდა ქნას ხელისუფლებამ — ვინც კონტრაბანდული სიგარეტით „მამაძაღლობას“ არ მოეშვება, დააჯარიმებენ, სიგარეტსა და ტრანსპორტს ჩამოართმევენ, საჭიროების შემთხვევაში დააპატიმრებენ კიდეც. ჰოდა, კონტრაბანდაც მოისპობა და ბიუჯეტიც მოსულიერდება.

ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ ზევით — აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც და პარლამენტშიც, სადაც კანონებს სულ უფრო და უფრო ამკაცრებენ. რეალობა კი უცვლელი რჩება — კონტრაბანდა და უაქციზო სიგარეტით ვაჭრობა (ეს მარტო სიგარეტს არ ეხება) კლების ნაცვლად ახლად გამოჩეკილი წიწილებივით მრავლდება.

წიწილების როლში კი, მოგეხსენებათ, ხშირად ის ადამიანები არიან, რომლებსაც ამ ცხოვრებაში სხვა გამოსავალი არ დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ ესა თუ ის პროდუქტი (თუნდაც ის კონტრაბანდული იყოს), „აქ იყიდონ, იქ გაყიდონ“ და თავი როგორმე ირჩინონ. კონტრაბანდა მათთვის ის ულუფაა, რომლითაც არსებობა უნდა შეინარჩუნონ.

ასეთ ულუფაზე ზოგჯერ (ვითომ ზოგჯერ?!) თვით სამართალდამცველებიც არ ამბობენ უარს. ამას წინათ ჩვენს გაზეთშიც დაისტამბა ასეთი ფაქტი. ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ ზნაურის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთი შემოვლითი გზით ოსეთიდან მომავალი „ზილის“ მარკის სატვირთო ავტომანქანა დააკავა. იგი დაახლოებით 7 ტონა სპირტით იყო დატვირთული, რომელსაც პოლიციის კაპიტანი ვეფხია კაპანაძე და პოლიციის ლეიტენანტი მალხაზ შუბითიძე „ჯიპის“ ტიპის ავტომანქანით მიაცილებდნენ. თვით ავტომანქანას ვინმე გია წიბნაძე მართავდა. ფინანსურმა პოლიციამ სამივე კანონდამრღვევი დააკავა.

უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ მაინც ფაქტია და, გინდა თუ არ გინდა, დამაფიქრებელი რეალობისკენ მიგახედებს. ფინანსური პოლიცია ერთი შეხედვით თითქოს არავის ინდობს, „წიწილებთან“ ერთად იჭერს „ყვინჩილა“ კოლეგებსაც, საპატიმროები გაივსო ასეთი „ნადავლით“, მაგრამ რეალობა არა და არ იცვლება — კონტრაბანდა კვლავ ახალ-ახალ იერიშებზე გადმოდის.

რა უნდა ვქნათ? ბოლოს და ბოლოს კონტრაბანდას ხომ არ შევაჭმევინებთ ვარდების რევოლუციით ძლივს მოპოვებულ თავისუფალ და ევროსტრუქტურებთან ინტეგრირებულ და ახალი ინტეგრაციისთვის გამზადებულ დემოკრატიულ ქვეყანას?

ამის თაობაზე ალბათ უპირველესად თავად რევოლუციის შემოქმედნი უნდა დაფიქრდნენ. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლება მარტო გადასახადების ამოღების ადმინისტრირების გამკაცრებასა და ხალხის დაჭერაზე კი არა, უპირველესად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზე ზრუნავს. იქ, სადაც ეკონომიკა მუშაობს, კონტრაბანდას საკეთებელი თითქმის აღარაფერი რჩება. ეს მარტივი ჭეშმარიტება იცის ყოველმა რიგითმა ეკონომისტმა და არ იცის ხელისუფლებამ. ყოველ შემთხვევაში, მისი მოქმედებიდან სხვა დასკვნას ვერ გამოიტან.

როცა ქვეყანაში უმუშევართა რიგები და, შესაბამისად, სიღატაკე ყოველდღიურად იზრდება (ეს საშიშროება ადრე მრავალი დარგის მუშაკებს ხომ შეეხოთ და რეფორმის წყალობით ახლა უამრავ პროფესორ-მასწავლებელსაც ემუქრება), კორუფცია და კონტრაბანდა უკან კი არ იხევს, პირიქით, კლერტა ბალახივით იბორჯღება. რაც არ უნდა უარყოთ, ბატონებო, სათავეში მსხდომმა ჩინოსნებმა, იმ თუთაშხიასი არ იყოს, ასეა ეს!

ოთარ ხუციშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილი აცხადებს, რომ მზადაა კომპრომისისთვის

(პირველი გვერდიდან)

— ევროპამ მხარი დაგიჭირათ, მაგრამ როგორ ეკიდებიან ამ წინადადებებს ქართველები? ხომ არ ფიქრობთ, რომ 16-წლიანი დაპირისპირების შემდეგ სამხრეთ ოსეთის ოლქისთვის ავტონომიის მიცემა პოზიციების დათმობას ნიშნავს?

— საქართველოს მთავრობის ინიციატივა ითვალისწინებს აბსოლუტურად ახლებურ მიდგომას კონფლიქტის მოგვარებისადმი. ჩვენ კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს ვთავაზობთ ისეთივე უფლებებსა და პირობებს, როგორითაც სარგებლობენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შეიქმნას თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკის განვითარებას.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ავტონომიის მინიჭება, ეს სრულიად ახლებური მიდგომაა. მაგრამ ავტონომია ხომ უკვე არსებობდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში და მაშინაც კი, გამსახურდიას რეჟიმის დროს, თავი იჩინა დაპირისპირებამ. ღირს კი დიდი იმედების დამყარება ამ ინიციატივაზე?

— მე საკითხს სხვა კუთხით შევხედავდი. ეს არის პრობლემის მოგვარების ერთადერთი სწორი გზა. საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში ოსებს არ ჰქონდათ ისეთი ფართო უფლებები, რომლებსაც დღეს ვთავაზობთ. რა თქმა უნდა, ეს კომპრომისული გადაწყვეტილებაა. მაგრამ, კომპრომისის გარეშე ხომ, მხარეები ვერ მიაღწევენ მშვიდობას და თანხმობას. ეს ჩვენი ძირითადი მიზანია და ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ინიციატივებს სათანადოდ აღიქვამენ.

— ხომ არ ნიშნავს ეს კომპრომისი იმ პოზიციების დაკარგვას, რომლებსაც ადგას საქართველო სამხრეთ ოსეთის მიმართ 1989 წლიდან?

— საქართველოს მთავრობის წინადადებებში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მხარეთა ინტერესები. თუ რომელიმე მხარე გასცდება დასაშვების ზღვარს, კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით, ნაკლებად სარწმუნო იქნება.

— მაინც, რისი დაკარგვა შეუძლია საქართველოს?

— ეს საჭადრაკო გამბიტი არ გახლავთ. მთავარია ის, რასაც მოვიპოვებთ — მშვიდობა, ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების ნორმალური პირობები. ამის გამო, ნამდვილად ღირს კომპრომისზე წასვლა.

რას ნიშნავს შეთანხმება? ეს არის მომზადება — დიალოგი — შედეგი — ამ შედეგის დამკვიდრება. თუ არ არის ამ ჯაჭვის რომელიმე რგოლი, შეთანხმებაც ვერ შედგება. ჰოდა, სწორედ კომპრომისია ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი.

ჩვენი ძალისხმევა მიზნად ისახავს რეგიონის განვითარებას. იმას, რომ ქვეყნის ეს ნაწილი დაუბრუნდეს ცხოვრების ნორმალურ კალაპოტს და ადამიანებმა იწამონ თავიანთი მომავლის.

— როგორია ოსების რეაგირება ამ ინიციატივებზე?

— იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი და ოსი მოსახლეობის უმრავლესობას სურს მშვიდობა. მთავარი საკითხია, პოლიტიკური მორიგების მიღწევა. სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო წარმომადგენლებს არ მიუღიათ მონაწილეობა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაში.

— ახლა, რაც შეეხება პოლიტიკას. თქვენ ავტონომიის ხელმძღვანელის თავისუფალი არჩევნების გზით დანიშვნას სთავაზობთ ოსურ მხარეს. მაგრამ, სამხრეთ ოსეთში უკვე არსებობს არჩეული პრეზიდენტი. საქართველოს ხელს აძლევს კოკოითის ფიგურა?

— წინადადებები ითვალისწინებს თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების გამართვას ავტონომიის ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში.

— რა ვადებში მოხდება სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება?

— წინადადებები გათვალისწინებულია გარდამავალი პერიოდის სამი წლის ვადით.

— რა უფლებებს დაიტოვებს თბილისი?

— ფედერალური ხელისუფლების კომპეტენციაში შევა ეროვნული უშიშროება, თავდაცვა, შეიარაღებულ ძალებზე კონტროლი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა, საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები.

НЕЗАВИСИМАЯ

(შემოკლებით).

◎ გვეხმაურებიან

„ისე არ წვიმს, როგორც ქუხს“

საერთო მოხმარების მრიცხველები - დროებითი ღონისძიება

ბოლო დროს გახშირდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ მან „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას“ ე.წ. კომუნალური გამრიცხველიანების „ნება დართო“. მისი ავტორების აზრით, სემეკს უფლება არ ჰქონდა მიეღო ასეთი გადაწყვეტილება, რადგან საერთო მრიცხველით შეუძლებელია დადგინდეს, ვინ რამდენ ელექტროენერგიას მოიხმარს, რაც მოსახლეობაში დაპირისპირებისა და ხშირად სერიოზული კონფლიქტის მიზეზი ხდება. ერთ-ერთი ასეთი პუბლიკაცია ჰქონდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასაც“. (30 ივლისი)

საქმე ეხება სემეკის 2005 წლის 6 აპრილის №7 დადგენილებას, რომლითაც რეგულატორმა „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის განსაზღვრის წესი დაამტკიცა და მისი მოქმედების ვადა 2005 წლის 31 დეკემბრამდე განსაზღვრა. აღნიშნული წესი არ ეხება კომპანიის იმ აბონენტებს, რომელთა მრიცხველები არ არის დაზიანებული და სწორად აღრიცხავენ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **კომპანიას არ მოეთხოვება უფასოდ მიაწოდოს ელექტროენერგია იმ მომხმარებლებს, რომელთაც არ გააჩნიათ აღრიცხვის ხელსაწყოები და არ/ან სრულად არ იხდიან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს. დადგენილების შემუშავების მიზანი, უწინარეს ყოვლისა, არის ის, რომ „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ უმრიცხველო მოსახლეობა არ დარჩეს ელექტროენერგიის გარეშე;** მეორე მხრივ, კომპანიასაც უნდა მიეცეს საშუალება, გააუმჯობესოს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლები ამ კატეგორიის მომხმარებლებისგან.

სტატისტიკური მონაცემებით, „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ აბონენტთა დიდი ნაწილი საერთოდ არ არის გამრიცხველიანებული, ხოლო ნაწილის აღრიცხვის ხელსაწყოები მწყობრიდანაა გამოსული. შესაბამისად, არ აღირიცხება მათ მიერ მოხმარებული ელეტროენერგია. ეს იწვევს ელექტროენერგიის მოხმარების ზრდას, ხელს უწყობს გარკვეული კორუფციული გარიგებების ჩამოყალიბებას, ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს მომხმარებლებსა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის. ეს ყოველივე არა მარტო გამანაწილებელი კომპანიის, არამედ ენერგეტიკული სექტორის გამართულ მუშაობასა და მთლიანად ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზეც უარყოფითად აისახება.

უმრიცხველოდ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის შემუშავება შექმნილი რთული მდგომარეობის მოწესრიგების მცდელობაა და, ალბათ, ერთადერთი რეალური გამოსავალიც ენერგოსექტორში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან, რომელიც თითქმის 15 წელია გრძელდება. **ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სემეკის მიერ №7 დადგენილებით დამტკიცებული წესის ამოქმედება გარდაუვალი დროებითი ღონისძიებაა და ის პირდაპირ კავშირშია კომპანიაში დაწყებულ გამრიცხველიანების პროცესთან, რომელშიც ჩართული არიან როგორც შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, ასევე უცხოური დონორი ორგანიზაციები.** ამგვარი წესი უკვე მოქმედებს „აჭარის ენერგოკომპანიის“ განაწილების არეალში, რამაც დადებითი შედეგები მოიტანა.

სემეკი სრულად აცნობიერებს, რომ გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების ერთადერთი სამართლიანი და ოპტიმალური გზა მომხმარებელთა ინდივიდუალური გამრიცხველიანებაა, რაც ქ. თბილისში ინვესტორის მეშვეობით განხორციელდა. მაგრამ, ინვესტიციების მოზიდვა საკმაოდ რთულია „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის“, რომლის არეალში მოხმარებულ ელექტროენერგიაზე თანხის გადაუხდელობა 50-60 პროცენტს აჭარბებს. არის მეორე მხარეც — „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ არეალი მოიცავს საქართველოს ტერიტორიის თითქმის 70 პროცენტს: იმერეთს, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმს, გურიას, ზემო სვანეთს, სამცხე-ჯავახეთს, ქვემო და შიდა ქართლს, მცხეთა-მთიანეთს. აღნიშნულ რეგიონებში (ქალაქები, დაბები, სოფლები) კომპანიის 660 000 მომხმარებელია გაფანტული.

შესაბამისად, **მისი ელექტრული ქსელის მოწესრიგება და ინდივიდუალური გამრიცხველიანება გაცილებით მეტ თანხასა და დროს მოითხოვს, ვიდრე თავის დროზე ქ. თბილისის 370 000 აბონენტის გამრიცხველიანებას დასჭირდა.** ინვესტიციების მოზიდვა რომ რეგიონების მოსახლებისათვის ელექტროენერგიის ტარიფის გარდაუვალ ზრდას გამოიწვევს, არც ეს არის უცხო პრაქტიკა. და თუ იქ არსებულ სოციალურ ფონსაც გავითვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ როგორ გაუჭირდება მოსახლეობას გაზრდილი ტარიფის პირობებში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.

რაც შეეხება რეგიონებში საერთო მოხმარების მრიცხველების დამონტაჟებას, ეს პროცესი ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაწილობრივ კომპანიის სახსრებით ფინანსდება. ამით თავიდან იქნა აცილებული ტარიფის ზრდა. გარდა ამისა, მომხმარებელს ეძლევა საშუალება, მისივე ინტერესიდან გამომდინარე, შეაკეთოს დაზიანებული მრიცხველი ან კომპანიის დახმარებით მოიწყოს აღრიცხვის ახალი კვანძი.

არც ის არის დაფარული, რომ **რიგ შემთხვევაში სემეკის ზემოხსენებული №7 დადგენილების შესრულება კომპანიის მხრიდან გარკვეული დარღვევებით მიმდინარეობს, რაც მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს.** ამას სემეკში შემოსული მრავალი საჩივარი მოწმობს. მათი ნაწილი სემეკის ელექტროენერგეტიკულმა დეპარტამენტმა ადგილზევე შეისწავლა და სხვადასხვა ტიპის დარღვევები დააფიქსირა, კერძოდ: კომპანიამ არ ჩაატარა შესაბამისი ახსნა-განმარტებები და მოსახლეობასთან არ შეათანხმა კომუნალური მრიცხველების დადგმის საკითხი; მომხმარებელს დროულად არ გააცნო საფასურის გადახდის პროცედურები და არ მიაწოდა ინფორმაცია მრიცხველების პირველადი ჩვენების შესახებ; ზოგ შემთხვევაში არ მოახდინა საერთო მოხმარების მრიცხველების ჩვენებიდან სამფაზა მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გამოკლება; ყოველივე ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევებში ენერგოკომპანიის ადგილობრივი თანამშრომლების მხრიდან არის მომხმარებელთა უფლებების დარღვევა და სემეკის 2005 წლის №7 დადგენილების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

მომხმარებელთა უფლებების მაქსიმალურად დაცვის უზრუნველსაყოფად, სემეკის გადაწყვეტილებით, „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ხელმძღვანელობას ყველა შემოსული საჩივრის შესწავლა, შესაბამისი ზომების გატარება და ამის თაობაზე სემეკში 2005 წლის 1 სექტემბრამდე ინფორმაციის წარმოდგენა დაევალა. ამ ვადაში გამოვლენილ დარღვევათა აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოეთხოვება პასუხი.

ასევე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, მიმდინარე წლის 22 ივლისის საჯარო სხდომაზე სემეკმა №7 დადგენილებაში რიგი ცვლილებები შეიტანა. კერძოდ: **საერთო მოხმარების მრიცხველზე დაუშვებელია 70 აბონენტზე მეტის მიერთება; ელექტროენერგიის დანაკარგები ქსელში უნდა განისაზღვროს 8 პროცენტით და გამოაკლდეს საერთო მოხმარების მრიცხველზე აღრიცხულ ელექტროენერგიას; ენერგოკომპანია ვალდებულია, შექმნას საკმარისი ოდენობის ფულის მიმღები პუნქტები, მათ შორის მოძრავი, რომლებიც იმუშავებს მომხმარებლისთვის ხელსაყრელ ადგილზე; მომხმარებელმა ელექტროენერგიის საფასური უნდა გადაიხადოს ქვითარში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს ქვითრის მიღებიდან 10 სამუშაო დღეზე ნაკლები; კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე ყველა მომხმარებლის ელექტროხელსაწყოების ინვენტარიზაცია და მხოლოდ ამის შემდეგ აწარმოოს დარიცხვა და სხვა.**

პერიოდულად ოპონენტები ავითარებენ აზრს, თითქოს „კომუნალური გამრიცხველიანება“ საუკეთესო საშუალება იყოს რეგიონებისთვის ელექტროენერგიის შეზღუდვით მისაწოდებლად და „დაზოგილი“ ელექტროენერგიის თურქეთისთვის მისაყიდად. სემეკი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ **მოსახლეობა მიზანმიმართულად შეჰყავთ შეცდომაში, რადგან თურქეთში ელექტროენერგიას ქართული მხარე არ ყიდის. საქმე ეხება შპს „აჭარის ენერგოკომპანიასა“ და თურქეთის ელექტროენერგიის სავაჭრო და კონტრაქტირების სააქციო საზოგადოებასთან („ტეტაშ“) გაფორმებულ ხელშეკრულებას ელექტროენერგიის გაცვლასთან დაკავშირებით, რაც ხორციელდება თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს შორის 2005 წლის 29 აპრილს ხელმოწერილი „ელექტროენერგიის გაცვლის შესახებ ოქმის“ შესაბამისად.**

ამ ხელშეკრულებით მოხდება აჭარის რეგიონის სტაბილური ელექტრომომარაგება 2005-2006 წლების ზამთარსა და ადრეულ გაზაფხულზე, 2006 წლისთვის ენგურჰესის მოსალოდნელი გაჩერების გათვალისწინებით. დოკუმენტებით განსაზღვრულ პერიოდებში, კერძოდ, ზამთრის სეზონზე „ტეტაში“ „აჭარის ენერგოკომპანიას“ მიაწოდებს მაქსიმუმ 230 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგიას, ხოლო „აჭარის ენერგოკომპანია“ ზაფხულის სეზონზე ელექტროენერგიას დააბრუნებს 1,2 კოეფიციენტით.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით საქართველოს ენერგოსისტემას ეძლევა საშუალება, ზაფხულის სეზონზე მოახდინოს ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტირება და სანაცვლოდ, ზამთრის სეზონზე, მოსალოდნელი ენერგოდეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, ხელსაყრელ პირობებში განახორციელოს ენერგიის იმპორტი მეზობელი ქვეყნიდან. (სხვა მხრივ, როცა ენერგოსექტორს აქვს საშუალება, გაზაფხულ-ზაფხულზე გაყიდოს ჭარბი ელექტროენერგია და შემოსული თანხით გასწიოს მოსამზადებელი სამუშაოები ზამთრის სეზონისთვის, ეს რატომ უნდა იყოს ურიგო ქვეყნის ეკონომიკისთვის?!ძ.

და ბოლოს, **თუ ვინმეს არ მოსწონს საერთო მოხმარების მრიცხველით ანგარიშსწორება, საკითხი შეუძლია მარტივად გადაჭრას — დაამონტაჟოს ინდივიდუალური მრიცხველი და ყველა პრობლემა მაშინვე მოიხსნება.**

სემეკის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი.

◎ ინფორმაცია

ცესკო-ში შეხვედრა გაიმართა

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დღეს საკონსულტაციო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა.

საკონსულტაციო ჯგუფი საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით შეიქმნა და მასში ცესკოს წევრების გარდა, პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები არიან გაერთიანებული.

როგორც ცესკოს თავმჯდომარემ გია ქავთარაძემ განაცხადა, საკონსულტაციო ჯგუფმა საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის გარდა საარჩევნო პროცესის მონიტორინგი უნდა განახორციელოს.

პოლიტიკური ორგანიზაციებიდან საკონსულტაციო ჯგუფში პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, მოძრაობა „წინ, საქართველოს“, მოძრაობა „თავისუფლება“, „რესპუბლიკური პარტია“, „ლეიბორისტული პარტია“ და „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ არიან გაერთიანებული.

საკონსულტაციო ჯგუფში შედიან ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები - „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, მოძრაობა „მომავლის მთავრობა“ და საერთაშორისო ორგანიზაციები-ევროკომისიის წარმომადგენლობა, საერთაშორისო ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ეუთო, გაერო, ასევე სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები.

ინტერპრესნიუსი

ოპოზიცია

რომც ჩამქოლონ, მაინც ჩავალ სამეგრელოში

— ამბობს „წინ საქართველოს“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი

— ბატონო თემურ, როგორ შეაფასებდით ზუგდიდში მომხდარ დაპირისპირებას „წინ საქართველოს“ ლიდერებსა და ლოთი ქობალიას მომხრეებს შორის?

— თუ არ გეწყინებათ, შევასწორებ თქვენს ნათქვამს, ლოთი ქობალიასთან არანაირი დაპირისპირება არ მომხდარა. ეს იყო, ფაქტობრივად, დაპირისპირება ხელისუფლებასა და ჩვენს შორის. ის ხალხი, ვინც ეს გააკეთა, არის არა ზუგდიდის, სამეგრელოს, არამედ დღევანდელი ხელისუფლების სახე. როგორიც არის დღევანდელი ხელისუფლება, ისე იქცეოდა იქ ეს ხალხიც.

ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა 1 აგვისტოს ზუგდიდში ჩვენი შეხვედრის თაობაზე. ამის შესახებ ცნობა წინასწარ გაზეთში გამოვაქვეყნეთ. ყველა დოკუმენტი მივეცით როგორც გამგეობას, ასევე პოლიციას და გავაფრთხილეთ. ასე რომ, მათ ყველაფერი იცოდნენ. ხელისუფლებაზეც სწორედ ამიტომ ვეჭვობ. მას, პირიქით, მოსალოდნელი ინციდენტი უნდა აღეკვეთა. თუ ეს არ შეუძლია, მაშინ რა ხელისუფლებაა? მოწონება-არმოწონების პრინციპით კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ ყველას იცავდეს. ეს ხელისუფლების ვალია.

— მაინც, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

— სცენაზე ასულ პროფესორ მიხეილ ქურდიანს პირველი სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ შემოვარდნილმა ქობალიამ მოუწოდა დარბაზს, დატოვეთ აქაურობა, ვის უსმენთო. მაგრამ მის მოწოდებას არავინ გამოეხმაურა. ყოჩაღ ზუგდიდელებს!

ვუყურებდი ქობალიას და კიდევ უფრო მიმტკიცდებოდა რწმენა იმისა, რომ ვისთანაც ეს კაცი დადგება, ის დაიღუპება. დადგა გამსახურდიასთან და დაღუპა ისიც და საქართველოც. ვინც ასეთი აზროვნების და მოქმედების ადამიანებს დაეყრდნობა, იმას მომავალი არ ექნება. ჩვენი ხელისუფლება კი, სამწუხაროდ, ამათ ეყრდნობა.

რომელი პოლიტიკური ძალაც ქობალიას დიქტატს მოაცილებს ზუგდიდს, იგი იქნება თავისუფლების ერთი ძალიან დიდი საყრდენი ქვეყნისთვის.

რამდენიმე წლის წინათ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: შევარდნაძეს, ქვანიასაც ხშირად უყვარდათ თქმა, რომ სამეგრელო საქართველოს ხერხემალიაო. ხერხემალი მაშინ ასრულებს თავის ფუნქციას, როცა ტვინი ანუ ხელისუფლება ასრულებს თავის ფუნქციას. სამეგრელო, ანუ როგორც ამბობენ, საქართველოს ხერხემალი უკვე დიდი ხანია ჭკვიანი ხელისუფლების ხელში ვერ მოექცა, ამიტომაა წელში გატეხილი.

— როგორ გგონიათ, რატომ უნდა ეყრდნობოდეს ეს ხელისუფლება ქობალიას და მისთანებს?

— გეხსომებათ, ალბათ, ქობალიას და აბსანძის ციხიდან გაქცევა. მაშინ დღევანდელი პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობაში ფრაქციის ხელმძღვანელი იყო და მთელი პარლამენტი მას მიჰყავდა. გაქცევით დანაშაული ჩაიდინეს და ამის გამო იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მოხსნილი მინისტრის ადგილზე მოვიდა სააკაშვილი. ე. ი. ქობალიას ციხიდან გაქცევის გამო იგი იუსტიციის მინისტრი გახდა. თუ ესენი კარგი ხალხი იყვნენ, მაშინ სადმე

ეთქვა სააკაშვილს, რომ აბსანძე და ქობალია არასწორად ჩასვეს ციხეშიო. ახლა იმასაც ვეჭვობ, ამ გაქცევით ყველაზე მეტად ვინც ისარგებლა, სწორედ სააკაშვილია.

ქობალიამ ჟურნალისტი მოკლა. ჟურნალისტებმა შეადგინეს მიმართვა, რომ იგი ციხიდან არ გამოსულიყო. ეს კაცი ციხიდან გამოუშვეს და რამდენიმე ათეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა მისცეს დასავლეთში, თანაც საუკეთესო ადგილები. ამბობენ, კარგი ბიზნესიც აქვსო. კი მაგრამ, გეკითხებით, რა დამსახურებისთვის?

ჩვენი ჩასვლის დღეს ზუგდიდში ტელევიზიით გადასცეს ქობალიას ინტერვიუ, რომელიც ამბობდა, რას ერჩიან ამ ხელისუფლებას, საქმეს გადასარევად აკეთებენ, ძლივს, ნორმალური ხელისუფლება გვეღირსა და ამათ ხელის შეშლა უნდათო...

ვთქვათ და, ქობალია მართალია და მთელი საქართველო მის აზრს იზიარებს. თუ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, განსხვავებული აზრის გამოთქმა ყველას უნდა შეეძლოს. ჩვენც გვინდა, ვესაუბროთ თავისუფალ ადამიანებს და ვუთხრათ ჩვენი აზრი. ზუგდიდშიც ამიტომ ჩავედით. ჩვენ არ ვეძებთ განაწყენებულ ადამიანებს ამ ხელისუფლების მსგავსად, რომელთაც აღშფოთებულ ადამიანებზე დაყრდნობით მოაწყეს ყველაფერი. ჩვენ არ გვინდა ვიყოთ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულთა პოლიტიკური ძალა. ყველას ვესაუბრებით და ჩვენს აზრს ვეუბნებით. ვფიქრობთ, მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ დიქტატორისა და დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლა.

— წინასწარ არ გრძნობდით არაფერს? ან რაიმე „სიგნალი“ არ მოუციათ?

— ქობალიამ ბათიაშვილს წინასწარ უთხრა, დავარბევთ, დავშლით თქვენს შეკრებასო. მართლაც, სიტყვა არ დაემთავრებინა ქურდიანს, თვალებში შეაფურთხეს. თქვენ იცით, ბენდუქიძის შეფურთხებისთვის ახალგაზრდა მოაზროვნე ბიჭი ახლაც ციხეში ზის.

ეს ყველაფერი გადაიღო უშიშროებისა და პოლიციის ტელევიზიებმა. იქ აღბეჭდილია ეს მომენტი. სამწუხაროდ, იმ დღეს ზუგდიდში, ჩვენს შეკრებაზე ტელევიზიების სიმწირე შეინიშნებოდა. ესეც წინასწარ გათვალეს, რომ რაც შეიძლებოდა ნაკლები ჟურნალისტი მოსულიყო, მაინცდამაინც იმ დღეს გუბერნატორი წავიდა სვანეთის ერთ-ერთ სოფელში „წითელი ჯვრის“ ჰუმანიტარული ტვირთის დასარიგებლად. თითქმის ყველა ტელევიზია იმათ გაჰყვა.

— „რამ განაპირობა „წინ საქართველოს“ ლიდერების მაინცდამაინც ზუგდიდში ჩასვლა?

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე კანონი სამმა პარლამენტმა უნდა მიიღოს: დევნილობაში მყოფმა გამსახურდიას პარლამენტმა, შევარდნაძის გარეკილმა პარლამენტმა და სააკაშვილის გასარეკმა პარლამენტმა. ამით ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება დაპირისპირება საქართველოში.

მე პირველმა ვთქვი, რომ თუ საქართველოს გაერთიანება გვინდა, გამსახურდიას დევნილობაში მყოფმა პარლამენტმაც უნდა მიიღოს ამ პროცესებში მონაწილეობა. ახლაც იგივე აზრზე ვარ.

ეს იდეა გამსახურდიას ნამდვილმა მხარდამჭერებმა ძალიან კარგად მიიღეს, აგრეთვე, სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებმა... მათგან რამდენიმეს დავასახელებ: ჰელსინკის კავშირის ყოფილ ხელმძღვანელს ბუჭა სანაიას, მზია ჯგუშიას, ბადრი კაკაჩიას, ავთო ხაბურძანიას... ამ ადამიანების მიწვევით ჩავედით ზუგდიდში.

სხვათა შორის, იმ დღეს დარბაზში ლოთი ქობალიას რამდენიმე ქალბატონი შემოჰყვა. როდესაც მაისში პირველად ჩავედი ზუგდიდში მათთვის ჩვენი მოსაზრებების გასაცნობად, ეს ქალები მაშინ ოფისში მოვიდნენ, მერე თბილისშიც ჩამოვიდნენ ჩვენთან... ურეკავდნენ ჩვენს წევრებს, მათ შორის ირაკლი ბათიაშვილს, ჩამოდიო, ეუბნებოდნენ... მერე კი, რატომღაც ქობალიას გვერდით აღმოჩნდნენ.

— უშუალოდ თქვენ რა პრეტენზიები წამოგიყენათ ქობალიამ?

— ის, რომ, თურმე, მე 1993 წელს და შემდეგ – 1998 წელს არ გავატარე ქობალიას რაზმები. 1998 წელს ქობალიას ორგანიზებული იყო ასმავას სვლა თბილისისკენ, რომელსაც შემდეგ ელიავაც შეუერთდა.

დღეს უფრო მეტად ვრწმუნდები, რა გაუკეთებია იმერეთს და ქუთაისს საქართველოსთვის, რომ ქობალიას მსგავსი აზროვნების ადამიანებს გზა გადაუკეტა თბილისისკენ. ამათი ტანკებით გამოშვება შეიძლებოდა? ჩვენ არც „მხედრიონელები“ გავატარეთ თავის დროზე. ყველამ კარგად იცის, ჯაბა იოსელიანი ქუთაისში რომ უნდოდა დამჯდარიყო და არ მივეცი ამის საშუალება. ისიც უწყიან, ვინც დღეს არიან ხელისუფლებაში, ჯაბა იოსელიანს ფეხქვეშ რომ ეგებებოდნენ. ჯაბა ამათ ყველას სჯობდა ქართველობით, კაცობით, შესახედაობით. ესენი „მხედრიონს“ ფეხქვეშ რომ ეგებებოდნენ, მე არ ვაპარპაშებდი. როდესაც ძარცავდნენ სამეგრელოს, ქუთაისის გზაგასაყარზე დავხვდი მათ, რამდენიმე წართმეული მსუბუქი მანქანა, საქონელი დავაბრუნე.

იმ დღეს ზუგდიდში აბსანძის ხალხიც იყო. მათაც ჰქონდათ ჩემს მიმართ პრეტენზიები. ამბობენ, აბსანძე და ქობალია ერთად არიანო, ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

მეუბნებოდნენ, ელიავა იმერეთში მოკლეს და არ შეიძლება, შენ არ გცოდნოდაო. რაც მაშინ ვთქვი და წერილიც გავუგზავნე მის ოჯახს, იგივეს ვფიქრობ ახლაც – ელიავა მოკლა მოქალაქეთა კავშირის ელიტარულმა ნაწილმა, მისმა იდეოლოგებმა, ვინც დღეს არიან ხელისუფლებაში შევარდნაძესთან ერთად. ეს იყო მოქალაქეთა კავშირის მზაკვრული გადაწყვეტილება, რომ იმერეთში გაეკეთებინათ, რადგან მე მოქკავშირს ვუპირისპირდებოდი.

ამის ხმამაღლა განცხადების არ მეშინია.

— აღარ ჩახვალთ სამეგრელოში?

— მე მზად ვარ ნებისმიერ დროს ჩავიდე სამეგრელოში, რომც ვიცოდე, ჩამქოლავენ, მაინც ჩავალ იქ, რადგან ასე აღარ შეიძლება, ვიღაცამ თავი უნდა გადადოს, რომ ეს ქვეყანა გამოფხიზლდეს და არც კერპთაყვანისმცემლობა იყოს და არც უზნეო ხელისუფლების აზვირთება.

მზად ვარ, იქ ხალხს შევხვდე და ველაპარაკო.

1 აგვისტოს შეხვედრაზე, ზოგიერთმა გაზეთმა დაწერა, რომ თითქოს ჩვენ ზუგდიდიდან გამოგვაძევეს. ეს სიცრუეა. დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ ერთი კილომეტრი ფეხით გავიარე ზუგდიდში, შევედი ბაღში, ხალხს დაველაპარაკე და ჩოგბურთიც ვითამაშე. ზოგიერთებმა მადლობა გადამიხადეს, რადგან დაინახეს, რომ სიმართლე თემურ შაშიაშვილზე მაღლა დგას.

მე ბევრი რამ მაქვს ზუგდიდელებისთვის სათქმელი, რაც სამეგრელოს მოსახლეობამ არ იცის: მოქალაქეთა კავშირით დაწყებული, დამთავრებული ქობალიას რაზმებით.

მიხარია, რომ ხელისუფლებამ ქობალიას გარდა დასაყრდენი ვერავინ ნახა. ძალიან კარგად ვიცი, ზუგდიდელები შინაგანად ძლიერი და თავისუფალი ხალხია. თუ ისეთი რამ გავაკეთე, რომ ჩასაქოლი ვარ, არც ამისი მეშინია. მე საეჭვოდ მოწყობილ ორ ავარიას გადავურჩი, სამჯერ ტანკს დავუხვდი, მაგრამ არ შევშინებულვარ, რადგან ვიცოდი, რომ ქართულ საქმეს ვაკეთებდი... ვფიქრობ, ზუგდიდელები გამიგებენ...

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

თანამშრომლობა

ბოლნისური კარტოფილი რუსეთის ქალაქებში

ბოლნისის რაიონის სოფელ ნახიდურში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულმა პროექტმა AGVANTAGE (ეგვენთიჯი) საინფორმაციო ცენტრი გახსნა. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ეს პროექტი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე მუშაობს. საინფორმაციო ცენტრის მუშაობის მთავარი ორიენტირი მეკარტოფილეებისათვის მარკეტინგული ინფორმაციისა და ამინდის პროგნოზის დროული მიწოდება და საადრეო კარტოფილის ექსპორტიორებისათვის საჭირო საბუთების მოგვარებაში დახმარება იქნება, რაც ადგილზე ძალიან უჭირთ.

აღნიშნული ცენტრი მხოლოდ ზაფხულში იმუშავებს, რადგან ფერმერები სწორედ ამ პერიოდში იღებენ საადრეო კარტოფილს.

ამერიკული პროექტის წარმოების განყოფილების წევრები მჭიდროდ თანამშრომლობენ ადგილობრივ ფერმერებთან, აწვდიან მათ აუცილებელ ინფორმაციას მოსკოვში და მის შემოგარენში, პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში საბითუმო და საცალო ბაზრობებზე არსებული ფასების შესახებ. აგრეთვე ინტერნეტის მეშვეობით მოძიებულ ყოველდღიურ ამინდის პროგნოზზე, რაც მათი მუშაობისთვის მეტად აუცილებელია.

— სანამ მოსავლის აღებას დავგეგმავთ, აუცილებელია იმის ცოდნა, როგორი ამინდი იქნება დღეს, როდესაც მყიდველთან ვათანხმებთ პროდუქტის ჩატანის ვადებს, ამინდმა შეიძლება გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები შექმნას. სწორედ ამიტომ, ძალიან სასურველია ამინდის პროგნოზის მიღება, — განაცხადა კარტოფილის ექსპორტიორმა ბოლნისიდან **მამედ შიხალიევმა.**

აღსანიშნავია, რომ პროექტმა მეკარტოფილეები ოთხმაგი ქაღალდის ტომრებითაც უზრუნველყო.

რამდენიმე ფერმერმა პროექტის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა, რათა საექსპორტო კარტოფილის რუსეთის საზღვარზე გასატანად საჭირო საბუთების მომზადებაში მოხმარებოდნენ. AGVANTAGE-მა ფერმერები აღრიცხა, როგორც ინდივიდუალური მეწარმეები, განაახლეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს სტატუსი, დაამზადეს ბეჭდები, აიღეს წარმოშობის შესაბამისი და ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები.

მარკეტინგის ხაზით ფერმერებს გადაეცათ მოსკოვის რაიონში არსებული კარტოფილის პოტენციურ მყიდველთა სია, ამის შედეგად ბოლნისის რაიონში მოყვანილი 350 ტონა საადრეო კარტოფილი უკვე გაიყიდა საექსპორტო ბაზარზე.

საადრეო კარტოფილის მოსავლის აღება სეზონის ბოლომდე გასტანს. სავარაუდოდ, საინფორმაციო ცენტრი კვლავ განაგრძობს მუშაობას, რათა ასევე დაეხმაროს ფერმერებს მოყვანილი ბოსტნეულის, პამიდვრისა და კიტრის ექსპორტირებაში.

ბოლნისელები ფიქრობენ, რომ ასეთი მუშაობით მათი შემოსავლები საგრძნობლად გაიზრდება.

ნაზი ყაჯრიშვილი.

აკრძალული ზონა

ციხეს ხსნიან თუ სანატორიუმს?

უკვე ხუთი წელია, რაც პენიტენციურ სისტემაში რუსთავის №6 საპყრობილის ამოქმედებაზე საუბრობენ. მისი მშენებლობა წინა საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. რეაბილიტაციის პროცესი, როგორც გვეუბნებიან, მალე დასრულდება. თუმცა ამ საპყრობილის პომპეზური გახსნა ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის დროს მოხდა. მაშინ ამ ციხეში პატიმრების გადაუყვანლობას დღეს სხვადასხვაგვარად ხსნიან, — არ იყოო ძირითადი კომუნიკაციები, წყალი, შუქი, გაზი და ა. შ. ამატებენ იმასაც, რომ ეს მაშინდელი ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდაო. არც იმას მალავენ, რომ ამ ციხის გახსნა კანონიერ ქურდებს არ აწყობდათო.

მოგეხსენებათ დღევანდელი ხელისუფლება კანონიერი ქურდების ინსტიტუტს არ ცნობს, ჰოდა, მათ შეხედულებას და სურვილებსაც, ცხადია, აღარავინ ითვალისწინებს. ვარდების რევოლუციის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა შუა გზაზე მიტოვებული, გაპარტახებული რუსთავის ციხე კვლავ გაიხსენა და ბრიუსელში პირველივე ვიზიტისას ევროგაერთიანებას ციხის რეაბილიტაციისთვის დახმარება სთხოვა. თანხმობამ არ დააყოვნა — ევროკომისიამ 820 ადგილიანი ციხის რეაბილიტაციისთვის 1.700.000 ევრო გამოყო. სარემონტო სამუშაოები 8 თვის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა და აგვისტოს დამლევს ყველაფერი დასრულდება. პროექტში გაითვალისწინეს, რომ რუსთავის №6 ციხე გახდეს საჩვენებელი თავისი ინფრასტრუქტურით, რეჟიმით და ციხის მენეჯმენტით, რომელიც მინიმალურად მაინც მიუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს.

იუსტიციის სამინისტროში გამართულ მრგვალ მაგიდას მისი „აღმაშენებელნი“ ესწრებოდნენ. ისინი ერთმანეთთან თავს იწონებდნენ, — თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ციხის რეაბილიტაციის დასრულებაში. შეხვედრას მასპინძლობდნენ იუსტიციის მინისტრი, მისი მოადგილე, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები. მრგვალი მაგიდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის, — „საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პენიტენციურ სისტემასა და პატიმართა უფლებებზე“ — ფარგლებში მოეწყო.

პროექტის ორგანიზაციას „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ახორციელებს.

მნიშვნელოვანია, რომ დონორმა ორგანიზაციებმა საჭიროდ მიიჩნიეს ზრუნვა პატიმრებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ გამოსცა ბუკლეტი და საინფორმაციო გაზეთი „ერთად დავიცვათ პატიმართა უფლებები“. გაიმართა ორი მრგვალი მაგიდა „ციხე, პატიმარი, საზოგადოება“, მათ შორის ერთი რუსთავში, რომელზეც მიწვეული იყო ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობაც. საზოგადოების ინფორმირებისათვის სხვადასხვა არხზე ეთერში გავიდა სატელევიზიო და რადიო გადაცემები. პატიმართა უფლებებზე მომზადდა სპეციალური სარეკლამო რგოლი.

— მსგავსი სახის პროექტების განხორციელება მომავალშიც აუცილებელია. საზოგადოების დიდ ნაწილს არაჯანსაღი და არასამართლებრივი დამოკიდებულება აქვს პატიმრების მიმართ. მას შემდეგ კი, რაც მოქალაქეებს განვუმარტეთ, რატომ უნდა სცოდნოდათ და დაეცვათ მათ პატიმართა უფლებები, მოქალაქეთა მხრიდან მოხდა პოზიციის მკვეთრი შეცვლა და ინტერესის გაღვივება, — აცხადებს პროექტის დირექტორი ვლადიმერ კერვალიშვილი.

იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ №6 ციხე მკვეთრად განსხვავდება სხვა საპყრობილეებისაგან. კერძოდ, აიკრძალება ამანათებისა და საკვების შეტანა. პატიმარსა და ციხის თანამშრომელს ერთნაირი კვება ექნებათ, მინიმუმამდე დაიყვანენ კორუფციის ფაქტებს, იქნება ბიბლიოთეკა, სასწავლო, სამუშაო ოთახები, სპორტული ობიექტები, სამედიცინო კაბინეტი, სამლოცველოები ნებისმიერი აღმსარებლობის წარმომადგენლებისთვის. ახალი ციხის საკნებს აქვს ფანჯრები, რომელთა გაღება-დაკეტვა უშუალოდ პატიმრის სურვილზეა დამოკიდებული. არის კეთილმოწყობილი საშხაპეები, იზოლირებული საპირფარეშოები.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სხვა საპატიმროებში რომ კორუფციაა გამეფებული და ბევრი შემთხვევითი ადამიანი მოღვაწეობს? ამას არც იუსტიციის მინისტრი მალავს. ამბობს, რომ ეს მდგომარეობა გამოსწორდება იმ შემთხვევაში, თუ სათანადო დაფინანსება იქნება. სწორედ ამიტომ, კოტე კემულარიას მოთხოვნით იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზრდება.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, ციხე რეალურად უნდა გახდეს დამნაშავის გამოსწორების ადგილი. ამისათვის უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელშიც პატიმარი არ მოექცევა ფსიქოლოგიურ იზოლირებაში. მათი თქმით, თუ მსჯავრდებულს ციხეში ექნება შრომის, განათლების მიღების საშუალება, დაცული იქნება მისი ფსიქიკა და ჯანმრთელობა, არ ექნება შიში, რომ ვიღაცა მას დაჩაგრავს, მაშინ მას აღარ დასჭირდება ციხეში საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად კრიმინალური მეთოდების შესწავლა, დახვეწა და იფიქრებს იმაზე, თუ როგორ იცხოვროს პატიოსნად და მშვიდად სასჯელის მოხდის შემდეგ.

№6 საპყრობილე შერეული რეჟიმისაა, იქ პატიმრებს სხვადასხვა დაწესებულებებიდან გადაიყვანენ. სექტემბრიდან მოსამსახურე პერსონალისთვის კონკურსი გამოცხადდება, შემდეგ მათ ტრენინგს ჩაუტარებენ, შეასწავლიან პატიმართან ურთიერთობას, მათი უფლებების დაცვას და საკუთარი მოვალეობების ეფექტურად გამოყენებას.

რუსთავში მიუსჯელებს არ გადაიყვანენ შესაბამისად, №1 საპყრობილეში მყოფი გაუბედურებული პატიმრები იმავე ვითარებაში რამდენ ხანს დარჩებიან, ამაზე კონკრეტული პასუხი ჯერ არავის აქვს.

ლელა ხვადაგიანი
გიორგი მეურმიშვილის ფოტო.

ინფორმაცია

პარლამენტის პრიორიტეტი საშემოდგომო სესიაზე

საქართველოს პარლამენტი საშემოდგომო სესიას რევოლუციის შემდეგ ფორსმაჟორში მიღებული კანონების დახვეწასა და საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერებას მიუძღვნის.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საქართველოს პარლამენტი დიდ დროს დაუთმობს მიღებული კანონების შესრულების კონტროლს. „როგორ სრულდება მიღებული კანონები და როგორ მუშაობს ბიუჯეტი, ეს იქნება გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ“, — აღნიშნა ბურჯანაძემ. მისი თქმით, პარლამენტი მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს ქართული კანონების ევროპულთან ჰარმონიზაციის საკითხს.

სტიქია კვლავ ქირვეულობს

ყაზბეგის რაიონში ძლიერი წვიმისა და მეწყერის გამო საქართველო-რუსეთის საზღვართან საავტომობილო გზის კობი-ლარსის მონაკვეთზე გზა ჩაიკეტა. წვიმის შედეგად გუდაურისკენ მიმავალ გზაზე სოფელ მლეთასთან ხიდს საფუძველი თითქმის გამოეცალა. ამჟამად აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა მოძრაობა არ შეჩერებულა. წყალდიდობამ მლეთაში მდინარე არაგვის ხეობასთან ახლოს მცხოვრები ოთხი მოსახლე დააზარალა.

როგორც ინტერპრესნიუსს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ შადიმან შამანაძემ განაცხადა, დუშეთის რაიონის გამგეობა მოსახლეობას სხვა საცხოვრებელ ადგილს გამოუყოფს.

რუსეთის სამხედრო ტექნიკა ნელ-ნელა გააქვთ

ახალქალაქის №62-ე რუსული სამხედრო ბაზიდან ავტომანქანების გაყვანა 4 აგვისტოს საღამოს დაიწყო. სამხედრო შტაბის ოცი ერთეული ავტომანქანა ვლადიკავკაზის გავლით ქალაქ პრახლადნიში ჩავა და მათგან 11 ქვეითი მოტომსროლელ 135-ე პოლკში დარჩება, დანარჩენი 9 ერთეული კი ორშაბათს ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზაზე დაბრუნდება. ისინი კოლონის უსაფრთხო გადაადგილებას ემსახურებიან.

სავალუტო ფონდის ემისარი აჭარაში

საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი რობერტ კრისტენსენი აჭარაში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების გასაცნობად ჩავიდა. ამ მიზნით იგი გუშინ აჭარის მთავრობის ხელმძღვანელს ლევან ვარშალომიძეს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ მახარაძეს შეხვდა.

რობერტ კრისტენსენი ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტების ურთიერთობით დაინტერესდა. სავალუტო ფონდის წარმომადგენელი მიღებული ინფორმაციით კმაყოფილი დარჩა. “აჭარაში ბიზნეს-გარემოში შექმნილი სიტუაცია წინა წლებთან შედარებით ბევრად უკეთესია და რეგიონში ბიზნეს წარმოებისთვის ყველა პირობა არსებობს“, — განუცხადა ჟურნალისტებს შეხვედრების დასრულების შემდეგ რობერტ კრისტენსენმა.

რობერტ კრისტენსენი აჭარაში სამ დღეს დარჩება და აჭარის ენერგოკომპანიის და საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებს შეხვდება.

გაღმა შეედავეო...

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის ანდრეი კოკოშინის განცხადებას იმის თაობაზე, თითქოს თბილისი „ომისათვის ემზადება და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ირგვლივ ქართული საჯარისო ნაწილების კონცენტრაციას ახდენს“.

როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით სიხარულიძემ განუცხადა, კოკოშინის ეს განცხადება საფუძველს მოკლებულია და არანაირი დამატებითი ძალების თავმოყრა არ ხდება. “თავადაც მშვენივრად იციან, რომ იქ არანაირი ქვედანაყოფების თავმოყრა არ ხდება. ასეთი ცრუ ბრალდებებით სურთ, რომ ცხინვალის რეგიონში მათ მიერ განხორციელებული არასწორი მოქმედებები გაამართლონ. ვგულისხმობ გორში მომხდარ უკანასკნელ ტერაქტს, რომელშიც აშკარად იყო გამოკვეთილი რუსეთის მოქალაქეების მონაწილეობა, ასევე ვგულისხმობ, რუსული პასპორტების დარიგებას, მოსკოვიდან ჩასული ხალხის დე ფაქტო მთავრობაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნას და სხვა უკანონობებს“,-განაცხადა სიხარულიძემ. მისივე თქმით, „თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა“ და რუსული მხარე სწორედ ამ მეთოდს მიმართავს. „ნათქვამია-გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო. ზუსტად ასე იქცევა რუსეთის მხარე, კოკოშინის განცხადებებს სხვაგვარ ახსნას ვერ ვუძებნი“, — განაცხადა დავით სიხარულიძემ.

რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეების კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრეი კოკოშინმა გუშინ საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ რუსეთი ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა ცხინვალის რეგიონში საკუთარი მოქალაქეების უფლებები დაიცვას. როგორც კოკოშინმა აღნიშნა, თბილისი „ომისათვის ემზადება და რეგიონში სიტუაციას შეგნებულად ძაბავს. „ამას ადასტურებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ირგვლივ ქართული საჯარისო ნაწილების მაღალი კონცენტრაცია,“ — განაცხადა კოკოშინმა „რია ნოვოსტის“ საპრესკონფერენციო დარბაზში.

ინტერპრესნიუსი

ჯანსუღ ჩარკვიანი

ანბანთქება

„პაწაწინა ქართველივით ხელში ასაყვანი ხარ“

ანი ხარ თუ,
ბანი ხარ თუ,
განი ხარ თუ
დონი ხარ,
ჩემი ჭალის ბულბული და
ჩემი იადონი ხარ.

ენი ხარ თუ,
ვინი ხარ თუ,
ზანი ხარ თუ
თანი ხარ,
ჩემი მზე და
ჩემი მთვარე,
ჩემი ნატვრის თვალი ხარ.

ინი ხარ თუ,
კანი ხარ თუ,
ლასი ხარ თუ
მანი ხარ,
წელიწადის
პირველი თვე —
ჩემი იანვარი ხარ.

ნარი ხარ თუ,
ონი ხარ თუ,
პარი ხარ თუ
ჟანი ხარ,
ჩემი მოსვლის
ჟამი ხარ და
ჩემი წასვლის ჟამი ხარ.

რაე ხარ თუ,
სანი ხარ თუ,
ტარი ხარ თუ
უნი ხარ,
რუსთაველის
სული ხარ და
ჭავჭავაძის
სული ხარ.

ფარო ჩემო,
ქნარო ჩემო,
ღანი ხარ თუ
ყანი ხარ,
პაწაწინა
ქართველივით
ხელში ასაყვანი ხარ.

შინ შემოდი,
ჩინო თვალის,
ცანი ხარ და
ძილი ხარ,
ჩვენი ფესვის,
ჩვენი გვარის,
უძველესი ძირი ხარ.

წილი ხარ და
ჭანი,
ხანი,
ჯანი ხარ და
ჰაე ხარ,
კურთხეულ და
საკვირველი,
მაცხოვრისა
არვე ხარ.

მოყვრისათვის
დილის მზე ხარ,
მტრისთვის
შავი ღამე ხარ,
საქართველოს
გაუმარჯოს, —
ნატყვიარს და
ნამეხარს!

როგორ გადავარჩინოთ ქვეყნის ინტელექტი?

ყოველმხრივ ვუჭერთ მხარს აკადემიის ფართომასშტაბიან გარდაქმნას, ოღონდ გააზრებულს და მიზანდასახულს

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, დიდად პატივცემულ მიხეილ სააკაშვილს

ბოდიშს გიხდით, რომ დროს გართმევთ, მაგრამ საკითხი ქვეყნის ინტელექტის გადარჩენას ეხება და ამიტომ ვბედავ თქვენს შეწუხებას.

ვიწყებ იმის აღიარებით, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აუცილებლად მოითხოვს გარდაქმნებს, დღევანდელ ენაზე — რეფორმებს. 10 წელია, რაც მე ამის შესახებ ხმამაღლა ვაცხადებ თითქმის ყველა შეკრებაზე, რომ ჩვენი ქვეყანა ამდენ ინსტიტუტს ვერ დააფინანსებს, რომ საჭიროა მონათესავე პროფილის ინსტიტუტების გაერთიანება და ერთ ინსტიტუტად ჩამოყალიბება, მეცნიერთა რიცხოვნობის შესაბამისი ოდენობით განსაზღვრა და ა.შ. ამ სიტყვებისათვის რამდენჯერმე ხელმძღვანელთა რისხვაც კი დავიმსახურე.

მე, დახვრეტილი მშობლების შვილი, მეცნიერებათა აკადემიაში მოვედი 1957 წლის დასაწყისში ყოველგვარი პროტექციის გარეშე და თითქმის 49 წელია, ვმუშაობ ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში, გავიარე ყველა სამეცნიერო თანამდებობა დირექტორის ჩათვლით. ამავე დროს ვარ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი. ვარ მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და რიგი მონოგრაფიების ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პრესტიჟულ გამოცემებში. მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინები „სალუქვაძის მეთოდი“, „სალუქვაძის ამოხსნა“, „სალუქვაძის პრინციპი“, „სალუქვაძის ოპტიმუმი“. ვარ მრავალი მსოფლიო კონგრესისა და ფორუმის მონაწილე, სადაც გამოვსულვარ მოხსენებებით, ვარ ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და სხვა (უმორჩილესად გთხოვთ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, ვწერ უბრალოდ, ინფორმაციისათვის).

მიუხედავად ჩემი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო მოღვაწეობისა, დღეს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ისე ანგრევს, რომ არც მე და არც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხვა წევრებს, რომელთაც ჩემზე მეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ნაკლები დამსახურება არ მიუძღვით მეცნიერებაში, არაფერს გვეკითხება და ჩვენს აკადემიას ისე უპირებს რეორგანიზაციას თუ საერთოდ გაუქმებას. მით უფრო, არაფერს ეკითხებიან ისინი აკადემიის წევრთა საერთო კრებასაც კი. 2005 წლის 2 აგვისტოს, მთელი ქვეყნის გასაგონად ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი კახა ლომაია და განაცხადა, რომ „ჩვენ განვავითარებთ მეცნიერებას, მაგრამ მეცნიერებათა აკადემიის გარეშე“. აზრი გაატარა, სტალინის მიერ დაარსებული აკადემია რა საჭიროაო.

ბატონო მიხეილ, ვერაფრით დავიჯერებ, რომ თქვენც ასე ფიქრობდეთ და ბატონი ლომაია იმეორებდეს თქვენს აზრებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გაუქმდეს და ამის შესახებ ამ აკადემიის წევრებს არაფერს ეკითხებოდნენ. საქართველოს კანონში „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“, რომელიც მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს, ხომ პირდაპირაა ჩაწერილი: „აკადემია არის ..... საქართველოს ხელისუფლების მეცნიერული მრჩეველი“ (მუხლი 5, პუნქტი 1). ვიდრე ეს კანონი ძალაშია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაუქმების უფლება არავის არა აქვს. ჯერ უნდა გაუქმდეს ეს კანონი მთლიანად ან მასში შეტანილ იქნეს შესაბამისი შესწორებები, აკადემიის გაუქმების თაობაზე ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები კი შემდეგ უნდა გაკეთდეს.

ისე კი, საინტერესოა, თუ აქვთ წარმოდგენილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მესვეურთ, რომ მეცნიერებათა აკადემიის არსებობა, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, უდიდესი სტიმულია ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისათვის? ამაზე ფული არ უნდა დაენანოს სახელმწიფოს. იქნებ სპეციალურად „ზრუნავს“ მავანი ერის ინტელექტის დაქვეითებისთვის? ვინ იცის?

აქ მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას. 90-იანი წლების კორუფციულ საქართველოში საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ყველაზე წმინდად გამოიყურებოდა. მაშინ, როდესაც თითქმის მთლიანად განადგურდა ფაბრიკა-ქარხნების ქონება, როდესაც განუკითხავად იყიდებოდა უძვირფასესი მანქანა-დანადგარები, მეცნიერებათა აკადემიამ შეძლო მასზე რიცხული ქონების გადარჩენა. მართვის სისტემების ინსტიტუტის მაგალითზე ვიტყვი, რომ იმ ძარცვისა და ყაჩაღობის პერიოდში ინსტიტუტს არ დაუკარგავს უბრალო სატელეფონო დანადგარიც კი.

საერთოდ, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა, პრეზიდიუმი გმობდა და გმობს კორუფციას და გვერდში უდგას ხელისუფლებას ამ უმწვავესი მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბატონო მიხეილ, მერწმუნეთ, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა, ასევე ინსტიტუტების სამეცნიერო ნაწილი, ყოველმხრივ უჭერს მხარს აკადემიის ფართომასშტაბიან გარდაქმნას, ოღონდ გააზრებულს და მიზანდასახულს. ის, რასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვთავაზობს, ყოვლად გაუგებარია და აზრსაა მოკლებული.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, გაუქმდება მეცნიერებათა აკადემია და ინსტიტუტებს უხელმძღვანელებს და დააფინანსებს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ე.ი. ფონდი შეცვლის პრეზიდიუმს? ფონდი, დაკომპლექტებული ახალგაზრდებით, რომელთაც შეუძლებელია, ჰქონდეთ სათანადო მეცნიერული მუშაობის გამოცდილება. გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალგაზრდა კადრები, თითქმის ყველა სტრუქტურა გაახალგაზრდავდა (ერთ-ერთი ზედმიწევნით ახალგაზრდა მინისტრი 40 წლის ასაკის სპეციალისტებსაც კი იწუნებდა) და რა გახდა ეს აკადემია, რომელიც ხანდაზმულობით გამოირჩევა და ქვეყნის საერთო ფონს აფერმკრთალებს?

თავის დროზე, ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა ასეთ „ნაკლთან“ დაკავშირებით მოსკოვიდან ჩამოსული კომისიის წევრებს უთხრა: **„მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ფეხბურთის გუნდი არ არის“**. ჩვენ, პრეზიდიუმის წევრებს, არაერთხელ გვიმსჯელია და გვითქვამს, რომ იქნებ ყველანი გადავდგეთ და გზა დავუთმოთ ახალგაზრდებს აკადემიის სამართავად. ჩვენ ეს არ გვაწუხებს, ჩვენ ის გვადარდებს, რომ აკადემიას საერთოდ გაუქმებას უპირებენ. ეს ხომ ყველა აზრით დაუშვებელი უნდა იყოს.

ხომ შეიძლება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაგვარკვიოს ჩვენ, აკადემიის მესვეურები, თუ როგორ აპირებენ რეფორმის წარმართვას? გასაგებია, რომ სურთ აკადემიის გაუქმება, შემდეგ რას აპირებენ? რა ელის ინსტიტუტებს? სად გადავა თითოეული მათგანი? მოხდება ზოგიერთების გაერთიანება თუ არა? რომელი ინსტიტუტი დაიხურება საერთოდ? ეს ხომ წინასწარ უნდა იყოს მოფიქრებული. ასევე წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული შენობების ბედი და არა მარტო შენობების. რას უპირებენ თანამშრომლებს? ვინ დარჩება ინსტიტუტებში, რამდენი პროცენტი? რამდენი პროცენტის გაშვებაა დაგეგმილი და, რაც მთავარია, როგორი იქნება მათი სოციალური უზრუნველყოფა?

ყველა ეს საკითხი წინასწარ უნდა იყოს გათვლილი, დაგეგმილი და შემდეგ გაკეთდეს განცხადებები აკადემიის გაუქმების შესახებ. მეტი დაფიქრებაა საჭირო მომავალი ინსტიტუტების ამუშავებაზეც, ისინი საბაზო დაფინანსების გარეშე ვერ იარსებებენ, მარტო გრანტული დაფინანსება საქმეს სიკეთეს ვერ მოუტანს.

იქნებ სამინისტროს ისეთი შესანიშნავი რეფორმის სისტემა აქვს შემუშავებული, რომ ყველაფერი ზემოთ ნათქვამი გათვალისწინებულიც არის? მაგრამ ეს არსაიდან ჩანს. ნათელია, რომ სამინისტროს ამაზე ნაფიქრიც კი არა აქვს. ღმერთმა ქნას, ასე არ იყოს!

ბატონო მიხეილ, თქვენ ხომ სახელოვან მეცნიერთა ოჯახში აღიზარდეთ, ინტელექტუალთა ოჯახში. თქვენ ხომ შესანიშნავად იცით, რომ მეცნიერებათა აკადემია ქვეყნის სადარბაზო ბარათია, ისევე, როგორც ეროვნული უნივერსიტეტები, მუზეუმები, თეატრები და კულტურის სხვადასხვა ცენტრები. ნუთუ დაეთანხმებით მათ თანდათანობით ნგრევას და ქვეყნის გაჩანაგებას? ყოველივე ეს ხომ უარყოფითად იმოქმედებს თქვენს სახელზე და შელახავს თქვენს ავტორიტეტს ხალხის თვალში. ნუ გადადგამთ ასეთ ნაბიჯს, ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ.

ულრმესი პატივისცემით,
მინდია სალუქვაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი.

რა ვუყოთ მეცნიერებას?

ამ წერილის სათაური შემთხვევითი არ არის. მეცნიერება რომ საჭიროა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ თუ რა მასშტაბებით და მოცულობით უნდა განვითარდეს ეს მეცნიერება სახელმწიფოში, რომელსაც მეტად შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, არის პრობლემა, რომელზეც პასუხის გაცემა არც ისე იოლია. ფაქტია, რომ საბჭოთა პერიოდში მეცნიერებაზე იხარჯებოდა ძალზე დიდი თანხები. ისიც ცხადია, რომ საქართველოს ასეთი შესაძლებლობა არა აქვს. ისიც მართალია, რომ საქართველოში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ხშირ შემთხვევაში არ დგას სათანადო სიმაღლეზე. აქედან გამომდინარე, ვერავინ იტყვის, რომ მსგავსი მდგომარეობა არ უნდა გამოსწორდეს. მაგრამ საკითხავია, როგორი რეფორმა უნდა განხორციელდეს ამისთვის?

აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი: „მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ფეხბურთის გუნდი არ არის!..“



ცხადია, ეს არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა. როგორც ჩანს, ახალშექმნილი განათლების და მეცნიერების სამინისტრო გამოსავალს ხედავს მეცნიერებათა აკადემიის დაშლაში და არსებული ინსტიტუტების განათლების სისტემისათვის გადაცემაში. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ თუ ქართველი მეცნიერები ვერ ართმევენ თავს თავიანთ საქმეს ისეთი მეცნიერის ხელმძღვანელობით, როგორიც აკადემიკოსი გამყრელიძეა, ამუშავდებიან და დიდ შედეგებს მიაღწევენ მინისტრის მოადგილის დიდებულიძის ხელმძღვანელობით (SIC!)?

სამწუხაროდ, მეცნიერების არადაკმაყოფილების მიზეზი გაცილებით ღრმაა და აზრის გამოცვლა საქმეს ვერ უშველის. ამ ახალ რეფორმას, რომლის გატარებასაც აპირებენ, საფუძვლად უდევს ის, რომ უცხოეთის მოწინავე ქვეყნებში მეცნიერების განვითარება ხდება, უმთავრესად, უმაღლეს სასწავლებლებში და არა მეცნიერებათა აკადემიაში. ეს მართლაც ასეა, მაგრამ რა ვუყოთ ფაქტობრივ მდგომარეობას? ამჟამად მეცნიერების განვითარების ეპიცენტრი საქართველოში არის მეცნიერებათა აკადემია, და თუ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ნამდვილად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებული კვლევები, დამერწმუნეთ, კიდევ უარეს მდგომარეობაშია.

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ მეცნიერებათა აკადემიის ამჟამინდელი თემატიკის ხელმძღვანელობას და კონტროლირებას შეძლებენ უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი აპარატები? უნდა ითქვას, რომ აქამდე მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურას და სისტემას არ შეუშლია ხელი, რომ მსოფლიოში ცნობილი კორიფეები გამოვლინებულიყვნენ. ისეთები, როგორებიც იყვნენ ლეონგარდ ეილერი, პაფნუტი ჩებიშევი, მიხეილ ბოტკინი, ანდრია კოლმოგოროვი, ძმები ბერნულები, რომლებიც ეილერმა მიიყვანა რუსეთის აკადემიაში სამუშაოდ, აკადემიკოსები კოროლევი და ტუპოლევი და უამრავი სხვანი.

შეიძლება ვინმემ თქვას, კოროლევი და ტუპოლევი მეცნიერებათა აკადემიაში არ მუშაობდნენ, და ეს მართლაც ასეა, მაგრამ ისინი ძალიან მჭიდრო კავშირში იყვნენ მეცნიერებათა აკადემიასთან.

მკითხველმა ეს უნდა დამიჯეროს, ვინაიდან ამაში მეტი გამეგება, ვიდრე განათლების და მეცნიერების დღევანდელ მინისტრს. სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლია, კომენტარი არ გავუკეთო მინისტრის ამასწინანდელ გამოსვლას ტელევიზიით. მან თქვა, რომ „არსად არ წერია, რომ სტალინის მიერ 1941 წელს გახსნილი აკადემია არ შეიძლება დაიხუროსო“.

კი მაგრამ, სად წერია, რომ რაც კი სტალინის მიერ იყო შექმნილი და ჩამოყალიბებული, ყველაფერი უნდა დაიხუროს?

უფრო მეტ დემაგოგიას ძნელად თუ მოისმენს კაცი. არა მგონია, რომ ლომაია ჩემზე მეტი ანტისტალინისტი იყოს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ სტალინმა შექმნა მძლავრი მრეწველობა, დიდი ბიძგი მისცა მეცნიერების განვითარებას? როგორც ჩერჩილმა აღნიშნა „მან მიიღო სახნისის რუსეთი და დატოვა ატომური იარაღის მქონე ქვეყანა“. მე პირადად დიდად ვაფასებ ლომაიას ამ გამოსვლას, რომელმაც გვაჩვენა, რა ინტელექტის პატრონთან გვაქვს საქმე...

დავუბრუნდეთ ახლა მთავარ თემას. რა თქმა უნდა, პრინციპში შესაძლებელია მეცნიერებას თავი მოვუყაროთ უმაღლესი განათლების სისტემაში, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა კომკავშირული მეთოდებით, არამედ თანდათანობით. თუ კაცი არ ვარგა როგორც მეცნიერი, აკადემიაში ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ მას გადავიყვანთ უმაღლესი განათლების სისტემაში და იქ ივარგებს. მეცნიერების დონის ამაღლება არის უმძიმესი პრობლემა, ეს უნდა გაკეთდეს, მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? მოვლენები, რომლებიც უკანასკნელ ხანს ვითარდება, გვიჩვენებს, რომ ასეთი ამოცანის შესრულების უნარი ლომაიას და დიდებულიძეს არ შესწევთ.

ის, რომ ჩვენი აკადემია ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მარტო მეცნიერებათა აკადემიაა ამაში დამნაშავე? დირექტიულ ორგანოებს არა მარტო დღეს, არამედ უკვე კარგა ხანია, არ ესმით მეცნიერების როლი და მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. ამიტომაც იყო, რომ აქამდე აკადემია იყო თავისთვის, სახელმწიფო კი თავისთვის. იმ მცირე რაოდენობის მქონე ნამდვილად სასარგებლო სამუშაოებმა, რომლებიც შესრულდა აკადემიაში, სამწუხაროდ, ვერ ნახა გამოყენება. მე მხედველობაში მაქვს ფუნდამენტური ხასიათის შრომები, თუმცა, მკაცრად არის გადასახედი, წარმოადგენს ეს შრომები რაიმე ფასეულს, თუ ის უბრალო გადამღერებაა ცნობილი იდეებისა. აქამდე აკადემიის თემატიკის ფორმირება ძირითადად თავად მეცნიერების ინტერესების მიხედვით ხდებოდა. შეერთებულ შტატებში თემატიკის მეცნიერება ფინანსდება უმთავრესად გრანტების საშუალებით. თემატიკის შესრულება, ჩვენგან განსხვავებით, იქ მკაცრად კონტროლდება. მე უკვე 60 წელია ვმუშაობ აკადემიის სისტემაში და ჯერ არ მახსოვს, რომ არათუ რომელიმე სამუშაო დაწუნებული ყოფილიყო, არამედ თუნდაც მცირე არსებითი შენიშვნა ყოფილიყო გამოთქმული. ამას, რა თქმა უნდა, ბოლო უნდა მოეღოს.

სახალხო მეურნეობისთვის მეცნიერებას არა აქვს გაკეთებული ბევრი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არავის არ აინტერესებს, თუ რამე გაკეთდა. მოვიყვან მაგალითებს. ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში შესრულდა სამუშაო: „გარდაბნის საირიგაციო სისტემის ტელემექანიზაცია და ავტომატიზაცია“. სამუშაო მარტო ანგარიშის დაწერით კი არ დასრულდა, არამედ შედგა პროექტი და მშენებლობის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იყო საირიგაციო სისტემის ერთი პუნქტიდან — სადისპეტჩეროდან მართვა. საბოლოოდ ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ დაიტაცეს აპარატურა, ძრავები, ტრანსფორმატორები, კაბელები და ელექტროგაყვანილობა. ასე რომ, ყველაფერი გაჩანაგდა. ამჟამად უწინდელივით გზავნიან კაცს, რომელიც ჩაუვლის ყველა არხს (დაახლოებით 40-ოდე კილომეტრს) და წყალს არხებში ანაწილებს.

მეორე სამუშაო, რომელიც შესრულდა მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში, ეხებოდა საქართველოს ენერგოსისტემის ოპტიმალური მართვის სტრუქტურის დადგენას. სამუშაოს მიზანი იყო ენერგოსისტემის ისეთი სტრუქტურის მონახვა, რომლის განხორციელება ყველაზე იაფი დაჯდებოდა. ზეპირი მსჯელობების და თათბირების საშუალებით ოპტიმალურ სტრუქტურას ვერავინ მონახავს, რაც არ უნდა გამოცდილმა და მცოდნე სპეციალისტმა მოჰკიდოს ხელი. ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რთული მათემატიკური აპარატისა და კომპიუტერების გამოყენებით. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მოწინავე ქვეყნებში — შეერთებულ შტატებში, ინგლისში ფუნქციონირებენ მძლავრი ინსტიტუტები, სადაც გამოყენებითი მათემატიკის სპეციალისტები ატარებენ რთული პრობლემების ანალიზს და შედეგებს გადასცემენ დამკვეთს — მთავრობას. ეს შედეგები რჩევების სახისაა. ჩვენში ასეთი სპეციალისტები ამჟამად არ არიან, მაგრამ სრულიად რეალურია, შეირჩეს 10-15 მეცნიერი მუშაკი და სათანადო კონსულტაციების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი გახდება ბევრი რთული პრობლემის გადაწყვეტა.

ვახტანგ ჭიჭინაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

◉ კავშირგაბმულობა

რუსთაველები თბილისში კვლავ უფასოდ რეკავენ

ამ დღეებში რუსთაველები დიდად გაახარა იმან, რომ მათ თბილისთან უშუალო, უფასო ტრადიციული კავშირი აღუდგათ. კიდევ რა სიახლეებს უნდა ველოდეთ ამის თაობაზე გვესაუბრება სს „საქართველოს ელექტროკავშირის გაერთიანებული სატელემუნიკაციო კომპანიის“ რუსთავის ფილიალის მმართველი ამირან შალამბერიძე.

— ბატონო ამირან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუქთა, ანუ უფასო სერვისი რაღაც სატყუარას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას. ხომ გაგიგიათ — მუქთა ძეხვი სათაგურშიაო! ჰოდა, სათაგურში შესვლა, ცოტა არ იყოს, საფრთხილოა. რუსთაველებს აინტერესებთ, როგორ გახდა შესაძლებელი უფასო დარეკვა თბილისში?

— ამის წინაპირობა მრავალია: 12, 14-იან ატს-ებში შეიცვალა მოძველებული ტექნიკა. ისინი ახალი ციფრული სატელეფონო სადგურებით აღიჭურვნენ. თბილისსა და რუსთავს შორის გაკეთდა ახალი სარელეო კავშირი. ამ და სხვა ნოვაციებმა შესაძლებელი გახადა, ჩვენი აბონენტებისთვის უკეთესი პირობები შეგვეთავაზებინა, მათ შორის, უფასო ზარი თბილისში. მხოლოდ ეს ზარები შესაძლებელია ჩვენი კომპანიის ატს-ის სადგურების სათანადო ინდექსების აბონენტებთან, რაც თბილისის აბონენტთა დაახლოებით 70 პროცენტს წარმოადგენს. 20-25 წლის წინათ თბილის-რუსთავს შორის ზარები უფასო გახლდათ. მაშინ რუსთავის სადგური აღიქმებოდა როგორც „ელკავშირის“ ერთ-ერთი სადგური.

კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, აღედგინა წლების მანძილზე „გაწყვეტილი“ ეს შემაერთებელი ზარები და ამით წაეხალისებინა ადრე წლობით დაჩაგრული თავისი ერთგული აბონენტები. ასე რომ, ამ მომსახურებას, სიახლეს პირობითად თუ დავარქმევთ. რაც შეეხება „მუქთა ძეხვს სათაგურში“, ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ — ჩვენ აბონენტებს მხოლოდ კომფორტულ გარემოს ვთავაზობთ და აქ რაიმე საფრთხე გამორიცხულია.

ზემოთ ნახსენები ინდექსების მქონე აბონენტებს თბილისში შეუძლიათ დაუკავშირდნენ ნებისმიერ დროს კოდის გარეშე და ეს შემაერთებელი ზარი უფასოა, ისევე როგორც თბილისიდან რუსთავში.

— ბატონო ამირან, თქვენი კომპანიის ასეთ გადაწყვეტილებას მავანი პიარკომპანიად და აბონენტების გადაბირების წინაპირობად აღიქვამს. იმასაც ამბობენ, რომ თქვენ, როგორც მონოპოლისტმა, ძალისმიერი და მიუღებელი ხერხები გამოიყენეთ, რითაც კონკურენტები მძიმე და არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენეთ.

— ჩვენი კომპანია ყოველთვის იყო ლიდერებში და ხშირად, ბაზრის კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების ინტერესებიდან გამომდინარე, თავისთვის საზიანო დათმობაზეც მიდიოდა. ამჟამად იგი ბაზრის სრულუფლებიანი წევრია და მის მონოპოლისტობაზე საუბარი გადამეტებულია. მით უმეტეს, რუსთავში, სადაც ძლიერადაა წარმოდგენილი ისეთი კომპანიები, როგორიცაა „სი-ჯი-სი“ და „მეტაკომი“.

მოკლედ, კონკურენტუნარიანი კი ვართ, მაგრამ მონოპოლისტობამდე ჯერ შორია და არც ვცდილობთ. რაც შეეხება ე. წ. „აკრძალულ ილეთებს“, ვიმეორებ, ჩვენ აღვადგინეთ შემაერთებელი ზარი, რომელიც ადრე იყო და ამით ჩვენს აბონენტებს უკეთესი გარემო შევუნარჩუნეთ.

— აბონენტებზე ზრუნვა გასაგებია და დასაფასებელიც, მაგრამ ამ სიამოვნებას მოკლებული იქნებიან ცენტრალური კავშირგაბმულობის და „მეტაკომის“ აბონენტები, რამაც შესაძლოა თქვენთან მათი მასობრივი გადმოსვლა გამოიწვიოს...

— სამწუხაროდ, ასეთი მასობრივი გადმორთვებისთვის მზად არ ვართ. ეს ერთი. მეორე, რუსთავის სამომხმარებლო ბაზარზე ჩვენ ჩვენი პროდუქტი შემოვიტანეთ და ახლა მომხმარებლის ნებაა, რას ამოირჩევს. თუ მომხმარებელს ხშირი კავშირი აქვს დედაქალაქთან, რა თქმა უნდა, ჩვენთან ურთიერთობას ამჯობინებს, თუ ნაკლები — დარჩება იმ კომპანიასთან, რომელიც ემსახურება.

ჩვენ ვახორციელებთ კომპანიის წინსვლისთვის სათანადო სტრატეგიას და ტაქტიკას კანონის დაშვებულ ფარგლებში, რაც მიმართულია კომპანიის, მისი თანამშრომლების და მომხმარებლის კეთილდღეობის გაზრდისაკენ.

— თუ საიდუმლო არ არის, რა სიახლეებს უნდა ველოდოთ კიდევ?

— დასამალი არაფერია. კომპანიის ხელმძღვანელობა მუშაობს ამ მიმართულებით და არაერთ სიურპრიზს ჰპირდება რუსთაველებს.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ?

— ეს შეეხება საქალაქთაშორისო ზარების ტარიფებს და მრავალ ადგილობრივ სერვის-მომსახურებას.

— უფასო ზარი თბილისში შესაძლებელი გახდა, იქნებ ლოკალური ზარების 0,2 თეთრიც მოგვეხსნათ?

— სხვადასხვა ოპერატორებს შორის ლოკალური ზარების ღირებულებას მარეგულირებელი ადგენს და ყველასათვის შეუცვლელად სავალდებულოა.

— ბაზარზე წარმოდგენილი მრავალი საერთაშორისო ოპერატორიდან რომელს გაუწევთ რეკლამას?

— რა თქმა უნდა, 8-16-ს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩვენია. 8-16-ს აქვს ყოველწუთიერი ფასდაკლების მოქნილი ტაქტიკა და სქემა, რაც ყურმილის აღების მომენტიდან ყველაზე იაფს ხდის მის საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ზარებს. ასე რომ, თვითონ განსაჯეთ!

ნებისმიერი ოპერატორისკენ ნასროლ რეპლიკას ჩემი მისამართითაც აღვიქვამ. ამიტომ მზად ვარ ჯანსაღი კონკურენციისათვის, რითაც ისევ ხალხი მოიგებს.

გივი ჯახუა

◉ ???????????????

საქართველოს აქვს აფხაზეთის აღიარების უნიკალური შანსი

სერგეი ბაღაფშის ინტერვიუ

– რუსეთს გამოჰყავს თავისი ჯარები საქართველოდან, რომელიც, თავის მხრივ, აპირებს ნატოში გაწევრიანებას. როგორ მოხდება აფხაზეთის უშიშროების უზრუნველყოფა ახალ რეალიებში?

– ჩვენ ვუზრუნველყოფთ საკუთარ უშიშროებას და მზად ვართ, შემდგომშიც განვამტკიცოთ იგი. აფხაზეთს ჰყავს მრავალი მეგობარი, რომლებიც გვეხმარებიან ამ საქმეში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეგობრები ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის სამხრეთ ნაწილში, მათ შორის, კაზაკობაც, საჭიროების შემთხვევაში, ყოველმხრივ მხარდაჭერას გაგვიწევს. მაგრამ მე პრაგმატიკოსი ვარ და ჩინებულად მაქვს შეგნებული, რომ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ საქართველოს მხრიდან აგრესიის მოსაგერიებლად. ამის თაობაზე, ორი აზრი არ არსებობს – მხოლოდ საკუთარი ძალებით. თუ იქნება დახმარება – დიდი მადლობლები ვიქნებით, თუ არა და, მზად ვართ, ჩვენი ძალებით დავიცვათ ქვეყანა.

– როგორ ფიქრობთ, ხელსაყრელი იქნება აფხაზეთისთვის, თუ თავის ტერიტორიაზე განალაგებს რუსეთის იმ ბაზებს, რომლებიც საქართველოდან გამოაქვთ?

– ეს ჩვენი გადასაწყვეტი არ არის. ამის თაობაზე ჩვენი პოზიცია არაერთხელ დაგვიფიქსირებია. თავის დროზე აქ იყო სამხედრო ბაზები და ისინი არ უშლიდნენ ხელს აფხაზეთს, პირიქით, ქმნიდნენ უშიშროების გარანტიას და გარკვეულ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას. ასე რომ, ჩვენი მხრიდან, ამ საკითხში პრობლემები არ ყოფილა.

– თუ არის აფხაზეთის არმია ტექნიკურად მზად იმისთვის, რომ უზრუნველყოს თქვენს მიერ დასახული ამოცანების შესრულება?

– აღჭურვა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს არ სჭირდება, მოდერნიზაცია კი სასურველი იქნებოდა. ჩვენ ამ მიმართულებით ვდგამთ საჭირო ნაბიჯებს და ეს საკითხი გადაწყდება უახლოეს მომავალში. ამიტომ, არა მგონია, ჩვენს არმიას არ შეეძლოს გარეშე აგრესიასთან გამკლავება. აფხაზური არმია ხომ შედგება არა მარტო იმ პირებისგან, რომლებიც ამჟამად მსახურობენ შეიარაღებული ძალების რიგებში, არამედ, რეზერვისტებისგანაც, და მთავარი არმიაა, ხალხის და ადამიანების უდრეკი სული.

– დღეს გარკვეულ წრეებში ლაპარაკობენ აფხაზეთის, დნესტრისპირეთის და ჩრდილოეთ ოსეთის სამხედრო ბლოკის შექმნის შესაძლებლობაზე. აფხაზეთში როგორ განიხილავენ ამ ვარიანტს?

– სამხედრო ბლოკის შექმნის ვარიანტს არავინ არ განიხილავს. ამ იდეის არსია ის, რომ თქვენს მიერ ზემოაღნიშნული ერთ-ერთი ქვეყნის მიმართ თუ განხორციელდება აგრესია, დანარჩენი რესპუბლიკები აგრესიის მსხვერპლს შეძლებისდაგვარ დახმარებას გაუწევენ. ჩვენ ჩინებულად გვაქვს შეგნებული, რომ ასეთი შეიარაღებული ბლოკის ან ალიანსის შექმნა რთულია.

– დროდადრო თქვენ ხვდებით ხოლმე თვითაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტებს. ამ შეხვედრების დროს რაზე საუბრობთ და რა საკითხებს ამუშავებთ. თქვენი აზრით, ყარაბაღის მხარე რატომ იჩენს გარკვეულ სიფრთხილეს ამ შეხვედრებში მონაწილეობის დროს, უფრო ხშირად კი, თავს იკავებს ამისგან სხვადასხვა მიზეზის გამო?

– უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა კონფლიქტი გამოირჩევა ერთმანეთისგან, როგორც თავისი არსით, ისე შექმნილი ვითარებით, და მისი მოგვარების გზების ხედვით. ჩვენ ერთი გზა გვაქვს, მთიან ყარაბაღს – მეორე. ბოლომდე მაქვს შეგნებული მათ წინაშე არსებული პრობლემა – იგი უკავშირდება საქართველოს ნავსადგურებიდან სომხეთისთვის საქონლის და ტვირთების მიწოდებას. არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტის დაჩქარება არ შეგვიძლია და არც უნდა გავაკეთოთ ეს. ჩვენ დიდი გაგებით ვეკიდებით მთიანი ყარაბაღის პოზიციას. ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყარაბაღის მხარესთან და ჩვენი ასეთი მზადყოფნა დიდი ენთუზიაზმით აღიქვა ოფიციალურმა სტეპანაკერტმა.

– რას უკავშირებთ საქართველოს სანაპირო დაცვის გააქტიურებას?

– ეს არის მოლაპარაკების პროცესის ჩაშლის ერთ-ერთი ვარიანტი. არადა, ამ პროცესის ჩაშლა ისედაც არ არის რთული საქმე. როგორც იცით, აფხაზურმა მხარემ ერთხელ უკვე უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო თბილისში დაგეგმილ შეხვედრაში, რადგან, ქართულმა მხარემ დააკავა თურქეთის გემი, რომელიც ჩვენი აკვატორიისკენ მოემართებოდა. მაშინ ჩვენ ვთქვით, რომ არ ვაპირებთ მოლაპარაკების განახლებას მანამ, სანამ გემზე არსებულ ტვირთს არ დაგვიბრუნებდნენ. ასეც მოხდა – ტვირთი დააბრუნეს და მოლაპარაკებაც გრძელდება. ერთი რამ არის ცხადი: ვიღაცას ძალზე სურს, რომ სიტუაცია მუდმივად დაძაბული იყოს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ თუ მსგავსი ინციდენტი კიდევ განმეორდება, ქართული მხარის გემებს გავუხსნით ცეცხლს ჰაერიდან, ან სანაპირო დაცვის საშუალებებიდან. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება, რომ ერთი მხრივ, მართავდე მოლაპარაკებას, მეორე მხრივ კი ეწეოდე პროვოკაციულ საქმიანობას.

– რას ელის აფხაზური მხარე ამ მოლაპარაკებისგან, თუ საქართველოს პოზიცია წინასწარ არის ცნობილი – მას უბრალოდ, სურს, თავის შემადგენლობაში დააბრუნოს მეამბოხე რესპუბლიკა...

– საქმე ის არის, რომ ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე და საქართველოზე რომ იყოს დამოკიდებული, შესაძლოა, ეს პროცესი საერთოდ არ ყოფილიყო. მაგრამ მოლაპარაკების პროცესში ჩაებნენ ძალზე სერიოზული ორგანიზაციები და ქვეყნები, მათ შორის, გაერო, საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრები და რუსეთი – ასე, რომ შეუძლებელია, არ გავითვალისწინოთ მათი აზრი. მეორე მხრივ კი, ნებისმიერი მოლაპარაკება მაინც უკეთესია, ვიდრე ომი. მოლაპარაკებისგან ველით მხოლოდ ერთს: საერთაშორისო გაერთიანებამ და მათ შორის, საქართველომაც, უნდა შეიგნოს, რომ აფხაზეთის ხალხმა აირჩია დამოუკიდებლობის გზა და არ აპირებს მისგან გადახვევას. თუ საჭიროა, დე-ფაქტო სიტუაციის დამკვიდრების ფორმები, შეიძლება ამაზეც ვიფიქროთ. მაგრამ, რატომ არ დავიწყეთ ჩვენ დიალოგი პოლიტიკური საკითხებიდან?ყველასთვის ნათელია, იგი ისე დასრულდებოდა, რომ ხეირიანად არც კი იქნებოდა დაწყებული. ჩვენ ვამბობთ, რომ დავიწყოთ იმ რეალური საკითხების განხილვა, რომელიც უკავშირდება ჩვენს მეზობლობას და გარდუვალ ეკონომიკურ თანამშრომლობას. ხომ ვმუშაობთ ახლაც ერთად ენერგეტიკაში? მაშინ, მოდით, ვიმუშაოთ ასევე ერთად, ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიც არის სარკინიგზო კომუნიკაციები. ამ მიმართულებით უკვე გაიმართა ორი შეხვედრა, და ჩვენ მზად ვართ, რომ დავთანხმდეთ ამ შეხვედრების დროს შემუშავებულ ვარიანტს რაიმე წინასწარი პირობების გარეშე. მზად ვართ, აღვადგინოთ ინფრასტრუქტურა, შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები და დავამტკიცოთ ტარიფები. ეს, გარწმუნებთ, უწინარეს ყოვლისა, თვით საქართველოსთვის იქნება ხელსაყრელი. ამავე დროს, ძალზე ძნელია იმის განჭვრეტა, თუ რა მოხდება ხვალ, რადგან ყველაფერი ძირითადად ქართული მხარის პოზიციაზეა დამოკიდებული. თუ თბილისი მოისურვებს ამ შეთანხმების ჩაგდებას, ეს მას არ გაუჭირდება. შესაბამისად, ასევე წარმოიქმნება პრობლემები მთელ მოლაპარაკების პროცესშიც. თუ ვერ მივაღწიეთ მორიგებას ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური საკითხების თაობაზე, პოლიტიკაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

– იქნებ, ჩემი კითხვა არაკორექტულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ როგორ გესახებათ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავალი იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ლიდერმა სტრატეგიულ მიმართულებად აირჩია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება. და საერთოდ, როგორ შეაფასებდით სააკაშვილის ფენომენს?

– მე არ მსურს რაიმე დახასიათება მივცე მეზობელი სახელმწიფოს პრეზიდენტს, თუმცა, იგი თავს აძლევს იმის უფლებას, რომ შეაფასოს სუვერენული სახელმწიფოების – ბელორუსიის, უკრაინის და სხვათა ბედთან დაკავშირებული საკითხები. ეს მისი პირადი საქმეა.

მე შემიძლია გავუგო ნებისმიერ პრეზიდენტს, რომელსაც სურს ააღორძინოს თავისი ქვეყნის ეკონომიკა, აამაღლოს მოქალაქეთა ცხოვრების დონე, გაზარდოს ხელფასები, მაგრამ არის ზოგი რამ, რაც ახსნა-განმარტებას არ ექვემდებარება. ჩვენთვის გაუგებარია ომის რიტორიკა აფხაზეთის მიმართ. გაუგებარია, თუ რატომ ირღვევა ნორმალური დიალოგის პროცესი. ჩვენ მომავალშიც ასე მოვიქცევით. ადეკვატურ პასუხს გავცემთ მილიტარისტულ რიტორიკას. მით უმეტეს – მილიტარისტულ მოქმედებას. ვფიქრობ, რომ ადამიანმა, რომელმაც დემოკრატია ისწავლა ევროპასა და შეერთებულ შტატებში, იცის, თუ როგორ ყალიბდება ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლები. ასეთ ადამიანს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ვერ იქნები დემოკრატი შენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, თუ ასეთი არ ხარ შენს სამშობლოში.

რაც შეეხება სააკაშვილის პიროვნებას, იგი აირჩია ქართველმა ხალხმა და თვითონ ქართველებმა უნდა გადაწყვიტონ კარგი პრეზიდენტი ჰყავთ თუ ცუდი. ჩვენ გვაშფოთებს სულ სხვა რამ – ის მხარეები, რომლებიც გაიძახიან, რომ აუცილებელია სამშვიდობო დიალოგის გამართვა, მოულოდნელად იწყებენ საქართველოს შეიარაღებას. საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი 300 მილიონ დოლარს შეადგენს. ჩვენ ვეკითხებით დასავლელ დიპლომატებს – ვის წინააღმდეგ აიარაღებენ ისინი საქართველოს? ალბათ, გამორიცხულია, რომ ეს ხდებოდეს თურქეთის, სომხეთის, ან რუსეთის წინააღმდეგ. ასეთ სიტუაციაში სავსებით ლოგიკურია, რომ ჩვენც ვესწრაფვით, გავზარდოთ ჩვენი სამხედრო პოტენციალი და ამას გავაკეთებთ ყველა პრობლემის მიუხედავად.

– ნებისმიერი მოლაპარაკება ითვალისწინებს კომპრომისს. თუ შეგიძლიათ მონიშნოთ ის ზღვარი, რომელსაც აფხაზეთი ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ გადააბიჯებს?

– ყველაზე საუკეთესო კომპრომისი იქნება ორი მეზობელი სახელმწიფო – საქართველო და აფხაზეთი. დღეს საქართველოს აქვს უნიკალური შანსი, აღიაროს აფხაზეთი. თუ ამას გააკეთებს, სააკაშვილი ისტორიაში შევა, როგორც პიროვნება, რომელიც აღმშენებლობას ეწევა. ამის გაკეთება რომ შეიძლება, მოწმობს ჩეხეთის და სლოვაკეთის მაგალითი. ეს ადამიანები ერთმანეთს დაშორდნენ და ახლა ნორმალურად ცხოვრობენ გვერდიგვერდ, ხდება მათი ეკონომიკების ინტეგრაცია, ერთობლივად წყვეტენ საკითხებს. ჩვენ კი, ვაბრუნებთ ლტოლვილებს გალის რაიონში და ამით ვასრულებთ მიღწეულ მორიგებებს. ამ თვალსაზრისით, რაიმე სხვა კომპრომისის მიღწევა, ვფიქრობ, ძალზე ძნელი იქნება.

– რამდენი ლტოლვილი დაბრუნდა გალის რაიონში, და რამდენის მიღებისთვის ხართ მზად?

– 2005 წლის ოქტომბერში დაიწყება ყველა იმ პირთა აღწერა, რომლებიც დაბრუნდნენ. ეს დაახლოებით 50-60 ათასი კაცია. ზოგი ბრუნდება, ზოგი ისევ ტოვებს რაიონს, მაგრამ შემდეგ კვლავ ჩამოდის. ომამდე იქ 72 ათასი კაცი იყო.

– საქართველოში ზოგიერთი წრეები ლაპარაკობენ გალის რაიონისთვის ეროვნული ავტონომიის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობაზე. თუ განიხილავენ სოხუმში ამ ვარიანტს?

– არა, არ განვიხილავთ, და არც ვაპირებთ. ეს აფხაზეთის ერთ-ერთი რაიონია.

– სადღეისოდ, როგორი პერსპექტივები აქვს აფხაზეთ-თურქეთის ურთიერთობას? რომელ სფეროებში შეინიშნება თურქული კაპიტალის მოდინება?

– ოფიციალური კონტაქტები და კავშირურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკასთან აფხაზეთს არა აქვს. თურქეთი არანაირ ინვესტიციებს არ აბანდებს. სულ სხვა საქმეა კერძო კომერციული ურთიერთობა. ჩვენ თურქეთში ვყიდით ხე-ტყეს. ისინი მოიპოვებენ ჩვენთან ქვანახშირს, ყიდულობენ ლითონს. თურქეთიდან შემოგვაქვს ფქვილი, მოწყობილობა, საშენი მასალები, მაცივრები, ფართო მოხმარების საქონელი. მთელი ეს ურთიერთობა ეფუძნება ბიზნეს-წრეებს. საერთოდ, ჩვენ გვსურს თურქეთთან კარგი ურთიერთობის დამყარება, რადგან იქ ცხოვრობს 500 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე – მაჰაჯირები. ასეთი კითხვა მებადება: რატომ არ შეუძლიათ მათ დაბრუნდნენ აფხაზეთში ისევე, როგორც სხვა ადგილნაცვალ პირებს? ეს ხომ მათი ისტორიული სამშობლოა. ამ საკითხის გადაწყვეტას ჩვენ, აუცილებლად ვეცდებით.

– თუ განიხილავთ ყუბანთან სხვადასხვა სასაზღვრო პროცედურების გამარტივების, ან მათი საერთოდ გაუქმების შესაძლებლობას? იქნებ, საერთოდ მოშალოთ კიდეც საზღვარი?

– განვიხილავთ. მაგრამ ეს არა ყუბანის ხელისუფლების, არამედ ფედერალური ცენტრის გადასაწყვეტია, რადგან, საქმე ფედერალურ საზღვარს ეხება. და მაინც, აღვნიშნავ, რომ საზღვარი სადღეისოდ უფრო გამჭვირვალე გახდა, მნიშვნელოვნად შემსუბუქდა ტვირთების გატარება და ტურისტების გადმოსვლა. კიდევ ერთხელ მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენ არ ვმუშაობთ რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებთან. ამას მხოლოდ კომერციულ სტრუქტურებთან ურთიერთობით ვაკეთებთ. ამით ჩვენ ვასრულებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გადაწყვეტილებას აფხაზეთის შესახებ საზღვრის გავლის ეგრეთ წოდებული, განსაკუთრებული რეჟიმის თაობაზე. ამავე დროს, კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ასე დაუსრულებლად არ შეიძლება გაგრძელდეს – ომის შემდეგ გასულმა 12 წელმა გვიჩვენა, რომ ასეთ პრაქტიკას შედეგები არ მოაქვს.

– იქნებ, ნაადრევიც იყოს ამის კითხვა, მაგრამ ხომ არ აპირებთ, კენჭი იყაროთ მეორე ვადით?

– კარგი კითხვაა! ჯერჯერობით არ ვაპირებ. გეტყვით, რატომ... მე ამოცანად დავისახე, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ შემექმნა ისეთი პირობები, როცა მომდევნო პრეზიდენტის არჩევნებში არ მოხდებოდა ისეთი მარაზმი, რომელიც წინა არჩევნების დროს იყო. ჩვენი მიზანი იყო, დაგვემშვიდებინა ხალხი, არ შეგვეტანა განხეთქილება საზოგადოებაში. ეს, სადღეისოდ მიღწეულია.

– თუ შეძელით ერთიანი გუნდის ჩამოყალიბება?

– დიახ. თუმცა, ერთი რამ უნდა შევიგნოთ. არჩევნებზე ჩვენ გამოვდიოდით დიდი ბლოკით, რომელშიც, რამდენიმე მოძრაობა და პარტია შედიოდა, ისინი კი, თავის მხრივ, აერთიანებდნენ სხვადასხვა განათლების და პროფესიის ადამიანებს. სადღეისოდ, ჩვენ შევძელით ერთიანი გუნდის ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, დარჩა გარკვეული მომენტები, მაგრამ მე ამას მხოლოდ ჩვეულებრივ საქმიან რუტინას მივაკუთვნებდი. ჩვენი უპირველესი ამოცანაა, ავაღორძინოთ ქვეყნის ეკონომიკა, ავამაღლოთ მოსახლეობის ცხოვრების დონე, განვამტკიცოთ ბიუჯეტი. ჩვენ სერიოზული ვალდებულებები ვიკისრეთ და ახლა ვასრულებთ მათ.

საინფორმაციო სააგენტო რეგნუმ.

„ალ-ყაიდა“ ბრიტანეთს ემუქრება

ლონდონში განხორციელებული აფეთქებების სერიიდან ოთხი კვირის გასვლის შემდეგ, „ალ-ყაიდას“ დაჯგუფებაში გავლენით მეორე ადამიანმა აიმან ზავაჰრიმ გამოთქვა მუქარა ბრიტანეთის მისამართით, კერძოდ, განაცხადა, რომ ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკა გამოიწვევს იმას, რომ „ახალ დარტყმებს მიაყენებენ“ ბრიტანეთის დედაქალაქს.

ზავაჰრის გამოსვლის ჩანაწერი გადასცა პანარაბულმა ტელეკომპანიამ „ალ-ჯაზირამ“, შემდეგ კი ამ გამოსვლის შინაარსი ბრიტანულმა არხებმაც გადასცეს.

„ლონდონში მომხდარი აფეთქებების შემდეგ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მიერ განხორციელებული პოლიტიკა გამოიწვევს იმას, რომ ახალ დარტყმებს მივაყენებთ ბრიტანელებს“, – იმუქრება ადამიანი, რომელიც უსამა ბენ ლადენის მოადგილედ ითვლება.

აიმან ზავაჰრი შეერთებულ შტატებსაც დაემუქრა: „თუ თქვენ განაგრძობთ აგრესიას მუსლიმანების წინააღმდეგ, მოგიწევთ ისეთი საშინელების გადატანა, რომელიც დაგავიწყებთ იმას, რაც ნახეთ ვიეტნამში“.

გამოსვლის დროს აიმან ზავაჰრის ეცვა მუსლიმანებისთვის ტრადიციული ტანსაცმელი, მის ზურგს უკან კი სჩანდა კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი.

თვით ტონი ბლერი არაერთგზის უარყოფდა მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს ბრიტანეთის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ, მიეღო მონაწილეობა სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში, გამოიწვია ივლისში ლონდონში განხორციელებული ტერაქტები.

ბრიტანეთის პრემიერის აზრით, ტერორისტთა დარტყმები მიმართულია დასავლეთის სამყაროს დემოკრატიული სულიერი ღირებულებების წინააღმდეგ.

ამავე დროს, გრძელდება ლონდონის ცენტრალურ ნაწილში მომხდარი ოთხი აფეთქების გამოძიება, რომელთა შედეგადაც დაიღუპა 56 კაცი, მათ შორის ოთხი კამიკაძეც, რომლებმაც აამოქმედეს ასაფეთქებელი მოწყობილობები.

როგორც ცნობილია, 21 ივლისს – აფეთქებათა სერიიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ – ოთხი ადამიანი ეცადა აფეთქებების განხორციელებას ლონდონის საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

რამდენიმე დღის შემდეგ ბრიტანეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს სამი კაცი, რომლებსაც 21 ივლისის არშემდგარი ტერაქტების მონაწილეებად მიიჩნევენ, იტალიის პოლიციამ კი რომში კიდევ ერთი ადამიანი დააკავა. გამოძიების ფარგლებში სულ 15 ეჭვმიტანილია დაპატიმრებული.

დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებს ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ საბოლოო დასკვნები ლონდონში მომხდარი აფეთქებების ორგანიზატორთა შესახებ, მაგრამ ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ყოველივე ამის უკან შეიძლება იდგეს „ალ-ყაიდა“. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებებიც. კერძოდ, ვარაუდობენ, რომ ტერაქტები განახორციელეს ადგილობრივ რადიკალთა დამოუკიდებელი ჯგუფების წარმომადგენლებმა, რომლებიც იზიარებენ ტერორისტული ქსელის იდეოლოგიას.

ისრაელის პოლიცია ცდილობს, თავიდან აიცილოს უწესრიგობა

ისრაელის უშიშროების სამსახურები ახორციელებენ ჰაიფას მახლობლად მდებარე ქალაქ შფარამის პატრულობას, სადაც ბრბომ ლინჩის წესით გაასამართლა ებრაელი ჯარისკაცი, რომელმაც ოთხი ადამიანი მოკლა.

პოლიციის და არმიის დამატებითმა ძალებმა არ უნდა დაუშვან მასობრივი შეტაკებები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს წინა დღით განვითარებულ მოვლენებს.

გაძლიერებული კონტროლი და დაცვა დაუწესეს მთელ რიგ ობიექტებს იერუსალიმშიც. ისრაელში მცხოვრებმა არაბებმა მკვლელობათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა.

როგორც ცნობილია, 4 აგვისტოს საღამოს, მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ერთ-ერთი ებრაული დასახლების 19 წლის მცხოვრებს ედენ ნათან ზაადს ჩხუბი მოუვიდა შფარამში ავტობუსის მძღოლთან, რის შემდეგაც მან ჯერ მძღოლი მოკლა, შემდეგ კი ავტობუსის მგზავრებსაც გაუხსნა ცეცხლი. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, დაიღუპა ოთხი კაცი – ისრაელში მცხოვრები არაბები, გარდა ამისა, კიდევ 12 კაცი დაიჭრა.

როცა ზაადის ტყვიები გაუთავდა, ავტობუსი შტურმით აიღო ბრბომ, რომელმაც ებრაელ ახალგაზრდას ცემით ამოხადა სული.

პოლიციელებმა, რომლებიც მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, გამძვინვარებულ ბრბოს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

ისრაელის თავდაცვის არმია აცხადებდა, რომ ზაადი გაიქცა თავისი ნაწილიდან, რადგან არ სურდა, მონაწილეობა მიეღო ღაზის სექტორიდან ებრაელი მოსახლეების ძალდატანებით ევაკუაციაში.

ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ იგი იყო აკრძალული რადიკალური დაჯგუფების „კახის“ წევრი, და უკვე რამდენიმე დღის განმავლობაში თავის საჯარისო ნაწილში არ გამოჩენილა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ზაადს უწოდა „სისხლისმსმელი ტერორისტი“. მან შეგნებულად სცადა, შუღლი ჩამოეგდო ისრაელის მოქალაქეებს შორის. მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული ტერორი ყველაზე საშიშია ისრაელის მომავლისა და დემოკრატიული სტაბილურობისთვის, ხაზგასმულია ისრაელის პრემიერის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

◉ მიმართვა

ნუთუ, მავანთა აზრით, მართლა ბნელა?!

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო,

გაცნობებთ, რომ სააქციო საზოგადოება „საქგაზმა“ 2005 წლის 24 თებერვალს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა მოპასუხეების – სააქციო საზოგადოება „საქცემენტის“ და სააქციო საზოგადოება „რუსთავცემენტისთვის“ მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების – 3 422 855 ლარის და 74 თეთრის და პირგასამტეხლოს – 1 488 837 ლარის და 06 თეთრის, ჯამში – 5 011 928 ლარის გადახდევინების მოთხოვნით.

საარბიტრაჟო სასამართლომ წარმოებაში მიიღო ჩვენი საარბიტრაჟო პრეტენზია და დაინიშნა საქმის არსებითი განხილვა. ა. წ. 27 ივლისს შედგა მხარეთა პაექრობა და გადაწყდა, რომ პროცესის დამამთავრებელი სტადია – რეპლიკების მოსმენა დაგეგმილიყო 30 ივლისს, დღის 11 საათზე. ეს ასეთ მოხდა, რის შემდეგაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი დარჩა გადაწყვეტილების გამოსატანად. იმავე დღეს, დაახლოებით 16 საათზე, საარბიტრაჟო პალატამ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის მიხედვითაც დაკმაყოფილდა ჩვენი საარბიტრაჟო პრეტენზია გარდა ადვოკატების გასამრჯელოსი და ჩვენს მოწინააღმდეგეებს, ანუ სააქციო საზოგადოება „რუსთავცემენტს“ და სააქციო საზოგადოება „საქცემენტს“ ჩვენს სასარგებლოდ სრულად დაეკისრათ საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებული თანხის, 5 011 928 (ხუთი მილიონ თერთმეტი ათას ცხრაასოცდარვა) ლარის გადახდა. ამასთანავე, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილების ნოტარიულად დამოწმებული პირი გადმოგვეცემოდა ორშაბათს, დღის 11 საათისათვის.

საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არ იქნებოდა გასული ერთი საათიც კი, რომ მეც და ჩემს ადვოკატებს დაგვიკავშირდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე გიორგი ეპიტაშვილი, რომელმაც განგვიცხადა, რომ განიცადა ძლიერი ზეწოლა სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილის დიმიტრი აბესაძისგან და მიიღო დირექტივა, დავეყოლიებინეთ იმაზე, რომ თითქოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ გამოუტანია გადაწყვეტილება და რომ საქმის განხილვა უნდა გაგვეგრძელებინა ორშაბათს, 1 აგვისტოს, რაზეც ბუნებრივია, არ დავთანხმდით და ვუთხარით, დაერწმუნებინა თავისი დამრიგებელი, რომ ეს არის არნახული სიყალბე და სისხლის სამართლის დანაშაული და რომ მსგავსი პრეცედენტი საქართველოს ისტორიაში არასდროს განხორციელებულა.

აღნიშნულის შემდეგ, 1 აგვისტოს დღის 11 საათზე გამოვცხადდით სავაჭრო-სამრეწველო პალატაში და საარბიტრაჟო ტრიბუნალისგან წერილობით მოვითხოვეთ გადაწყვეტილების ნოტარიალურად დამოწმებული პირი. ამავდროულად სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილეს დიმიტრი აბესაძეს კატეგორიულად მოვთხოვეთ, შეეწყვიტა ზეწოლე და არბიტრადის საქმიანობაში ჩარევა და ვუთხარით, რომ ასეთი ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. პასუხად ბატონმა აბესაძემ ცინიკურად გვითხრა, რომ არ იყო საქმის კურსში და გაერკვეოდა.

ამავე დროს, 1 აგვისტოს, სატელევიზიო არხმა „იმედმა“. ინტერვიუ ჩამომართვა მე, ჩვენი საზოგადოების ადვოკატს, საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარეს ეპიტაშვილს და სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილეს აბესაძეს, მოწინააღმდეგე მხარეთა წარმომადგენლებმა და საარბიტრადო ტრიბუნალის ერთ-ერთმა წევრმა კაპანაძემ ტელეკამერის გამოჩენისთანავე, დემონსტრაციულად დატოვეს შენობა. აღნიშნული ინტერვიუ ეთერში გავიდა 17 და 19 საათზე „იმედის“ საინფორმაციო პროგრამაში. ინტერვიუში სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილემ აბესაძემ იცრუა, რომ თითქოს 30 ივლისს პროცესი არ დასრულებულა და ის 1 აგვისტოსაც გრძელდებოდა. ასეთივე სიცრუე დააფიქსირა მან გაზეთ „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუშიც.

მან ზეწოლის ფაქტი კატეგორიულად უარყო, თუმცა როგორც პირველ, ასევე 2 აგვისტოს მთელი დღე თავის სამუშაო კაბინეტში ჰყავდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე ეპიტაშვილი და არ მისცა მას გადაწყვეტილების გადმოცემის შესაძლებლობა, ამასთანავე სამუშაო კაბინეტის წინ გააკეთა თავისი თანამშრომლის და მის მიერ მოწვეული გარეშე პირების კორდონი და არ მოგვცა შესაძლებლობა, შევსულიყავით მასთან კონტრაქტში და გამოგვეთქვა ჩვენი პროტესტი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის პირადად მის მიერ ხელის შეშლისა და ზეწოლის გამო, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება კანონით. აღნიშნული დაფიქსირებული გვაქვს ვიდეოკამერაზე, სადაც სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთ-ერთი თანამშრომელი, გვიღობავს რა აბესაძის კაბინეტისაკენ მიმავალ გზას, გვიცხადებს, რომ აბესაძე ეპიტაშვილთან ერთად იხილავს ჩვენს დავასთან დაკავშირებულ საკითხს. ეს ჩანაწერი გაკეთებულია 2 აგვისტოს სამუშაო საათების მიწურულს და სამუშაო დღე დასრულდა ისე, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დიმიტრი აბესაძის მხრიდან ზეწოლის და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო არ გადმოგვცა გადაწყვეტილება.

აღნიშნულის შემდგომ, 3 აგვისტოს, გავმართეთ პრესკონფერენცია, რომელიც გაშუქდა თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებით – ბეჭდვითი მედიისა და სატელევიზიო საშუალებებით (ტელე-იმედი, რუსთავი-2, საზოგადოებრივი ტელევიზია, კავკასია). პრესკონფერენციაზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალის ერთ-ერთმა წევრმა, გიორგი მაღრაძემ დაადასტურა ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა 2005 წლის 30 ივლისს ნამდვილად დაასრულა საქმის განხილვა და გამოაცხადა გადაწყვეტილება ჩვენი საარბიტრაჟო პრეტენზიის (სარჩელის) დაკმაყოფილების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებას მან ნამდვილად მოაწერა ხელი.

მიმაჩნია, რომ ასეთი ფაქტი არის უპრეცედენტო შემთხვევა, თავისთავად სისხლის სამართლის დანაშაული, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალს გამოაქვს გადაწყვეტილება (რის შესახებ გაგვაჩნია წერილობითი მტკიცებულება სხდომის ოქმი), რომელსაც საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრი კაპანაძე, თავად დიმიტრი აბესაძე და მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები უარყოფენ და აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილება არ გამოცხადებულა, ხოლო ამავე ტრიბუნალის წევრი გიორგი მაღრაძე ადასტურებს გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტს, ტრიბუნალის თავმჯდომარე ეპიტაშვილი კი კომენტარს თავს არიდებს.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (რომლის თავმჯდომარეა თქვენი პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი, ბატონი ჯემალ ინაიშვილი) საარბიტრაჟო ტრიბუნალის ასეთი კრიმინალური ხასიათის ქმედება აძლიერებს ეჭვს, რომ კერძო არბიტრაჟის მიმართ არსებული არაჯანსაღი აზრი სრულებითაც არ არის უსაფუძვლო. მსგავსი პრეცედენტის დაშვება დამღუპველი იქნება ჯანსაღი ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებისა და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით და დისკრედიტაციას უკეთებს მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებსა და სასამართლო რეფორმის მიმდინარეობას.

გაცნობეთ რა მომხდარის შესახებ, იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და მიუკერძოებლობის და, გთხოვთ, აღმოგვიჩინოთ დახმარება, რათა არ იქნეს დაშვებული მსგავსი უკანონობა და გადმოგვეცეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ ა. წ. 30 ივლისს გამოტანილი და გამოცხადებული გადაწყვეტილება.

ღრმა პატივისცემით,

ვალენტინ აკოფოვი,
[illegible]
გენერალური დირექტორი.

მერე ბიუჯეტს რა?

რა არ იციან მეწარმეებმა?

„არაბიუჯეტური“ ჰუმანიტარობა

შპს „კავკასიური ჰუმანიტარული უნივერსიტეტი“ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწევა, რისთვისაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული აქვს სათანადო ლიცენზია. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული საზოგადოების დამფუძნებლები არიან მურმან კვარაცხელია (რექტორი, 60-პროცენტიანი წილით) და ნუნუ სიხარულიძე (პროფესორი, 40-პროცენტიანი წილით).

შარშან, წლის მიწურულს, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში მიიღეს უნივერსიტეტის რექტორის მ. კვარაცხელიას განცხადება, რის საფუძველზე სამართალდამცველებმა იქ მოყვანილი ფაქტები შეამოწმეს. ამის შედეგად, შპს „კავკასიურ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტს“ ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით 9121 ლარის გადახდა დაეკისრა.

რექტორი მ. კვარაცხელია და პრორექტორი ნ. სიხარულიძე გაეცნენ ჩატარებული შემოწმების აქტს. მ. კვარაცხელიამ მას ხელი მოაწერა და თავის ახსნა-განმარტებაში ისევე, როგორც განცხადებაში, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პრორექტორი ნ. სიხარულიძე, საზოგადოების დაარსების დღიდან, იგნორირებდა მის მითითებებს და რჩევებს, თავად ახორციელებდა ფინანსურ კონტროლს და შესაბამის საბუთებს ბეჭდით მასთან შეუთანხმებლად ამოწმებდა. ნ. სიხარულიძე აქტს არ დაეთანხმა და ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ **დეკლარაციები და გაანგარიშებები საგადასახადო ინსპექციაში არ წარადგინა საზოგადოების მწირი შემოსავლისა და 2003 წელს ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო (?!)**

აღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

„შეცდომით“ ნაყიდი მონობარათები

უცნობმა მამაკაცმა მთვარისა ცხომელიძეს შინ მობილური ტელეფონით დაურეკა, თავი გიორგი მაისურაძედ წარუდგინა და აცნობა, რომ მისი ბინის ტელეფონმა 700 ლარი პრიზი და „სონის“ ტიპის მობილური ტელეფონის აპარატი მოიგო. პრიზის მისაღებად კი მ. ცხომელიძეს უნდა ეყიდა ორი 30-ლარიანი მონობარათი, გარკვეული ნომრის მობილურ ტელეფონზე დაერეკა და მათი 12-ნიშნა კოდები ჩაეწერინებინა, რაც მან თხუთმეტ წუთში შეასრულა კიდეც. ამის შემდეგ, ვითომდა ავტომანქანისა და იტალიური ავეჯის მოგების „გასანაღდებლად“ (?!), მ. ცხომელიძეს კიდევ შეაძენინეს 12 ცალი 30-ლარიანი, ერთი ცალი 15-ლარიანი და ორი ცალი „ჯეოსელის“ „ასტრა ბარათი“. მოგებული პრიზების მისაღებად მ. ცხომელიძე კოსტავას ქუჩაზე „მაგთიკომის“ ოფისში უნდა მისულიყო, თუმცა... **ორი დღის შემდეგ მას გარკვეული ნომრის მობილური ტელეფონიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ მან... შეცდომა დაუშვა და ამიტომ იგი ძალიან... ეცოდებათ (!!!)**



ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მიერ ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ აფიორა კარგად იყო ორგანიზებული და მისი „ავტორების“ ვინაობას აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას დაადგენენ.

ულიცენზიოდ, მაშასადამე უკანონოდ

შპს „ქინერის“ საქმიანობა ელექტროენერგიის წარმოება და მისი გაყიდვაა. ამის განსახორციელებლად, ათ წელზე მეტი ხნის წინათ, „საქენერგომ“ და „ქინერმა“ № 1 ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის თანახმად ამ უკანასკნელმა გრძელვადიანი იჯარით აიღო იმ პერიოდში „საქენერგოს“ ბალანსზე რიცხული „ქინვალჰესის“ ელექტროსადგური თავისი ინფრასტრუქტურით.

1999 წლის 15 თებერვალს „ქინვალჰესის“ ძირითადი ფონდები სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაციის“ ბალანსიდან გადაეცა შპს „წყალკანალს“ – ამ უკანასკნელის საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანით. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვის თბილისის სამმართველოს მიენიჭა „ქინვალჰესზე“ მოქმედი 1994 წლის 1 მარტის № 1 ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ფუნქციების განხორციელებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების უფლება. ამჟამად, საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს 2003 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, შპს „ქინერსა“ და შპს „თბილწყალკანალს“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ვადა გაგრძელებულია 15 წლით, ანუ 2019 წლამდე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის თანახმად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადების გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის ლიცენზირებას ექვემდებარება. ვინაიდან, შპს „ქინერი“ ზემოაღნიშნული გადასახადის გადამხდელია, იგი ვალდებული იყო ჰქონოდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზია, თუმცა იგი არ ჰქონია. ამასთან დადგენილია, რომ ულიცენზიო საქმიანობის დროს შპს „ქინერმა“ განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი მიიღო, კერძოდ, შარშანწინ მან წლის განმავლობაში აწარმოა და მომხმარებელს მიაწოდა 8,68 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ელექტროენერგია.

შპს „ქინერის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ თ. ჯიქინაძემ აღნიშნული საკითხის ირგვლივ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარი განაცხადა. თუმცა ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შპს „ქინერის“ ხელმძღვანელობის მიმართ ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოში, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

გაწყვეტილი კონტრაბანდული „ჯაჭვი“

ცოტა ხნის წინათ ფინანსურ პოლიციაში, საქართველოს უშიშროების სამინისტროს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოებიდან მიიღეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მეტროს სადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე „იკარუსის“ მარკის ავტობუსში აღმოაჩინეს რუსეთიდან ცხინვალის რეგიონის გავლით კონტრაბანდულად შემოტანილი კომპიუტერის ნაწილები და სამედიცინო სტომატოლოგიური იარაღები.

ტვირთის მფლობელმა ტარიელ ძნელაძემ განაცხადა, რომ შარშან დეკემბერში იგი გორის რაიონის სოფელ თამარაშენში მცხოვრებ გივი დათუაშვილს დაუკავშირდა და სთხოვა, რომ მისთვის მოსკოვიდან სხვადასხვა საქონელი გამოეგზავნა, რისთვისაც საერთო ნაცნობის სახელით 1350 დოლარი გაუგზავნა. რამდენიმე ხანში მას ავტობუსის მძღოლი დავით ბაბუციძე დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ მოსკოვიდან მისთვის საქონელი ჰქონდა ჩამოტანილი, რომელიც საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს. ტ. ძნელაძე ტვირთის დაკავების ადგილზე, მეტროს სადგურ „დიდუბეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე რომ მივიდა, გაირკვა, რომ ვინაიდან ტვირთს არავითარი თანმხლები დოკუმენტაცია არ ახლდა, უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ხუთი ყუთი დალუქეს.

თავის მხრივ ცხინვალი-თბილისი-ცხინვალის ავტობუსის მარშრუტის მძღოლმა დ. ბაბუციძემ მოკვლევას განუმარტა, რომ 2004 წლის 5 დეკემბერს, ცხინვალის ცენტრში იგი ვინმე ყაზბეგ თედეევმა გააჩერა და თბილისში ხუთი ყუთის ჩატანა და ტ. ძნელაძესთვის გადაცემა სთხოვა, რომელსაც მობილური ტელეფონით უნდა დაკავშირებოდა.

შპს „ჯიფის“ ექსპერტიზის ბიუროს ცნობების თანახმად, აღნიშნულ ხუთ ყუთში მოთავსებული საქონლის საერთო საბაზრო ღირებულება (დღგ-ს გათვალისწინებით) 7792 ლარია, ხოლო მთლიანი საბაჟო ღირებულება 4286 ლარს შეადგენს.

საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო წესების დარღვევით შემოტანასთან დაკავშირებით ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ასე გაწყდა ქვეყნის ტერიტორიაზე კონტრაბანდის გზით საქონლის შემოტანის კიდევ ერთი აწყობილი „ჯაჭვი“.

ოთარ ტურაბელიძე

ვეტერინარია

ვეტერინარია მრავალი სახის უტყვ პაციენტს ემსახურება. მათ განსხვავებული სნეულებანი აწუხებთ. თუმცა ცხოველისა და ადამიანის საერთო დაავადებათა რიცხვი ამჟამად 200-მდეა, მათგან 150 ინფექციური, ხოლო 50-მდე ინვაზიური წარმოშობისაა. როგორც ცნობილია, ვეტერინარი სპეციალისტი დაავადებისაგან იცავს არა მარტო ცხოველს, არამედ ადამიანსაც. ამიტომაც არის, ალბათ, ვეტერინარია ცივილიზებულ ქვეყნებში პრესტიჟულ პროფესიად რომ ითვლება და მასზე დიდი მოთხოვნაც არის.

სახელმწიფო სტრუქტურებში მოდადქცეულ რეფორმას რეფორმა ცვლის. როგორც გვმოძღვრავენ, ასეთი სიტუაცია „რევოლუციის“ შედეგია და მოულოდნელობასაც არავისთვის არ უნდა წარმოადგენდეს, მთავარია, რეფორმას შირმად არავინ იყენებდეს. ისე კი, თუ სიმართლეს თვალებში შევხედავთ, ცვლილებები და რეფორმები მართლაც საჭიროა და დროული.

რეფორმა, რომელიც საქმეს წაადგება

სხვა სამსახურებს არც ვეტერინარიის დეპარტამენტი ჩამორჩება. აქ რეფორმა ძირითადად ვეტსამკურნალო ობიექტების კომერციულ სამსახურად გარდაქმნას ითვალისწინებს. რაც მთავარია, ვეტექიმები თვითანაზღაურების პრინციპით დასაქმდებიან და, ამდენად, ბიუჯეტზე დამოკიდებულები არ იქნებიან. ეს კი ნიშნავს, რომ კერძო ბეითალს 30-50 ლარის ნაცვლად მაღალი ანაზღაურება ექნება. ხელფასი კი მოიმატებს, მაგრამ სანქციებიც გამკაცრდება. საკმარისია პირუტყვი აუცრელი აღმოჩნდეს, ან ვაქცინაცია არასრულად ჩაუტარდეს, რომ პასუხისმგებლობა პატრონთან ერთად ვეტექიმსაც დაეკისრება. პირუტყვის მეპატრონე უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისთვის 1500 ლარამდე დაჯარიმდება. თუ დაავადებული პირუტყვის იზოლირება არ მოხდება და იგი სხვათა დასნებოვნების მიზეზად იქცევა, ჯარიმა 3000 ლარამდეა გათვალისწინებული.

ამერიკის მთავრობის დახმარებით უახლესი ტექნიკითა და დანადგარებით აღიჭურვება ლაბორატორიები. აქ ამერიკული მხარის მიერ მომზადებული სპეციალისტები სულ მალე ნებისმიერი პირუტყვის სისხლის ანალიზით იმასაც დაადგენენ, აცრილია თუ არა პირუტყვი. ვეტექიმის უპასუხისმგებლობის შესახებ აუცილებლად იმსჯელებენ, თუკი ხუთ განსაკუთრებით საშიშ დაავადებაზე (ცოფი, ჯილეხი, თურქული, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი) აუცრელი პირუტყვი აღმოჩნდება, ჩამოთვლილ დაავადებებზე ვაქცინაცია მოსახლეობისთვის უფასოა, ვაქცინისა და ექიმის მომსახურების ხარჯებს სახელმწიფო კისრულობს. რაც შეეხება სხვა დაავადებებს, პროფილაქტიკისა და მკურნალობის ხარჯები პირუტყვის პატრონმა უნდა გადაიხადოს.

მოსახლეობას ალბათ დააინტერესებს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიქმნება ვეტსამსახურებისა და მონიტორინგის ახალი სამსახური – ვეტერინარული ზედამხედველობის 3-4-კაციანი რაიონული ინსპექციები. ისინი არა მარტო ვეტერინართა სამუშაოს ხარისხსა და მოცულობას შეამოწმებენ, არამედ უფლება ექნებათ, გააკონტროლონ სავაჭრო ობიექტებში გასაყიდად გამოტანილი ხორცის და რძის პროდუქტები.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტდეპარტამენტის უფროსი ჯამბულ მაღლაკელიძე: – დღემდე ვეტერინარული სამსახური კომუნისტური პერიოდიდან მოყოლებული სტრუქტურებით ცდილობდა საქმის კეთებას, რაც თითქმის შეუძლებელს ხდიდა დარგში არსებული პრობლემის გადაჭრას. 2-3 წელია, რაც რეფორმის მოსამზადებელ ეტაპზე ვიმყოფებით, საკანონმდებლო ორგანომ რამდენიმე ახალი კანონიც მიიღო. ასე რომ, რეფორმას მოუმზადებელი ნამდვილად არ შევხვედრივართ. 1 ივლისიდან სახელმწიფო ვეტსამსახური თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებულ სტრუქტურაზე გადადის, რაც ძირითადად მოიცავს ვეტერინარიის დარგში არსებული სახელმწიფო სამსახურების განკერძოებას.

ძირითადად ეს განხორციელდება აგრარულ ბაზრებში, რაიონულ ვეტსამკურნალოებსა და მათზე დაქვემდებარებულ ვეტუბნებზე. აღნიშნული ობიექტები ამ პერიოდიდან ლიკვიდირებული იქნება, როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, მათ ადგილზე კი შეიქმნება ისეთი ვეტსტრუქტურები, რომლებიც ეპიზოოტიების წინააღმდეგ ღონისძიებათა გატარებას უზრუნველყოფენ, ანუ ჩაატარებენ იმ დაავადებათა საწინააღმდეგო ვაქცინაციას, რომელ დაავადებასაც სახელმწიფო აფინანსებს. სახელმწიფო ყიდულობს ვაქცინას, აცხადებს ტენდერს ღონისძიების შესრულებაზე და გამარჯვებულ ვეტსტრუქტურას სათანადო თანხასაც აძლევს ვაქცინაციის ჩასატარებლად. მოსახლეობისათვის აღნიშნული ღონისძიება კვლავ უფასო იქნება მხოლოდ 5 დაავადებაზე. ესენია: თურქული, ჯილეხი, ცოფი, ბრუცელოზი და ტუბერკულოზი. დანარჩენი ღონისძიებებისათვის პირუტყვის მეპატრონე სათანადო თანხას უხდის კერძო სტრუქტურას.

სახელმწიფო ვეტექიმი გააკონტროლებს ამ ღონისძიების ჩატარებას.

ბაზრობებსა და იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც არაქარხნული წესით დამზადებული მეცხოველეობისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებით ვაჭრობენ, 2005 წლის 1 ივლისიდან სავალდებულო გახდება ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის (ლაბორატორიის) არსებობა. სადაც ასეთი ლაბორატორია არ იქნება, მკაცრად აიკრძალება ხორცისა და რძის პროდუქტებით ვაჭრობა, ოღონდ აქ არაქარხნული წესით დამზადებულ პროდუქციაზეა საუბარი.

რეფორმის შემდეგ სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის ფუნქცია ქვეყანაში ვეტერინარიის დარგში სწორი პოლიტიკის გატარება, კერძო და სახელმწიფო ვეტსამსახურებს შორის კოორდინაცია, ვეტსანიტარიული ზედამხედველობის და ვეტინსპექტორული კონტროლის დაწესება იქნება.

გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ადრე დამარხული და ლეშადქცეული ხორცის გაყიდვა მაინც მოხერხდა თბილისში, ვეტდეპარტამენტის თავმჯდომარე მორიგ, გაუგონარ ჭორს უწოდებს და აცხადებს: – შარშან, დეკემბერში, ტრანზიტით მორიგი ტვირთი საქართველოს ტერიტორიის გავლით გავიდა რუსეთის ფედერაციის მიმართულებით საბაჟო და საკარანტინო წესების სრული დაცვით. გადაკვეთა საზღვარი, მაგრამ დიდთოვლობის გამო ვერ შევიდა რუსეთში და რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა ნეიტრალურ ტერიტორიაზე.

გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით ხორცმა და ხორცპროდუქტებმა ლპობა დაიწყეს. იყო საშინელი სუნი, რის გამოც მოსახლეობამ ხელისუფლების ჩარევა მოითხოვა. ვეტდეპარტამენტისა და სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მუშაკთა მონაწილეობით გადაწყდა პროდუქციის განადგურება, რის გამოც იგი გადმოტანილი იქნა იალღუჯის ოფიციალურ ნაგავსაყრელზე, გაითხარა ღრმა ორმოები და პროდუქცია იქ დაიმარხა. დამარხვის პროცესში და შემდგომ ამ ადგილას და აგრეთვე ტრანსპორტსაც, საიდანაც ეს ტვირთი გადმოიტვირთა, ჩაუტარდა დეზინფექცია. ეს იყო აპრილში.

პრესაში არასწორი ინფორმაციისა და ჭორის გამოქვეყნების გამო დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ორმოს ამოთხრა და იქედან უკვე მოწამლული, ლეშად-ქცეული დეზინფექცირებული და გახრწნილი ხორცის ამოღება შეუძლებელი იყო. გავრცელებული ინფორმაცია რამდენჯერმე პირადად გადავამოწმეთ და ტერიტორია დავათვალიერეთ როგორც ჩვენ, ასევე სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის წარმომადგენლებმა.

[illegible]ორს.

ინფორმაცია

ისეთ „მუსიკას“ დაგვიკრავენ, რაც ამ თანხას შეკადრება

ქუთაისის მერიის წინ მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებმა და სტუდენტებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც ამ სასწავლებლის დირექტორმა ემი არსენიძემ აქციაზე განაცხადა, სექტემბრიდან მათ დაფინანსება უწყდებათ. „ეს ყველაფერი აბსოლუტურად უტიფარი და უსუსური მერის მოვალეობის შემსრულებლის ბესიკ გულორდავას დამსახურებაა. გულორდავა გზას უკეტავს ნიჭიერ თაობას და კლავს იმ სასწავლებელს, რომელიც 87 წლის წინათ მელიტონ ბალანჩივაძემ დააარსა“, – აღნიშნა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ემი არსენიძემ.

„ეს ადამიანი ყოველ წელს ცდილობს ხელისუფლების ლანძღვითა და შანტაჟით მიიღოს იმაზე მეტი დაფინანსება, ვიდრე ეკუთვნის“, – განაცხადა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ გულორდავამ დღევანდელი აქციის კომენტირებისას.

ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურში აცხადებენ, რომ სამუსიკო სასწავლებელს დაფინანსება არ უწყდება.

როგორც სამსახურში აცხადებენ, მთელი წლის განმავლობაში ერთი სტუდენტის სწავლა 800 ლარით დაფინანსდა, ნაცვლად 1700 ლარისა, რომელსაც აქციის მონაწილეები ითხოვენ.

ტყეებს იქნებ ინსპექტორებმა უშველონ

ხეტყის უკანონო ჭრის აღსაკვეთად უახლოეს მომავალში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს რამდენიმე რეგიონში სპეციალური ინსპექტორატი შეიქმნება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა განუცხადა, პირველი ეტაპისთვის ინსპექტორატების ჯგუფი სამცხე-ჯავახეთის მხარეში შეიქმნება, სადაც ხეტყის უკანონო ჭრის თვალსაზრისით ურთულესი მდგომარეობაა. ერთი წლის განმავლობაში კი სამინისტრო ინსპექტორატების შექმნას საქართველოს ყველა რეგიონში გეგმავს.

ტყეს ღირსეულმა ხალხმა უნდა მოუაროს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა თიანეთში ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტებთან დაკავშირებით სატყეო დეპარტამენტის ექვსი თანამშრომელი გაათავისუფლა. მინისტრი გიორგი პაპუაშვილი 5 აგვისტოს თიანეთში ჩავიდა, რათა თავად ენახა, რა მდგომარეობაა რაიონში ტყის მასივებთან დაკავშირებით. მას ახლდა მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებული ვასილ მაღლაფერიძე. მინისტრის განცხადებით, თანამდებობიდან გათავისუფლებულნი არიან თიანეთის სატყეო მეურნეობის დირექტორი ნოდარ აბრამიშვილი, მთავარი მეტყევე თამაზ ობგაიძე, ქებოტას სატყეოს უფროსი ოთარ ხელაძე, ღულელების სატყეოს უფროსი ელგუჯა წიკლაური, ზარიძეების სატყეოს უფროსი დავით შავერდაშვილი, ახალსოფლის სატყეოს უფროსი ვაჟა მოსახლიშვილი.

გათავისუფლებული პირების შესახებ საქმე პროკურატურას გადაეცა, რათა დადგინდეს კონკრეტული პირის ბრალეულობა.

გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, სამინისტროს ხელმძღვანელობა აგრძელებს აღებულ კურსს და საქართველოს მასშტაბით ხეტყის უკანონოდ ჭრის შესამცირებლად სპეციალურ ღონისძიებებს ატარებს. ივნისის თვეში უკვე შემოწმდა ამბროლაურის, ონის, ვანის, ბორჯომის, ბაკურიანის, ადიგენისა და საჩხერის სატყეო მეურნეობები. ყველაზე მძიმე მდგომარეობა იყო ბორჯომ-ბაკურიანში, სადაც, როგორც მინისტრმა განაცხადა, საკადრო ცვლილებები განხორციელდა.

ინტერპრესნიუსი

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

როდესაც „კონტროლს“ თავად სჭირდება გაკონტროლება

კვლავ საწამლავადქცეული წამლების შესახებ

გადაფურცლეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 8 ივნისის ნომერი (134) და მეოთხე გვერდზე კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი სტატიას „ამბავი სააფთიაქო ქსელისა“. სტატიას საზოგადოებრივი ტელევიზიაც (პირველი არხი) გამოეხმაურა და, როგორც მკითხველები და ტელემაყურებლები მიგვანიშნებენ, მასში სააფთიაქო ქსელში არსებული უმსგავსოებების მხოლოდ ერთი ნაწილია წარმოჩენილი და ამ „ერთი ნაწილის“ აღმოფხვრასაც არავინ ცდილობს!

თუმცა, მკითხველ-ტელემაყურებელმა იმის შესახებაც იცის, ალბათ, თუ რამდენი ე. წ. რეიდი ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით ფალსიფიცირებული წამლების გამოსავლენად და ამოსაღებად. თითქოსდა, დაიწყო ბრძოლა პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ კომპანიური ღონისძიებები ამ საქმეში ვერაფერს შველის, სხვადასხვა ხერხითა და მეთოდით, კვლავ გრძელდება ფალსიფიცირებული, ვადაგასული წამლებით ვაჭრობა და ამას შეუიარაღებელი თვალიც ადვილად შეამჩნევს.

ზემოთ აღნიშნულ სტატიაში, მართალია, ფალსიფიცირებულ და ვადაგასულ წამლებზე გაკვრით იყო ნათქვამი, მაგრამ მასში უფრო ხაზგასმით და მკვეთრად იყო საუბარი იმ ფაქტებზე, რომლებიც დეფიციტური „წამლების მაფიას“ შეეხებოდა; ამა თუ იმ ფირმისა თუ კომპანიის მიერ რესპუბლიკაში შემოტანილ წამლებს ადგილობრივ ქსელში მთელი 100 და 200 პროცენტით თუ როგორ ემატება ფასი და, როგორ ქმნიან „მეაფთიაქენი“ დეფიციტს, რომ მერე გაჭირვებულ ავადმყოფებს სხვა გზა არ დაუტოვონ, გარდა გაათმაგებულ ფასებში მათთვის საჭირო და აუცილებელი პრეპარატის შეძენისა.



ამ თემაზე, თუ გახსოვთ, სააფთიაქო ბიზნესის უკვე ყოფილი „მუშაკი“ გვესაუბრა. ჩვენც ჩავატარეთ ერთგვარი ჟურნალისტური მოკვლევა და ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ოღონდ (ვაღიარებ!) არც ჩვენს საგაზეთო სტატიაში და არც სატელევიზიო გამოსვლაში კონკრეტულად არ დაგვისახელებია არათუ „ობიექტი“, არამედ წამლის სახელწოდებაც კი. და ეს ჩვენი რესპონდენტის რჩევით გავაკეთეთ. მან კი ასეთი **ფრაზა** ბრძანა:

> – „... კიდევ იმდენი უმსგავსოება ხდება ამ ბიზნესში, რომ... მასში ჩართულნი არიან ისეთი გავლენიანი „გვამები“, რომლებმაც თავის დროზე ხელი შეუწყვეს ისეთი პრეპარატების ლეგალიზაციას, რომელთა „ამოღებაზე“ ვარდების რევოლუციის შემდეგ, უსაშველოდ მძიმე ომი გამოცხადდა. მათ შორის არიან ყოფილი და ახლანდელი თანამდებობის პირები... მოდით, ნურაფერს დაწერთ... ჯერ ერთი, საშიშია, მეორეც, **წერილის გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე კიდევ უფრო მოიმატებს იმ დეფიციტური წამლების ფასი!“**

და მართალი აღმოჩნდა ჩვენი რესპონდენტი!!

მრავალთა შორის საქმე ეხებოდა ისეთ წამლებსა და სამკურნალო საშუალებებს, როგორიც არის თვალის წვეთები „ტრავატანი“, ფსორიაზის სამკურნალო აეროზოლი „სკინ-კაპ“ და ა. შ.

ამას წინათ კვლავ გავიარე თამარ მეფის ქუჩის კუთხესთან (რკინიგზის სადგურის მხრიდან) არსებულ სააფთიაქო ბაზაში, რომელსაც ასეთი „სუფთა“ სახელი ჰქვია – „კრისტალი“ და რომელშიც ზემოთ ხსენებული წერილის გამოქვეყნებამდე „ტრავატანის“ გასაყიდ ფასად 23 ლარამდე დამისახელეს, ამჟამად კი გამყიდველმა ქალბატონმა ბოდიშის მოხდით მომახსენა:

– „სამწუხაროდ, ჩვენს ბაზაშიც „ტრავატანის“ ფასმა 37 ლარამდე მოიმატა!...“

რა მექნა, უტრავატანოდ ჩემი მეგობრის თვალისჩინს ძალიან გაუჭირდებოდა და ვიყიდე! მე მაინც გამიმართლა, აქვე რომ ვიშოვე ესოდენ ძვირფასი (ყველანაირი გაგებით!) წამალი, იმათი ბედი კი მაფიქრებს, ვისაც სხვაგან მოუხდება მისი შეძენა!

რატომ მოიმატა ფასმა ასე უღვთოდ? – ამაზე ჯერჯერობით ვერავინ გვიპასუხა. ეტყობა „საქმემ მოითხოვა“ ასე!

ასევეა „სკინ-კაპის“ შემთხვევაშიც! ასევეა თქვენი გადარჩენის სხვა იმედიც. ისინი უკვე, კიდევ უფრო გაორმაგებულ ფასებში შეიძლება გაიყიდოს ჩვენი „ქველმოქმედი ბიზნესმენების“ ამაგით.

არადა, რა უნდა მირჩიოთ? ვერაფერიც! რადგან თქვენი ავადმყოფობა ფეხებზე ჰკიდიათ ამ კატეგორიის მამულიშვილებს!

ისე კი, უპრიანი იქნებოდა, ჯანდაცვის თავკაცნი დაინტერესებულიყვნენ და მაკონტროლირებელ ჯგუფებსაც ცალი თვალით მაინც ჩაიხედათ იმ „ფაფაშიც“, რომელსაც სააფთიაქო ბიზნესი ჰქვია! ან იქნებ სახელმწიფო სტრუქტურები ამოუდგნენ მხარში გლაუკომიანებს, ფსორიაზიანებს, დიაბეტიანებს და სხვა მწვავე, მოურჩენელი ავადმყოფობით დაავადებულ ადამიანებს და, აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ, შეღავათიანი დახმარება აღმოუჩინონ და მკაცრი კონტროლი დააწესონ მათ მომსახურებაზე!

თუმცა, მეშინია, კვლავ არ გამართლდეს ჩემი რესპონდენტის სიტყვები: – „...ჩვენს ქვეყანაში, ზოგიერთ „კონტროლს“ თვითონ სჭირდება კონტროლი!“

ამიტომაა, რომ ჩვენში წამალი საწამლავადაა ქცეული!

ზაურ ფიფია

სტატისტიკა

„სარკეს“ შემომწყრალი ხელისუფლება

დღევანდელ ადამიანს რა აღარ აინტერესებს. ამ ზღვა, უამრავ შეკითხვაზე პასუხს სტატისტიკა იძლევა. მას მრავალი მომხმარებელი ჰყავს, მაგრამ უფრო მეტად მაინც ვინ? ამას წინათ სწორედ ეს გამოიკვლია სტატისტიკის დეპარტამენტმა, რომელმაც თბილისში 1530 რესპონდენტი გამოჰკითხა. ესენი იყვნენ ხელისუფლების, მასმედიის, საწარმოთა, არასამთავრობო, აკადემიური სექტორის, საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

როგორც გამოკვლევამ აჩვენა, სტატისტიკის მუშაობის შესახებ ყველაზე ცუდად ინფორმირებული არიან ხელისუფლება და საწარმოები, ხოლო ყველაზე კარგად – მასმედია.

სტატისტიკის ინფორმაციით ხშირად ინტერესდებიან საერთაშორისო ორგანიზაციები და საწარმოები.

მეტ-ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ ყველა მომხმარებელი სტატისტიკას, უპირატესად, არსებული მდგომარეობის შესაფასებლად იყენებს. ღონისძიებების ეფექტიანობისა და სამომავლო მოქმედებების განსაზღვრისათვის სტატისტიკა ნაკლებად გამოიყენება, ამ უკანასკნელი დანიშნულებით მას შედარებით ინტენსიურად არასამთავრობო სექტორი და საერთაშორისო ორგანიზაციები იყენებენ.

საკვირველია, მაგრამ მთავრობა და საწარმოები, თურმე, ყველაზე იშვიათად იყენებენ სტატისტიკურ მონაცემებს, არადა, ეს უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ქვეყნის განვითარებისათვის – იგი ხომ წარმოების და, ზოგადად, მთელი ეკონომიკის მდგომარეობის ამსახველი სარკეა! ამიტომაც, სტატისტიკის დეპარტამენტს, ალბათ, მნიშვნელოვანი ძალისხმევა დასჭირდება, რათა სრულყოფილად შეასრულოს თავისი მთავარი ფუნქცია – ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება.

როგორც ირკვევა, 2003 წელთან შედარებით, ამჯერად სამთავრობო სექტორის მხრიდან სტატისტიკის სამსახურთან ურთიერთობა, მისი მონაცემების სხვადასხვა მიმართულებით გამოყენება და შეფასება, გაუარესებულია. ეს, ბუნებრივია, სტატისტიკას ახალ სირთულეს უქმნის. ასეთი მდგომარეობა სტატისტიკოსებს აიძულებს სახელისუფლებო წრეებში პოპულარიზაცია გაუწიოს თავის საქმიანობას, რაც ხელისუფლებას არ უნდა სჭირდებოდეს.

ამავე პერიოდში სტატისტიკისა და მასმედიის ურთიერთთანამშრომლობა ყველა პარამეტრით გაუმჯობესებას აჩვენებს. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, სტატისტიკით მასმედიის მზარდი დაინტერესებაა, რასაც სტატისტიკის სამსახურის მხრიდან შესაბამისი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. ეს არსებითად გააუმჯობესებს სტატისტიკის სამსახურისა და ინფორმაციის მომხმარებელთა ამ უმნიშვნელოვანესი სეგმენტის ურთიერთობას.

რაც შეეხება საწარმოო სექტორს, სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნით და მოხმარებით არც წინა გამოკვლევის შედეგებით გამოირჩეოდა და არც ახლანდელი გამოკვლევა აჩვენებს დიდ დაინტერესებას. თუმცა გარკვეული პროგრესი ამ სფეროში მაინც შეიმჩნევა.

გაუარესებულია მდგომარეობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მხრივ, რაც უდავოდ დამაფიქრებელია. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ ერთი ცხადია, სტატისტიკის სამსახურმა კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ლალი ქინქლაძე

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №21

ძვირფასი საფლავები

როდენის ქუჩა. იაკობ ნიკოლაძის სახელოსნო. ამ ეზოში, სხვა ნივთებს შორის მოქცეული ქანდაკების – "მწუხარე საქართველოს" ასლი ისეთ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, როგორც მთაწმინდაზე, ილიას საფლავზე აღმართული...

დრო და ადგილი, უკვე სიმბოლოში გადასული, სხვა იდუმალებით მოსავს ქმნილებას.

ეს სკულპტურა თავდაპირველად სულ სხვაგვარად იყო ჩაფიქრებული...

თავს გვახსენებენ მარადიული დროის ნიშნები – ძვირფასი საფლავები.

[illegible] "მწუხარე საქართველოს"

„იმედი მაქვს, ნიკოლაძე მალე წამოვა და ილიას ძეგლს წამოიღებს პარიზიდან... „დროებაში" იყო გამოცხადებული, ნიკოლაძემ დაამთავრაო ძეგლი თიხაში და ქარხანას გადასცა, სადაც უნდა ჩამოასხან"

(ოლღა გურამიშვილი –
მარჯორი უორდროპს).

ფაქტიობრივად კი ილიას საფლავის ძეგლი **„მწუხარე საქართველო"** არა ქარხანაში, არამედ პარიზიდან არცთუ ისე შორს, **მედონში, ოგიუსტ როდენის** სახელოსნოში ჩამოასხეს თავად **იაკობ ნიკოლაძემ** და ფრანგი მაესტროს მეგობარმა, ჩამომსხმელმა **მილემ.**

* * *

როდენის ქუჩაზე, იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში, მოქანდაკის შვილიშვილი ბატონი ზურამ ნიკოლაძე გვესაუბრება, რომ როდენი – ნიკოლაძის შეხვედრა ერთმნიშვნელოვანი არ იყო.

– ის წელიწადი და სამი თვე, რომელიც იაკობ ნიკოლაძემ როდენთან გაატარა, ძნელია მოწაფისა და მასწავლებლის ურთიერთობას შევადაროთ. როდენი უმეტესად სდუმდა და თავის შემოქმედებას ქმნიდა. ნიკოლაძე შეკვეთების შესრულებაში ეხმარებოდა და აქედან გასამრჯელოს იღებდა.

– ესე იგი ცნობილი და ძალიან ლაკონიური დეპეშა **„გელით მედონში. ოგიუსტ როდენი"** ახალგაზრდა მოქანდაკე ნიკოლაძისთვის უკვე სახელგანთქმულ როდენთან მუშაობას ნიშნავდა.

– მეტიც. ოგიუსტ როდენი XX საუკუნის მხატვრულ სამყაროში ქმნიდა გემოვნების მიმართულებას. ის იყო მაჩვენებელი გემოვნებისა. მის სიახლოვეს ყოფნა ძალიან ბევრს ნიშნავდა და ძალიან ძნელი მისაღწევიც გახლდათ.

როდენის ავტორიტეტი შეუვალი იყო. ჰქონდა ძალიან ბევრი შეკვეთა. ვერ ასწრებდა. გარდა ამისა, თავისი სულიერი მოთხოვნილებების შესაბამისად სურდა ემუშავა. დროში ვერ ეტეოდა და ზოგიერთ სკულპტურას მთლიანად ნიკოლაძეს ანდობდა. მაგალითად, დორევილის და გაბრიჩევსკის პორტრეტები თავიდან ბოლომდე ახალგაზრდა იაკობმა შექმნა. თავად იგონებდა, რომ დორევილის უკვე დასრულებულ სკულპტურას დიდი მაესტრო მიუახლოვდა დაათვალიერა, სადღაც საყელოსთან მასტეხინით ერთი შტრიხი გაჰკრა და თავისი ხელმოწერა გააკეთა „ოგიუსტ როდენი". აქ მისი სახელი იყო მთავარი და შთაბეჭდილების მომგვრელი. ვიღაც უცნობი ნიკოლაძის გვარი მაშინ არაფერს ნიშნავდა.

დორევილის ეს სკულპტურა ალბათ სადმე კერძო კოლექციაშია. მეცნიერ გაბრიჩევსკის ტონანახევრიანი ქანდაკება კი მოსკოვში, პუშკინის მუზეუმში დგას, რა თქმა უნდა, როდენის ხელმოწერით.

* * *

ფრანგ სიმბოლისტთა სკოლის ბიოგრაფი რემი დე გურმონი სახელდების მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს. მისი აზრით, საგანი თავის რეალობას ვერ შეიძენს, სანამ იქნება ანონიმური.

„მარმარილოს უსახელო ბიუსტებს შორის ლუვრში (და ყველგან), შესაძლოა იყოს ბიუსტიც, რომელსაც ჩვენ ვეძებთ: ბიუსტი ლეკრეციასი, ბიუსტი კლოდის, ხოლო სწორედ იმიტომ, რომ იგი არ არის აღნიშნული ცნობილი სახელით, ჩვენ, როცა მას ვუცქერით, არ ვგრძნობთ იმ ჟრუანტელს, რომელიც მოგვიცავს პიროვნებათა დანახვაზე"...

* * *

ზურამ ნიკოლაძე: – **მოწაფისა და ოსტატის დამოკიდებულება სრულიად პრაქტიკული იყო. ერთი ფულს იხდიდა, მეორე მუშაობდა, მაგრამ პარალელურად ეს დიდი სკოლაც გახლდათ, სასურველი ყველა ახალგაზრდა შემოქმედისთვის. როდენმა ნიკოლაძე დაინახა, მაგრამ ყველა ხომ ვერ ხედავდა.**

იაკობ ნიკოლაძე ცხოვრობდა თავის ძმასთან, ბათუმში, როცა იქაურ სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა. მერე ოდესაში თაბაშირის კლასი დაამთავრა. ამის შემდეგ გაემგზავრა მოსკოვში. იქ სამხატვრო აკადემიაში არ მიიღეს – სტროგანოვმა უთხრა: იქნებ გადაიფიქრო და სხვაგან ჩააბარო, სხვა საქმე ნახეო...

მაგრამ მისმა ერთმა ოდესელმა მასწავლებელმა, ვგონებ კოტლიაროვმა ურჩია: პარიზში წადიო. იქ ყველა თავისას პოულობს და შენც შენს მაყურებელს ნახავო...

* * *

პარიზში გამგზავრებამდე იაკობ ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლის ესკიზებზე მუშაობდა.

საგანგებოდ მოწვეულმა კომისიამ: გიგო გაბაშვილის, ალექსანდრე მრევლიშვილის, მოსე თოიძის, არქიტექტორების სიმონ კლდიაშვილის, კალგინის, მხატვრების გრინევსკის შმერლინგის და ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობით, წინასწარ ესკიზები განიხილა.

მათ ძეგლის არქიტექტურული ნაწილი მოიწონეს, მაგრამ ცვლილებების შეტანა ითხოვეს.

ნიკოლაძე ცვლის ძეგლის კომპოზიციის არქიტექტურას და მგლოვიარე ქალის ფიგურის მდგომარეობასაც.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდში ინახება ამ საგანგებო სამხატვრო კომისიის სხდომების ოქმები, რაშიც ვკითხულობთ: **„ძეგლის ფრონტონის კარნიზზე მოთავსებული ილიას ბიუსტი უნდა მოიხსნას, რადგან იგი არღვევს ძეგლის მთლიანობას.**

იხ. მე-8 გვ.



[illegible]

გამომცემლობა „არტანუჯმა" (თბილისი), რომელმაც უკვე ნდობა მოიპოვა საინტერესო ისტორიული წყაროების გამოცემით, ახლახან წიგნის სამყაროს შემატა ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახების ფოტოტიპური გამოცემა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით. ეს გახლავთ მესამე წიგნი იმ კორპუსისა, რომლის პირველი ნაწილი – „გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები", 1993 წელს გამოსცა ბატონმა ზურაბმა პროფესორ ქველი ჩხარტიშვილთან ერთად (ბატონ ქველის საქმიანობა ამართლებს მის სახელს!); მეორე წიგნი – „იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები" 1999 წელს დაიბეჭდა, და აი მესამეც, რომელიც ბატონ ზურაბის სიტყვით პირველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული საგამომცემლო საქმიანობის გასაჭირის გამო ბოლოში მოექცა. და მაინც, გამოჩნდნენ ადამიანები და ორგანიზაციები, – დაინტერესებული სამეცნიერო ლიტერატურის ბედით, – სწორედ მათი მხარდაჭერით გაასრულა თავისი დიდი რუდუნებით წამოწყებული საქმე ბატონმა ზურაბმა, რომელიც ოთდაათამდე წიგნის ავტორია და ყოველი წიგნის გამოცემა მისთვის ძეობის ტოლფასია! ასეთია ჭეშმარიტი მწიგნობრის ბუნება... წიგნიერება ადამიანებს ახალგაზრდობასაც უნარჩუნებს – მაშ რა არის ეს, თუ არა ძველებური ჟინი – როცა მწერალი, მკვლევარი კალამს ხელიდან არ უშვებს და სათავისო სვრელი გუთნისდედასავით გაჰყავს – ამ რუდუნების შედეგია ზურაბ ჭემბურიძემ მეფურად რომ ჩამოურიგა ქართველ თავად-აზნაურებს სიგელ-გუჯრები მათი წარმომავლობის, მათი გვარიშვილობის, მათი ქართველობის ხელმისაწვდომ საბუთად!.. (სერიის მთავარი რედაქტორია ბუბა კუდავა).

თუმცა, ვაი თუ, მომავალ თაობებს აღარც დაჭირდეთ ეს დასაბუთება, ვაი თუ, ისე წავიდეს საქმე, უმრავლესობისათვის სულერთი იყოს წინაპრის გვარ-სახელი, ანდა სულაც სხვანი და სხვანი დაეპატრონონ მათ!..

გვარ-სახელი ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია, – მტრობით იყო თუ მოყვრობით ქართველ თავად-აზნაურთა აღწერაზე რუსეთის მეფემ – ნიკოლოზ I-მა რომ იზრუნა?! ეს კია, ამ საქმეს, ათი წელი დაჭირვებია და აი, XIX საუკუნის შუაში თითქმის სრული ნუსხა, სრული სურათი სახეზე იყო. მესამე გამოცემის ანოტაციაში სწორედ ესაა ხაზგასმული – რომ წიგნში წარმოდგენილია ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახების სრული ნუსხა, დადგენილი XIX საუკუნის 40-იან წლებში და დამტკიცებული რუსეთის იმპერატორის მიერ 1850 წლის 6 დეკემბერს. სანკტ-პეტერბურგში! 1851 წელს უკვე დაბეჭდილა კიდეც და დაუგზავნიათ სათანადო საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებებისათვის, როგორც სახელმძღვანელო საცნობარო დოკუმენტები. მკვლევარი აღნიშნავს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გამოცემულა (1856-57 წ.) იმპერატორისავე ხელდასხმით საქართველოს თავად-აზნაურთა დამატებითი ნუსხა, რომელიც შეივსო ე.წ. „მაძიებელთა" გვარებით.

ჩემი ეჭვის საპირისპიროდ – თუ მომავალი თაობა რამდენად გამოიჩენს გულისხმიერებას ამგვარი ნაღვაწისადმი, ბატონი ზურაბი იმედიანადაა განწყობილი და ბრძანებს:

„ამჟამად ჩვენში გენეალოგიური კვლევისადმი ინტერესი რამდენადმე გაცხოველებულია: გამოქვეყნდა ადრე ძნელად ხელმისაწვდომი არაერთი დოკუმენტი, დაიწერა სპეციალური გამოკვლევები და მონოგრაფიები, გამოიცა ლექსიკონები, შეიქმნა საგვარეულო საზოგადოებები და გენეალოგიური კვლევის ცენტრები, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ წვეთებია ზღვაში. ხანგრძლივმა უძრაობამ ამ დარგში ისეთი ვაკუუმი წარმოშვა, რომ მის შესავსებად რამდენიმე თაობის გულმოდგინე მუშაობა იქნება საჭირო..."

... და რაც მთავარია: „რაც უფრო მეტი წარმატება იქნება მოპოვებული გენეალოგიური კვლევა-ძიების გზაზე, დარწმუნებული ვართ, მით უფრო მკაფიოდ გამოჩნდება ჩვენი დოკუმენტებისა და სხვა მსგავსი ცნობიერების, სამრევლო სიების, საეკლესიო ჩანაწერების მნიშვნელობა ამ საქმეში. სამწუხაროდ, ამგვარი მასალების დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზთა გამო უკვე სამუდამოდ დაკარგულია".

... ანდა როგორ გადაურჩა ეს ძვირფასი განძი (დიახ!) ჟამთა სვლასა და ფერისცვალებას?

– ზენათი კლდიაშვილის თხოვნასაც წავაწყდი ქუთაისის არქივში შვილების სახელმწიფო ხარჯზე სწავლის თაობაზე, – მეუბნება ბატონი ზურაბი – ბებიაჩემის დედის – ზენათი კლდიაშვილი-ჭუმბურიძის შესახებ, რაზეც მე ვწერდი ნარკვევების სერიაში „მას მატიანეს ვარქმევ" (გიორგი ჭუმბურიძის მოგონებები რომ დაედო საფუძვლად).

... ეს წინაპრის გამოცხადებას უდრის, – ზეპირგადმოცემას საბუთიც რომ დაგიდასტურებს.

წინამდებარე გამოცემის არსებით ღირსებად ბატონი ზურაბი მიიჩნევს უნიკალურ ცნობებს ქართველ თავად-აზნაურთა ვინაობის, რაოდენობის, ოჯახების სტრუქტურის, ნათესაური ურთიერთობისა და სამსახურებრივი მდგომარეობის შესახებ XIX ს. შუა ხანებში.

– მართალია, ცნობარში ასახულია მხოლოდ თავად-აზნაურთა ოჯახების ვითარება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმ დროისათვის ეს იყო საზოგადოების ყველაზე მოწინავე ნაწილი, ქართველი ინტელიგენციის ძირითადი ბირთვი.

... ჭეშმარიტად!..

აი მაგალითიც: ცნობარში ერისთავების ოცზე მეტი ოჯახია წარმოდგენილი – პირველია ინფანტერიის გენერალი, სენატორი გიორგი იასეს ძე ერისთავი, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების მონაწილე მამაცი სარდალი (სამხედრო კარიერა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაუსრულებია).

აქ უნდა აღვნიშნო, რომ ბატონ ზურაბს, თავის მხრივ კორექტივებიც შეაქვს ქართული გვარ-სახელების სისწორეში – მისი მამის სახელი ცნობარში წარმოდგენილია, რუსული ფორმით – Евсеев – ქართულად ეს იასეა! მსგავსი უზუსტობა მეორდებაო...

კიდევ ორ გიორგი ერისთავზე ამახვილებს ყურადღებას მეცნიერი: ერთია – შტაბსკაპიტანი გიორგი დავითის ძე და მეორე – პოლკოვნიკი გიორგი რევაზის ძე – ამათგან, ბრძანებს იგი, პირველი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული კულტურის ისტორიაში. ის არის გამოჩენილი დრამატურგი, ქართული კომედიის მესაძირკვლე, თეატრალური მოღვაწე და ჟურნალისტი.

ღვთის მადლით, გიორგი ერისთავის სახელი ფართოდაა ცნობილი ჩვენს სინამდვილეში; აქვე ეხება ავტორი შანშე ერისთავის უფროს ვაჟს – ელიზბარს – 1832 წლის შეთქმულების აქტიურ მონაწილეს, აჯანყების გეგმის თანაავტორს, რომელსაც ამის გამო სასიკვდილო განაჩენიც კი გამოუტანეს, რაც შემდეგ ფინეთში გადასახლებით შეიცვალა. 11 წლის მერე სამშობლოში დაბრუნებული კვლავ კულტურულ და სამეურნეო საქმიანობის შუაგულში ტრიალებს – აუგია მინის ქარხანა გორში (სოფ. ღვარებში) და პირველმა სცადაო ჟურნალისტთა საზოგადოების ჩამოყალიბება.

... ასე ცოცხლდება წარსული...

ახლა **მეორე ლირიკული გადახვევა:** ჩვევად მაქვს სახელთა საძიებლის გადათვალიერება – რა ერქვათ უმეტესად ქართველ მანდილოსნებს – თავად-აზნაურთა ასულებს? – სახელი ხომ სამკაულივითაა!

ა-ზე მოვდივარ: აგათადისტია, აგატინა, აგაპოდისტა, ადელაიდა, ავახანუმ, ათმამ-ხანუმ, ანაქალია, ასმათ-ხანუმ, ატატა... ერთადერთები... ჭარბობს ანა, ანასტასია, გვხვდება ანანა, ანანია და ანუსია;

ბ-ზე : ჭარბობს ბარბარე; კენტად კი არიან ბალგიზ-ხანუმ, ბანგუა, ბეუქ-ხანუმ, ბზინო! (მომწონს!)...

გ-ზე – ხშირია გაიანე (ჩემი ნათლიის სახელია!),

დ-ზე – დარეჯანი, დარია; კენტად: დუკა, დუკია, დუსკა.



ქართლ-კახეთის
თავადები და აზნაურები

ძალზე გავრცელებულია ეკატერინე, ელენე, ელისაბედ, ეფემია, აქაიქ ევა და ეფროსინე, მარია, მარიამ, მელანია და ისევ კენტად: ელისა! მერეც ერთი ვარდისახარი, ზევარჰ-ხანუმ, ზეხათუნა, თანია, თეიბა-ხანუმ და რა თქმა უნდა: თეკლე, თამარ, თინათინ, თებრონია, კეკელა, მაია, მაკა...

ისევ: ერთადერთი ია, მაგდალინა, ორგან იაგუნდა, მინადორა და სამჯერ „შემხვდა" მზეხათუნა...

... ჩემი სეხნიაც ალმოვაჩინე – ნანახანუმი და უბრალოდ – ნანა – სვიმონ სულხანიშვილის ოჯახში. ბევრია ნინოს მოსახელე, ასევე სალომე, სოფიო, ქეთევან, არიან სიდონიები, პელაგიები, ტასიები, ხორეშანები; ერთადერთია ქრისტინე, ტურფა, შირინა, და ისევ აქა-იქ ოსანა! ვიცნობდი ერთ ქისტაურელ ქალს – მეაბრეშუმე ოსანას – უთავხუროდ არ გადაიღებდა სურათს!

ჰაეზეც მოდის ერთი სახელი: ჰეიროპოს-ხანუმ!

არ შემიძლია არ აღვნიშნო ვაჟთა სახელები: ალექსანდრეს, გიორგის, გრიგოლის, დავითის, დიმიტრის, ზაალისა და ზაქარიას, ზურაბის, ივანეს, იოსების, ლუარსაბის, ლევანის, მიხეილის, ნიკოლოზის, სვიმონისა და სიმონის, კონსტანტინეს, ქაიხოსროს სიჭარბე – ეს ხომ მთელი სიმფონიაა! არიან ამირანებიც!

და აქაც: თითო კორნელი, ნანია, ნონია, რატი და საბა!.. აქვე მინდა ვთქვა: გიორგის თურმე მეშვიდე შვილს არქმევდნენ ხოლმე ჩვენი წინაპრები!..

ნანა ღვინეფაძე
2005 წ. 4 აგვისტო.

ძველი ტექსტები ახალი ილუსტრაციებით

„დღეს ყოველ გაკოტრებულ პოლიტიკოსს თავი წმინდა სებასტიანე ჰგონია, რომელიც დაისრულია სამშობლოთი და სამშობლოსთვის. ყოველი მეშჩანი, რომელიც ვერ ახერხებს ნამდვილი საქონლით სპეკულაციას – სპეკულანტობს დღეს საქართველოს სიყვარულით.

საქართველო და პატრიოტობა დღეს ჩვენში შეიქმნა ყოველი კარიერაშერყეული ქართველის ჯაგლაგად...

დღევანდელ ხანაში ეს უსინდისო, სპეკულანტური, გაიძვერული ფსიქოლოგია, რომელიც წაღმა-უკუღმა „ეტორღიალება" საქართველოს სხეულს – განსაკუთრებით ძლიერია...

და როცა ვფიქრობ ასეთ ფიქრებს, როცა თვალწინ მიდგება ასეთი ხალხი და საქართველო – მე ვერ ვპოულობ ვერც ერთ სახეს, რომელიც ღირსი იყოს საქართველოსი... და მე მგონია, რომ ყველა ჩვენგანი ამას ვგრძნობთ..."

ნიკოლო მიწიშვილი.

№ 185-186. შაბათი, 6 აგვისტო, 2005 წელი.

ლიტერატურა და თარიღები

„სიტყვებისა და დეკლარაციების კორიანტელი გაივლის…“

მწერალთა დაბადების თუ გარდაცვალების თარიღები მათი ბიოგრაფიების კიდევ ერთხელ და მეტ-ნაკლებად მოკრძალებით აღნიშვნასთან ერთად ეპოქის რეალიებსაც შეგვახსენებენ.

ურთულეს დროში მოღვაწეობდა ლევან ასათიანის თაობა. მას მერე ბევრი რამ სხვანაირად გამოიყურება. ბევრი რამ კი ისევ არსებობს, მცირეოდენი სახეცვლილებით.

მწერალი, რომელსაც დაბადებიდან 105, ხოლო გარდაცვალებიდან 50 წელი შეუსრულდა, ბუნებრივია, რომ უკვე შორიდან, დროის ლაბირინთებიდან გვესაუბრება: **„ჟამთა მიმავლობაში სიტყვებისა და დეკლარაციების კორიანტელი გაივლის, ლეგენდები გაცამტვერდება და ხალხს ხელთ დარჩება ნამდვილი ლიტერატურული საქმე“.**



საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ რთული ეპოქის კულისებში შექმნილი ლიტერატურა: უბის წიგნაკები, დღიურები, ანუ ყველაფერი ის, რაც იმთავითვე გამოსაქვეყნებლად არ იყო გამიზნული და საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილის მყუდროებასა თუ შემოქმედებითი ლაბორატორიის სხვათათვის დაფარულ პროცესს გამოხატავს. ამგვარ ნაწერებში უკვე ანგარიში აღარ ეწევა ქრონოლოგიურ დროს, დამთრგუნველ გარემოსა და პიროვნება ეგზისტენციალურ დროს ეკუთვნის. (ეგზისტენციალურ დროს, რომელსაც ყველა თაობა **„ჩვენს დროს“** ეძახის (ხოსე ორტეგა ი გასეტი) არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, მაშინ, როცა უკვე საბოლოოდ დადგინდა ლევან ასათიანის ლიტერატურული სტატუსი, როგორც მრავალმხრივი შემოქმედის, უაღრესად ერუდირებული ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსისა, პროფესორმა სარგის ცაიშვილმა მწერლის არქივში დაცული ჩანაწერების გამოქვეყნების აუცილებლობა შეგვახსენა: **„მზის სინათლეს ელის მის არქივში, უბის წიგნაკებში შემორჩენილი არაერთი მახვილი შენიშვნა და მოგონებანი ჩვენს თანამედროვე მწერლებზე, რომელთა უმეტესობასთან მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა“.**

ეს მასალა ლ. ასათიანის არქივში ჩვენ ჯერ კიდევ 1998 წელს დავამუშავეთ.

გთავაზობთ ფრაგმენტებს მწერლის ჩანაწერებიდან.

* * *

დღეს ვიყავით გამოძახებული კანდიდ ჩარკვიანთან მე და სიკო დოლიძე სცენარ **„ილია ჭავჭავაძის“** გამო. სცენარი წაკითხული ჰქონდა. გვითხრა, ბევრი მუშაობა ჩაგიტარებიათ, საინტერესო მასალები დაგიგროვებიათ, არის მთელი რიგი საუცხოვო ეპიზოდები. ამ სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი უსაყვარლესი სურათი იქნება ქართველი ხალხისთვის... მაგრამ საქმე ისაა, ჩვენ ხომ მარტო ჩვენი ხალხისთვის არ ვიღებთ სურათს ილიაზე – იგი გასაგები უნდა იყოს სხვებისთვისაც – რუსებისთვის და სხვა. ილიამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ბანკს, რომელიც იმ დროს ქართული სახელმწიფოებრიობის ჩანასახს წარმოადგენდა, ეს იყო უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმე, მაგრამ სხვებისთვის, არა ქართველთათვის, ბანკის ხსენება დაკავშირებულია კაპიტალისტურ-ფინანსურ ორგანიზაციასთან, მშრომელი ხალხის ყვლეფასთან. შეიძლება ეს ამბავი ვერ მივიდეს უცხო მაყურებლის გულამდე. შემდეგ აღსანიშნავია, რომ ბანკის გარდა, სცენარში თქვენ ნაჩვენები გაქვთ ილიას ბრძოლა ქართული ენისა და კულტურის დასაცავად ხალხის მტრებთან, მეფის მოხელეებთან და რეაქციონერ მოღვაწეებთან – ასეთები არიან იანოვსკი და სხვები. აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ილიას ბრძოლას კატკოვ-იანოვსკების და მეფის სხვა მოხელეების წინააღმდეგ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხისათვის. ამ მხრივ განუზომელია ილიას ღვაწლი. მაგრამ აქაც ერთი უხერხულობა იქმნება. ყველა ეს მოხელე, ვისაც ილია ებრძოდა, იყვნენ რუსები – არის საშიშროება, რომ ჩვეულებრივი მაყურებელი ამ რუსი მოხელეების წინააღმდეგ ბრძოლას აღიქვამს, როგორც რუსების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც სასურველი არაა, ცხადია.

იქნებ ამიტომ უმჯობესი იყოს, დროებით გადავდვათ საერთოდ ამ სცენარის საკითხი და ვილაპარაკოთ ახალ სცენარზე.

* * *

უდისციპლინო კოზლოვსკი

არ მახსოვს ვინ მიამბო:

– ერთხელ ხელოვნების საქმის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ამხანაგ სტალინთან იჩივლეს, „მომღერალი კოზლოვსკი სისტემატურად არღვევს შრომის დისციპლინას და როგორ მოვიქცეთო?

„შეგიძლიათ თუ არა უმისოდ წარმართოთ ოპერის საქმეო“ – იკითხა ბელადმა.

„არ შეგვიძლია“ – უპასუხეს.

„თუ ასეა, რა ჯანი გაქვთ, უნდა მოითმინოთ მისი უდისციპლინობაო“. – სიცილით უპასუხა თურმე ბელადმა.

* * *

დ. ბენაშვილი:

– 1930 წელს, „ახალგაზრდა კომუნისტის“ თანამშრომლები ვეწვიეთ დავით კლდიაშვილს სახლში. ალერსით მიგვიღო.

საუბრის დროს სხვათა შორის გვითხრა: **– რაც არ უნდა ბოროტი იყოს კაცი, მას აქვს ერთი წუთი ადამიანობისა, იმას უნდა ჩასჭიდოთ ხელი, გაადიდოთ, თვალსაჩინოდ გახადოთ...**

...ნურასოდეს ნუ შეიბრალებთ კაცს, ეს შეურაცხჰოფაა. უნდა უთანაგრძნოთო მას.

* * *

ვ. გუნიას ცალი თვალი შუშის ჰქონდა, სიარულიც გადაქანებული იცოდა. ოტელოს როლს რომ ითამაშებდა, ვასო აბაშიძე დაცინვით იტყოდა ხოლმე:

– ქაჯან, კოჭლი და ბრმა ოტელო გაგიგიათ?

(მწერალთა კავშირში გაგონილი).

* * *

გ. ლეონიძე:

– ერთხელ თბილისში ესენინმა მითხრა: ბლოკი გერმანელი იყო, მაიაკოვსკი – ქართველი. ნამდვილი რუსი პოეტი მე ვარ.

* * *

ზ. ფალიაშვილმა თავის „დაისში“ ვანო სარაჯიშვილისთვის შეიტანა არია: „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“ (აკაკის სიტყვებზე). ვანო სარაჯიშვილი ამ არიას მღეროდა სიკვდილის წინ, მისი ჰანგი დააკვდა მის გაცივებულ ბაგეებს.

(ქართული მუსიკის გადაცემა დილის რადიოში).

25.VIII.46

* * *

გ. ლეონიძე:

– პატარა ბიჭი ვიყავ, ერთხელ დედა მიდიოდა სახლიდან, გავეტირე, წამიყვანა. ჩვენ მივედით სიონის ტაძარში. იქ კუბო იდგა, შიგ მოხუცი კაცი ესვენა, შუბლის ერთი მხარე გატეხილი ჰქონდა, ზედ დაფნის ფოთოლი ეფარა. დედამ მითხრა: – **დაიმსახსოვრე შვილო, ეს არის ილია ჭავჭავაძე. ასე ვნახე პირველად დიდი მგოსანი.**

6.IX.46

* * *

ს. კლდიაშვილი:

– მე და კოწია კამსახურდია ერთად ვსწავლობდით ქართულ გიმნაზიაში, ქუთაისში. მეექვსე კლასიდან მან დაიწყო ლექსების ბეჭდვა კ. აბაშისპირელის ფსევდონიმით.

მახსოვს თემას რომ მოგვცემდა სილოვან ხუნდაძე ან ბარათაშვილიდან ან გრ. ორბელიანიდან, კოწია თავის დაწერილს წინ წაუმძღვარებდა ეპიგრაფის სახით რამდენიმე სტრიქონს თავისი ლექსიდან. ეპიგრაფს მედიდურად ეწერა ქვეშ მისი ფსევდონიმი.

სილოვანი მოუტანდა გასინჯულ რვეულებს. **– ვინ არის ეს სულელი აბაშისპირელი, რომ მისი ლექსები მოგყავს ეპიგრაფად?** – შეეკითხებოდა სილოვანი უკმაყოფილო კილოთი.

6.XI.46.

* * *

ერთხელ გიორგი ქუჩიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე შეხვდნენ ერთმანეთს. ჩამოაგდეს ღვინის სმაზე საუბარი.

– მოდი დავანებოთ თავი ღვინის სმას, ამას გადავყვებითო – უთქვამს გალაკტიონს.

გიორგისაც კვერი დაუკრავს, ერთმანეთს უმტკიცებდნენ ღვინის მავნებლობას, გიორგის უთქვმს: **ეს ძალიან კარგი თემაა, მოდი რაღა ქუჩაში ვდგევართ, აქვე სახაშეში ჩავიდეთ და იქ განვაგრძოთ ლაპარაკიო. ჩასულან, იქ უკვე დავიწყებიათ ეს თემა.**

* * *

იაკობ ნიკოლაძე:

– ჩემს წიგნს უფრო სწორი იქნება სათაურად ჰქონდეს: „ერთი წელიწადი როდენთან და ხუთი წელიწადი ბარონთან“ – ის ხუთ წელიწადს ეგდო სახელგამში, სანამ ბარონ ბიბინეიშვილი მოახერხებდა მის გამოცემას.

ისიდორესაგან გაგონილი.

6 დეკ., 1945.

* * *

ლექსის დაწერის დღეს

გიორგი ლეონიძე:

– ლექსს რომ დავწერ, იმ დღეს მთელი დღე ვტორტმანებ, მიხარია, ქუჩაში გამოვდივარ...

(ბელიაშვილთან საუბრის დროს).

24 იანვ. 46 წ.

რა ვზის მოციქულა "მწუხარე საქართველო"

(მეშვიდე გვერდიდან)

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მიერ გაკეთებული ძეგლის მოდელი მტირალი ქალის ფიგურით, სიმბოლურად წარმომდგენი საქართველოსი, რომელიც დასტირის თავის საყვარელ პოეტს, კომისიამ ცნო სავსებით გამომხატველად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის საფლავის იდეისა“.

* * *

ამ პერიოდში იაკობ ნიკოლაძე უკვე საფრანგეთში მიემგზავრება.

1909 წელი, 27 აგვისტო. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას:

მე ახლა მედონში ვარ. ილია ჭავჭავაძის ძეგლი უკვე დავასრულე თიხაში. მოდელის თიხაში დიდხანს დატოვება შეუძლებელია. ამისათვის გიგზავნით რა ფოტოგრაფიულ სურათებს, უმორჩილესად გთხოვთ, რაც შეიძლება მალე განიხილოთ და გამგეობის აზრი დეპეშით შემატყობინოთ.

კომისიას კვლავ შესწორება შეაქვს.



გურამ ნიკოლაძე: ამ პერიოდში მოქანდაკის მიერ შესრულებული ეს სკულპტურა პარიზში მოიწონეს. სამხატვრო სალონში გამოფინეს. უცხოელები, რომელთაც ალბათ პირველად ესმოდათ საქართველოს და მით უმეტეს, ილია ჭავჭავაძის სახელი, ყურადღებით ათვალიერებდნენ ამ ქმნილებას. ამბობდნენ: როგორც ჩანს, ეს პიროვნება ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა ამ ქვეყნისთვისო. ქართველების სულისკვეთება მათთვის უცხო იყო, მაგრამ თანაგრძნობით და მოწიწებით განეწყვნენ.

– რა პრინციპით არჩევდნენ ამ სალონში გამოსაფენ ნამუშევრებს?

– ფენდნენ თითქმის ყველაფერს, მაგრამ რეკლამისთვის ფორმა იყო სხვადასხვაგვარი. ფენდნენ იმიტომ, რომ თავს იზღვევდნენ.... შესაძლოა პოტენციურ ხელოვანთან ჰქონოდათ საქმე. შეუმცდარი არავინ არის... თუ იტყოდნენ: იხსნება გამოფენა სადაც იქნება ფერწერის გრაფიკის და სკულპტურის ნიმუშებიო, ეს მათი მხრიდან არაფერს ნიშნავდა. მაგრამ თუ გამორჩეულად იტყოდნენ, ამა და ამ გამოფენაზე დევს ესა და ეს საინტერესო ნამუშევარიო, ეს უკვე წინასწარ აღიარებას გამოხატავდა.

მათ ამ შემთხვევაში აღნიშნეს: „აქ გამოფენილი იქნება კავკასიელი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის სკულპტურა „მწუხარე საქართველო“, მიძღვნილი პოეტ ილია ჭავჭავაძისადმი“. ამ გამოფენამ ნიკოლაძეს დიდი წარმატება მოუტანა. ძეგლის სურათი პარიზის საფოსტო ბარათებზეც დაიბეჭდა.

* * *

გაზეთი „მოდელ ილუსტრე“ წერდა: „კავკასიელმა მოქანდაკემ ნიკოლაძემ გამოფინა ძეგლი „საქართველოს მწუხარება“ პოეტ ილია ჭავჭავაძის საფლავზე დასადგმელად გამზადებული ალიბასტრის ქანდაკება. იგი შესრულებულია ოსტატურად და მომხიბვლელად. მართლაც, რომ მწუხარების ქანდაკებაა.

პარიზის სხვა გაზეთებშიც იყო გამოხმაურება: „ერთს არტისტს ნიკოლაძეს გამოუფენია ალიბასტრის ქანდაკება. ესაა გამოხატულება მწუხარებისა – მარტივად და ლამაზად გამოთქმული“.

წერილი, რომელსაც გაზეთში ვაქვეყნებთ, პარიზში გამოცემულ საფოსტო ბარათის უკანა მხარესაა დაწერილი. იაკობ ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელს მიხეილ გედევანიშვილს მიმართავს.

„მმაო მიხეილ, ეს ჩემი გაკეთებული ჭავჭავაძის ძეგლის სტატუეტი არის „საქართველოს მწუხარება“. იმედია, ახლა მაინც მოგეწონებათ. მალე ჩამოვალ და ჩამოვიტან. მომიკითხე ყველა, ვისაც ვუყვარვარ.

შენი მეგობარი იაკობი.





გურამ ნიკოლაძე: ცნობილია, რომ ძეგლის რამდენიმე ვარიანტი გაკეთდა. ჩემს ეზოში საბოლოო ვარიანტის ასლი დგას. ბუნებრივია, რომ ხშირად ვუყურებ. ყურადღება მივაქციე, რომ სკულპტურაზე გამოხატული პორტრეტი ვიღაცას ძალიან მაგონებდა. სტუდიაში ნიკოლაძის დედის – ნატალიას ფოტო ჰკიდია. მივხვდი, რომ ეს ზუსტად მისი სახის ნაკვთებია.

– ნიკოლაძე ხომ მაშინ საფრანგეთში იყო და ალბათ გამორიცხულია საკუთარი დედა ჰყოლოდა მოდელად.

– არა, ნატურიდან არ დაუხატავს. ის საზღვარგარეთ იყო და ყველაზე ძვირფასზე – დედაზე ფიქრობდა. იმას ხეტავ, ვინც გენატრება. ასეთია ხელოვანი ადამიანის მიდრეკილება. როდესაც რაიმეს ქმნი, პირველ რიგში უნდა განწყობილება მოძებნო, განცდაში უნდა გაატარო. ეს არის ჯერ მისი დედა და მერე განზოგადებული დედა.

– მაგრამ სკულპტურაზე გამოსახული ქალი ხომ უფრო ახალგაზრდაა?

– ხსოვნაში დრო მთლიანდება. დედა ყველა ასაკში მშვენიერია და საყვარელი, უასაკოა... ეს სიყვარულის განცდა იაკობ ნიკოლაძემ საქართველოსთან დაკავშირებით განაზოგადა... აქ, რა თქმა უნდა, ქვეცნობიერი მომენტიც დევს...

* * *

„იმედია მოგეწონებათ...“ – წერდა იაკობ ნიკოლაძე, მაგრამ დამკვეთმა ბოლო ვარიანტიც თავშეკავებული ემოციებით მიიღო.

კიტა აბაშიძის მოგონების მიხედვით, კომისიამ 15 ივნისს დაათვალიერა სტატუეტი ილიას საფლავისა და საფლავის ნიში.

საზოგადოდ, ძეგლის შესახებ კომისიამ თავისი აზრი, დაახლოებით ამ სტილში გამოთქვა, რომ იგი, **რასაკვირველია, ვერასოდეს დააკმაყოფილებს ქართველი ერის უდიდესსა და ტრაგიზმით აღსავსე გრძნობებს ტანჯული ეროვნული გენიოსის მიმართ, ეჭვი არ არის, ერი თავის მოზღვავებულ გრძნობათა გამოსახატავად მიმართავს უფრო დიდ შემოქმედებას, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ძეგლში გაღებული ფული მეტად მცირეა და აგრეთვე იმას, რომ ამ თანხით არ შეეძლოთ საქმის მეთაურებს უფრო გამოჩენილი ძალებისთვის მიემართათ, იძულებულნი არიან, ძეგლი ცნონ გამოსადეგად და ხეირიანად.**

ძნელი გასაგები არ არის რას განიცდიდა ამ შეფასების წაკითხვისას იაკობ ნიკოლაძე. ფაქტია, კომისია ზედმეტად კრიტიკული იყო.

კომისიის სოლიდური წევრები ახალგაზრდა მოქანდაკეს, როგორც თავად ამბობდნენ, ე. წ. **„გამოჩენილ ძალად“**, ანუ გამოჩენილ მხატვრად არ მიიჩნევდნენ, ხოლო **„გამოჩენილებისთვის“** შესაკვეთად სათანადო სახსრები არ გააჩნდათ.

ძეგლი **„მწუხარე საქართველო“**, იგივე **„საქართველოს მწუხარება“** მარსელიდან, გემით ჩამოიტანეს საქართველოში...

გავა დრო და ამ ძეგლ-სიმბოლოს ქართული ქანდაკების სკოლის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად მიიჩნევენ.



CARTE POSTALE

CORRESPONDANCE

ADRESSE

Тифлис) Russie

Caucase

1913 წლის 5 მაისს მთაწმინდაზე ძეგლის კურთხევის დღე გამოცხადდა – ბატონებო – შემაძრწუნებელ სიჩუმეში სიტყვას წარმოთქვამს აკაკი წერეთელი – **მრავლისმეტყველება და ბევრის მითითება არ არის საჭირო იმისთვის, ვინც სიცოცხლეშივე ძალაუნებურად ჩაესახა თვალსა და გულში თანამედროვეობას, ვის პატივსაცემად დღეს აქ შევკრებილვართ. თვალწინ გვიდგას მისი ვერაგული სიკვდილი და გვიკვირს, თუმც გასაკვირი არა არის რა: ქრისტემაცხოვარმა თორმეტი მოციქული აირჩია მთელს კაცობრიობაში და იმათგანი ერთი იუდა გამოდგა. სადაც ვარდი იფურჩქნება, იქ ეკალიც ამოდის. ადამიანებშიც ასეა: შეგნებულებს შეუგნებლები უდგანან გვერდში და აი, სწორედ ამისთანებმა ჩაიდინეს უსამართლობა. დიახ, ჩაიდინეს, მაგრამ ძალაუნებურად ილიას შესძინეს კიდევ ერთი გვირგვინი მწუხარებისა და გულდაწყვეტისა.**

მთელი შეგნებული ქართველობა იგლოვს და ტირის თავისი დაუვიწყარი შვილის დაკარგვას. იდეის მხრით დიდია ეს ქანდაკება და ამას თქვენის თვალითაც ნახავთ“.

ამის შემდეგ თითქოსდა გარინდებული საქართველოს წინაშე ძეგლს საბურველს ჩამოხსნის თავად აკაკი წერეთელი.

ნინო ხოფერია

სურათებზე: მხატვარი და მოქანდაკე გურამ ნიკოლაძე იაკობ ნიკოლაძის დედის პორტრეტთან; საფლავის ძეგლის სხვადასხვა ვარიანტები.

გრიგოლ აბაშიძის ბოლო ლირიკა

1 აგვისტოს გრიგოლ აბაშიძეს დაბადებიდან ოთხმოცდათერთმეტი წელი შეუსრულდებოდა. ჩვენი თაობისთვის, რომელიც ამ პოეტის აკადემიური და გარეგნულად გაწონასწორებული ცხოვრების წესს და ოფიციოზში საქმიანობას შორიდან უმზერდა, მაშინვე მოულოდნელობა გახდა ასეთი სტრიქონების აღმოჩენა:

„იქნებ ის სჯობდა ისე მეცხოვრა,
ფრთებით გრიგალებს რომ შევლეწოდი“...

... მაგრამ იმ ცხოვრებითაც, როგორითაც იცხოვრა, გრიგოლ აბაშიძე სანიმუშო გახლდათ. ემსახურებოდა არა მარტო ზოგადად მწერლობას, არამედ ძველ და ახალ მწერლებს, იცავდა მათ პიროვნულ, ადამიანურ ღირსებას. იქნებ ამიტომაც გრიგოლ აბაშიძეს დღემდე უდიდესი პატივით, მოკრძალებით და მადლიერებით მოიხსენიებენ.

ვერონტი ქიქოძე, გრიგოლ აბაშიძე და იოსებ ნონეშვილი, 1958 წელი.

ვინ იცის, როგორი იქნებოდა მისი სხვაგვარი – **„გრიგალებს შელეწილი“** სიცოცხლე, მაგრამ უკვე 80 წლის მოხუცი პოეტის გედის სიმღერა, მართლაც გასაოცარი იყო.

მისი უკანასკნელი ლექსი **„არყოფნისაკენ“** შეიძლება ბრძენი ჭაბუკი მისტერიას შევადაროთ. თავისი ექსპრესიულობით, პოეტური სათქმელის გამოხატვის სიღრმით და ფორმით XX საუკუნის პოეზიის ერთ-ერთი შედევრთაგანია.

„არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!
ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები.
გიჟურ ქროლვაში გაქრობას ვიჩქარობ.
უკვე გაშლილან იალქანები,
არარსებულთან შესაერთებლად
სულმოუთქმელად მივექანები...“

ჩვენი ტელეფონებია:
99-55-01; 893 14-57-56.

ჩანართზე მუშაობდნენ:
ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, ლევან ბოჭორიშვილი.

◎ ფოტოსურათი მოგვითხრობს

სამი დიდი ქალბატონი

ბევრ ტრადიციულ თბილისურ ოჯახში ძველ ალბომებთან, მუყაოზე დაკრულ საუკუნოვან ფოტოსურათებთან ერთად არცთუ იშვიათად ინახება არაერთი ძვირფასი საარქივო დოკუმენტი, რომელიც შორეული წლების ნაკლებად ცნობილ მოვლენებზე მოგვითხრობს. ეს სურათიც სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო.

ჩემ ხელთაა იმდროინდელი ხელისუფლების მთავარი გაზეთის „პრავდის“ 1936 წლის 23 მარტის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავისადმი მიძღვნილი ნომერი. მის პირველ გვერდზეა ორდენებით დაჯილდოებულ ქართველთა სია. აქ ბევრ ცნობილ პიროვნებას შეხვდებით, მათ შორის: გალაკტიონ ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძეს, ალექსანდრე ჯანელიძეს, ალექსანდრე თვალჭრელიძეს, ვლადიმერ ჯიქიას, ამბერკი კეკელიას, გიორგი ქუთათელაძეს, ელენე გოკიელს, ნიკოლოზ ყოფშიძეს, თამარ ჭავჭავაძეს, მოსე თოიძეს და სხვებს. ამ ფოტოსურათიდან კი, რომელიც გაზეთის მეორე გვერდს ამშვენებს, გვიღიმიან პირველი ქართველი ორდენოსანი ქალები, მშვენიერი მანდილოსნები: ქართული კინოს ლეგენდა ნატო ვაჩნაძე (მარცხნივ), პირველი სახალხო მხატვარი ქალი ელენე ახვლედიანი და მეცნიერი ქიმიკოსი სოფიო ჭრელაშვილი.

უდავოდ ღირსეული პიროვნებების სიის კითხვისას დაუფარავი სევდისა და სინანულის გრძნობა მეუფლება.

გაივლის სულ რაღაც ორიოდე წელი და ბევრ მათგანს იმ ავადსახსენებელი, უაზრო რეპრესიების ქარცეცხლი შეიწირავს. ამ სამ მეგობარს შემზარავი დღეების სუსხი კი ასცდება, მაგრამ ორი მათგანის ცხოვრება მაინც ტრაგიკულად დასრულდება: ქართველების სათაყვანებელ ნატო ვაჩნაძეს 49 წლის ასაკში თვითმფრინავი იმსხვერპლებს. ასევე ხანმოკლე იქნება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრის გამგის, პროფესორ სოფიო ჭრელაშვილის – ჩემი გარდაცვლილი მეუღლის მზია იაშვილის დედის სიცოცხლეც. ელენე ახვლედიანს ბედი უფრო დაინდობს და, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა წყობილების გულშემატკივარი არასოდეს ყოფილა, მაინც სასწაულებრივად გადაურჩება ცხოვრების ქარტეხილებს და თავისი ხანგრძლივი შემოქმედებით ქართულ ხელოვნებაში წარუშლელ კვალს დატოვებს.

დევი ჩხეიძე

◎ ჭადრაკი

სატურნირო მდგომარეობა გამოასწორეს

შვედეთში გრძელდება მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი. VI ტურში საქართველოს ნაკრებებმა მეტოქეები დაამარცხეს და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორეს.

ჩვენი ქალები უნგრელებს შეხვდნენ. მაია ჩიბურდანიძე, მაია ლომინეიშვილი და ქეთევან არახამია, შესაბამისად, ილდიკო მადლს, სიდონია ვაიდას და ანიტა გარას დაუზავდნენ. გამარჯვების ქულა საქართველოს ნაკრებს ნანა ძაგნიძემ მოუტანა, რომელმაც ნორა მედვედი დაამარცხა. უნგრელ მოჭადრაკეთა რეიტინგს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენებს დიდი ანგარიშითაც უნდა მოეგოთ, მაგრამ... როგორც იტყვიან, ამაზეც გმადლობთ, უფალო. ახლა ქართველი მოჭადრაკეები 6 ტურის შემდეგ 9 ქულით II-V ადგილებს იყოფენ. 10 ქულით პოლონეთი მეწინავეობს.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ჩეხებს სძლია 3:1. ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ბაადურ ჯობავამ ქულები გაიყვეს დავით ნავარასთან და ზბინეკ ჰრაჩეკთან, ხოლო ლევან ფანცულაიამ და მიხეილ მჭედლიშვილმა, შესაბამისად, ვლასტიმილ ბაბულა და ირჟი შტოჩეკი დაამარცხეს.

ვაჟებში 11 ქულით ისრაელი ლიდერობს. ჰოლანდია ქულით ჩამორჩება. საქართველოს ნაკრები 8 ქულით VI-X ადგილებს ინაწილებს.

გიორგი გაგუა

◎ კრივი

ერთი მედალი

უკრაინაში დასრულდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების – რუმინეთის, ბულგარეთის, რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს მოკრივეთა პირად-გუნდური პირველობა. ჩვენს ნაკრებს ერთადერთი ვერცხლის მედალი 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭიათურელმა იაგო კილაძემ მოუტანა.

◎ მაქაბიადა-2005

„ვარსკვლავბიჭუნა“ „ვერცხლს“ დააჯერეს

წლეულს ქართული კარატეს ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა – 17 წლის ლევან გორელაშვილმა ზედიზედ მესამედ დაიმსახურა საქართველოს საუკეთესო კარატისტთა შორის საუკეთესოს სახელი და ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ჩვენთან აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ამგვარი პატივი ჯერ არავის რგებია.

ალალ მისი, რადგან ლევანი თავმდაბალი, შრომისმოყვარე და ტატამზე ვეფხვივით შეუპოვარი მებრძოლია. 10 წელიწადია, კარატეში ვარჯიშობს ბესიკ ხუციშვილის ხელმძღვანელობით და მის სპორტულ კოლექციას უკვე მრავალი ჯილდო ამშვენებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის ფრიადოსანი სტუდენტი საქართველოს ცხრაგზის ჩემპიონი და მრავალი საერთაშორისო თუ რეგიონული შეჯიბრების გამარჯვებულია.

ლევან გორელაშვილმა 2001 წელს თბილისში გამართულ კარატისტთა ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა კუმიტეში, გუნდურ კატაში კი მეორე იყო. მომდევნო წელს გერმანიაში გუნდური მსოფლიო თასი მოიპოვა თანატოლებში, ვადო კარატე-დოს ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებში ასევე უძლიერესი გახლდათ ინდივიდუალურ კუმიტეში, ხოლო გუნდურში ვერცხლის მედალი ხვდა. ამგვარი წარმატებებისთვის მას „ვარსკვლავბიჭუნა“ შეარქვეს.

ამას წინათ ლევანმა მსოფლიო მაქაბიადაზე იასპარეზა და თანატოლებში მეორე იყო.

– ისრაელში გამგზავრებამდე ფოთის საერთაშორის

მოვედი, – მითხრა „ოქროს“ კარატისტმა, – ხუთი ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ მედლებისთვის. ოთხ მეტოქეს ვძლიე და პირველი ადგილი დავიკავე. ამ შეჯიბრებაში მიღებული გამოცდილება ძალიან გამომადგა.

– მსოფლიო მაქაბიადას გულისხმობ?

– დიახ. სპორტისა და ახალგაზრდობის ეს ფესტივალი, მოგეხსენებათ, ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება იერუსალიმსა და სხვა ქვეყნებში. ენით აუწერელი ღონისძიება იყო – 55 ქვეყნის 7 ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ორგანიზატორებმა შეჯიბრების ოლიმპიური თამაშების დარი საზეიმო გახსნა და დახურვა მოაწყვეს. თითოეული სპორტსმენისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ. საცხოვრებელ პირობებსა და კვებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ორთაბრძოლებიდან თავისუფალ დროს ქალაქის ღირსშესანიშნაობები დაგვათვალიერებინეს. ერთი სიტყვით, შთაბეჭდილებები მართლაც დაუვიწყარია.

– ამის მიუხედავად, მაქაბიადიდან მაინც გულდაწყვეტილი დაბრუნდი...

– რაც მხოლოდ ტურნირის შედეგითაა გამოწვეული. შეჯიბრებაზე ერთი კვირით ადრე ჩავედი. იმ დარბაზში ვივარჯიშე, სადაც პაექრობები გაიმართა. ამდენად, ტატამს შევეჩვიე, აკლიმატიზაციაც ნორმალურად გავიარე. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, რადგან პირველ შეხვედრაში ამერიკელ სპორტსმენს 8:0 მოვუგე, შემდეგ სამხრეთაფრიკელ (6:1) და ავსტრალიელ (5:1) მეტოქეებს ვძლიე. ფინალში იერუსალიმელ კარატისტთან მომიწია ორთაბრძოლა. ადგილობრივმა არბიტრმა აშკარად მიკერძოებით იმსაჯა და პაექრობა 3:4 დამათმობინა. გული დამწყდა, მაგრამ რას ვიზამდი. დაჯილდოების შემდეგ ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მოვიდა ჩემთან და ქართულად მომიბოდიშა მსაჯის არაობიექტურობის გამო. იგი ქართველი ებრაელი გახლავთ.



სხვათა შორის, ისრაელის კარატეს მესვეურებმა ერთ-ერთი კლუბის სახელით საასპარეზოდ ექვსთვიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. მართალია, თანხმობა არ მიმიცია, მაგრამ არც უარი მითქვამს. მწვრთნელებს დაველაპარაკები და გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებ. ისე, ისრაელში ქართველი მწვრთნელების გადაბირებაც სურთ – ჩვენი ორთაბრძოლის მანერა ძალიან მოსწონთ.

– სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

– უპირველესად, ინგლისში საბრძოლო ხელოვნებების საერთაშორისო ფესტივალზე გამოვალ, მერე კი... შეჯიბრებებს რა გამოლევს, მთავარია, ტურნირებზე გასამგზავრებელი სახსრები გამოიძებნოს. ვეცდები, ქომაგები არ გავაწბილო.

ესაუბრა
ვაჟა დანელია

სურათებზე: დაჯილდოებისას: ლევან გორელაშვილი (მარჯვნივ) იერუსალიმის ტატამზე ორთაბრძოლისას.

◎ მადლიერება

სიყვარულის აკადემია

სულ ორიოდე წელია, რაც ნაძალადევის რაიონში, პირველი სამშობიარო სახლის ადგილას „კლინიკური მედიცინის ცენტრი“ გაიხსნა. მისი დირექტორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მანანა შარაშიძის დამსახურებაა, ის, რომ ეს ცენტრი დღეს საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ სამედიცინო დაწესებულებად გადაიქცა და ჩვენც ბედმა აქ მოგვახვედრა.

შემოსვლისთანავე მადლიერების გრძნობით ავივსეთ. აქაურობა ისეთი ლამაზია და ისეთი ბზრიალ-კრიალი გაუდის ყველაფერს, რომ თავი სამედიცინო დაწესებულებაში კი არა, სადღაც ზღაპრულ სამყაროში გვეგონა. აქ დაგვხვდა. დახვეწილი გემოვნებით მოწყობილი ყველა კუთხე-კუნჭული, კომფორტული პალატები, უგემრიელესი მენიუ, არაჩვეულებრივი პერსონალი, რომლებისგანაც ძალიან დიდი სითბო და ენერგია მოდის და მიზერული ფასები. კლინიკის თანამშრომლები, სანიტრებითა და სამზარეულოს პერსონალით დაწყებული და მთავარ ექიმით დამთავრებული, ისეთ დიდ ყურადღებასა და სითბოს იჩენენ, რომ სიტყვები არ გვყოფნის მადლობის გამოსახატავად. აქ, მარტო წამალმა კი არ განგვკურნა, არამედ ჩვენი გამოჯანმრთელების მთავარი მიზეზი, ის პროფესიონალიზმი, გულისხმიერი მოპყრობა და ატმოსფერო იყო, რაც ამ კლინიკაში დაგვხვდა; აქ ისეთი გარემოა, გეგონებათ ყველამ ერთად სიყვარულის აკადემია დაამთავრაო.

საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი და ამიტომ, ხმამაღლა ვამბობთ, სხვაგან ჯერ ფულს გთხოვენ და შემდეგ გიკეთებენ გადაუდებელ ოპერაციას, ამ კლინიკის პერსონალისთვის კი, მთავარი პაციენტის სიცოცხლეა და მერე სხვა დანარჩენი.

აი, მთავარი მიზეზი, რამაც კალამი აგვაღებინა ხელში. უღრმესი პატივისცემითა და უდიდესი მადლიერების გრძნობით მივდივართ აქედან. ასე კომფორტულად თავი არასდროს გვიგვრძნია.

ქალბატონი მანანა შარაშიძის მსგავსი პიროვნებები, რომლებიც ზრუნავენ ადამიანებზე, მომავალ თაობაზე, ქვეყანაზე და უანგარო საქმიანობით დიდ ადამიანურ მაგალითს აძლევენ ყველას, დასაფასებელნი და გასაფრთხილებელნი არიან.

უდიდესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალბატონ მანანას ამ შესანიშნავი სამყაროს შექმნისთვის, რომ არა იგი, ასეთი კლინიკა არ ექნებოდა ჩვენს ქალაქს. ნუ გვიწყენს ქალბატონი მანანა, თუ ყველა ექიმსა და ექთანს ვერ ჩამოვთვლით, გვეშინია, ვინმე არ გამოგვრჩეს, ყველა, ვინც ამ კლინიკაში მუშაობს, ქალბატონ მანანა შარაშიძის ხელმძღვანელობით, მადლობისა და დიდი ადამიანური ბედნიერების ღირსნი არიან.

ეკატერინე შაფათავა,
ნუნუ ჯანაშვილი,
ნანა კურტანიძე,
ანა მარლანია.

◎ ინფორმაცია

გაქცევით თავს მაინც ვერ უშველიან

ქვემო ქართლის ფინანსურმა პოლიციამ წითელი ხიდიდან თბილისის მიმართულებით მომავალი ორი ავტობუსი და ე.წ. მისაბმელი ორთაჭალის ტერიტორიაზე წუხელ, გვიან ღამით დააკავა. პოლიციის თანამშრომელთა განცხადებით, ავტობუსები სხვადასხვა სამრეწველო საქონლით და ტექნიკით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაიტვირთა და წითელი ხიდის სასაზღვრო გამტარი პუნქტი გადმოკვეთა. მებაჟეებმა ავტობუსები დალუქეს, თუმცა მეპატრონეებმა ლუქი ახსნეს და გზა გააგრძელეს.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, წუხელვე ტვირთთან ერთად თურქეთის ორი და საქართველოს ექვსი მოქალაქეც დააკავეს. თურქი ეროვნების ერთმა მძღოლმა გაქცევა მოახერხა. მძღოლის ვინაობა დადგენილია, რადგან ფინანსურ პოლიციას მისი პასპორტი აქვს.

დაკავებული საქონელი ლილოს ტერმინალში გადაიტანეს, მისი საბოლოოო ღირებულების დასადგენად ექსპერტიზა ჩატარდება, თუმცა წინასწარი მონაცემებით, ტვირთი 200 ათას ლარზე მეტი ღირებულებისაა.

მრავალნი არიან თაღლითნი...

„თბილწყალკანალის“ სახელით თაღლითები სარგებლობენ და საწარმოებს წყლის გადასახადს სძალავენ. როგორც ინტერპრესნიუსს „თბილწყალკანალში“ განუცხადეს, ბოლო დღეებში ვაკე-საბურთალოს რაიონში გახშირდა შემთხვევები, როცა ჯერჯერობით დაუდგენელ პირთა ჯგუფი სავაჭრო ობიექტებში ყალბი ქვითრებით მიდის და ობიექტებს წყლის საფასურს ნაღდი ფულის სახით ახდევინებს.

„თბილწყალკანალი“ საწარმოთა ხელმძღვანელებს აფრთხილებს, არ წამოეგონ აფიორას და წყლის საფასური მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით გადაიხადონ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, „თბილწყალკანალმა“ შს სამინისტროს კრიმინალურ დეპარტამენტს უკვე მიმართა და მიმდინარეობს მოკვლევა.

ინტერპრესნიუსი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მეზობლის ხატი

გასულ ხუთშაბათს, იმ დღეს, როცა უნდა დაწყებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბაზებიდან რუსეთის ჯარების გამოყვანა, ტელეარხმა „კულტურამ“ უჩვენა სუხიშვილ-რამიშვილის ხალხური ცეკვის ანსამბლისადმი მიძღვნილი დიდი გადაცემა. სამოციოდე წლის წინათ თბილისში ორი გამოჩენილი მოცეკვავის მიერ შექმნილმა ამ კოლექტივმა განუმეორებელი ელფერი შესძინა მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების პალიტრას.

დღეს ანსამბლს ხელმძღვანელობს თენგიზ სუხიშვილი, ქართული ხალხური ცეკვის ოსტატთა მომდევნო თაობის წარმომადგენელი. გადაცემის დროს, იგი, უბადლო რუსულით უკეთებდა კომენტარს ეკრანზე ნაჩვენებ ნომრებს, ყვებოდა ყოველი ცეკვის წარმოშობისა და არსის შესახებ, განმარტავდა ზოგიერთ იმ მცნებას, რომელიც წინათ ყველასთვის კარგად გასაგები იყო, ახლა კი, ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა. მაგალითად, ცეკვა „კინტოურმა“ მოითხოვა სპეციალური განმარტება იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ კინტოები – ძველი თბილისის ხელზე მოვაჭრეები, რომლებსაც მუშაობასთან ერთად, მხიარული მოლხენაც შეეძლოთ.

სინანული გვეუფლება, როცა ვფიქრობთ, თუ როგორ გაქრა ერთი ხელის დაკვრით „ურღვევი კავშირი“, და არა მარტო გეოპოლიტიკური, არამედ ამ სიტყვის სულიერი და კულტურული თვალსაზრისითაც. ახლა ტელეეკრანებზე იშვიათად თუ ვნახავთ ამის მსგავს გადაცემებს.

მაყურებელმა დაკარგა კულტურის მთელი ფენა, ჩინებული ფილმები და სპექტაკლები, ოპერები და ბალეტები, რომლებსაც დგამდნენ შესანიშნავი ოსტატები ჩვენს ყოფილ მოძმე რესპუბლიკებში და რომლებიც მაშინდელი ქვეყნის ხალხთა საერთო მონაპოვრად იქცა. ძნელია, ვილაპარაკოთ პოლიტიკურ კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე მაშინ, როცა ტელევიზია თუ უჩვენებს მეზობლების ცხოვრებას, მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიური კუთხით. ასე ნელ-ნელა მაყურებელს თავს ახვევენ ნეგატიურ სტერეოტიპებს მეზობლების შესახებ. მაშ, რატომ არ შეიძლება უჩვენონ მას ჩვენი მეზობლების ცხოვრების ნათელი მხარეები? მერწმუნეთ, რომ ძნელი დასაჯერებელია იმის გაფიქრებაც კი, თითქოს რუს მაყურებელს ყოველივე ეს არ დააინტერესებს.

ანრი ვართანოვი,
ТРУД
(შემოკლებით).

ინდ. მეწარმე ვასილ ბოლაშვილი ლიკვიდაციასთან დაკავშირებით წყვეტს ფუნქციონირებას.
საიდენტიფიკაციო კოდი 136056014. მის: აღმაშენებლის ხეივანი მე-7 კმ. ტელეფონი: 51-11-15.

სს „ლედას“ აქციონერთა საყურადღებოდ:
2005 წლის 9 სექტემბერს, 13 საათზე გაიმართება ორგანიზაციის აქციონერთა საერთო კრება (მის: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74).
დღის წესრიგი:
1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. ახალი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
3. საწესდებო კაპიტალის ცვლილება;
4. წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
5. აუდიტის არჩევა;
6. სხვადასხვა.
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2005 წლის 5 აგვისტო.

◎ ცხოვრების ჯანსაღი წესი

დღე უფლის სავანეში



იოანე ზედაზნელის მოწაფე – ღირსი მამა ანტონი მეექვსე საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი გახლდათ ერთ-ერთი იმ ცამეტ ასურელ მამათაგან, რომლებიც საქართველოში ქრისტიანობის გადასარჩენად ჩამოვიდნენ. ღირსმა მამა ანტონმა უდაბურ მთაზე მონასტერი ააშენა, თავად კი სიცოცხლის ბოლო 15 წელიწადი საკუთარი ხელით აგებულ სვეტზე მოღვაწეობდა, ამიტომ მას მარტოდმყოფელი ეწოდა, ხოლო მონასტრის ახლოს მდებარე სოფელს – მარტყოფი...

ამას წინათ სწორედ ამ ისტორიული ადგილების მოსახილველად მოეწყო ექსკურსია საქართველოს სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის (თავმჯდომარე იროდი ბეჟაშვილი) ინიციატივით. მსურველები მრავლად იყვნენ – სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის, საზპორტო სკოლების, თვით სპორტის პროფკავშირის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები – დიდებიცა და პატარებიც.

უპირველესად უძველესი მონასტერი და მისი შემოგარენი მოვინახულეთ. პატივი მივაგეთ წინაპართა საფლავებს, იქაური ბერებისგან ბევრი საინტერესო ისტორიული ამბავი მოვისმინეთ, რითაც უფრო ამაყები და კმაყოფილი დავრჩით.



შემდეგ ბუნების წიაღში გავისეირნეთ, სპორტული თამაშობებით ვიჯერეთ გული. ნაშუადღევს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის – ვალიკო იაშვილის მიერ ნაკვერჩხლებზე აშიშხინებული მწვადის სურნელმა მადა ორმაგად აღგვიძრა. ასწლოვანი ხეების ჩეროში მოლხენაც ხალისიანი გამოდგა.

შებინდებისას დასვენებულები და მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსენი დავბრუნდით შინ.

ნინო მაჩაბერიძე

სურათებზე: ერთი დღე ბუნების წიაღში.

ვაჟა დანელიას და
რობერტ ბაგოიანის ფოტო

◎ სპორტულ ორბიტაზე

ლეკვი ლომისა სწორია...

ორიოდე დღის წინათ (4.08) გაცნობეთ, რომ გერმანელმა მოცურავემ კრისტოფორ ვინდრატშმა სარეკორდო დროში – 7 საათსა და 3 წუთში გადაცურა ლა-მანში. და აი, მას მეტოქე გამოუჩნდა სამხრეთაფრიკელი მოცურავე ქალის კარინა ბრუვერის სახით: მას სრუტის გადალახვისთვის 12.03 საათი დასჭირდა.

ეს კარინას პირველი წარმატება როდი იყო. ჯერ კიდევ 15 ივნისს ის მონაწილეობდა გიბრალტარის სრუტის მარათონულ ჩქაროსნულ გადაცურვაში. 16 კილომეტრი, რაც აფრიკას ევროპასთან აშორებს, მან 3,35 საათში დაფარა და 2 წუთით გააუმჯობესა ინდოელი ბულა ჩოუდხურის მსოფლიო რეკორდი.

ბრუვერსვე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი 11-კილომეტრიან დისტანციაზეც – 3,42 საათი.

კარინა მსოფლიოში ერთადერთი სპორტსმენია, ვინც ცურვით შემოუარა აფრიკის უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხრეთ კიდეებს.

გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში?

ეს გიგანტური ფეხი 3900 კილოგრამს იწონის და ის „ეკუთვნის“ ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელს უვე ზეელერს. ის სულ მალე, ბუნდესლიგის სეზონის გახსნისას, ზეელერის მშობლიური „ჰამბურგის“ სტადიონზე დაიდგმება.

შვედი პატიმრები სუსტები ყოფილან

ყოველ შემთხვევაში ასე მიაჩნიათ პეტერბურგის სპეციალიზებული ფსიქიატრიული საავადმყოფოს მესვეურებს – მათმა პაციენტებმა ხომ უჩვეულო აქციაში – ფრენბურთის მატჩში დაჯაბნეს ყოფილი შვედი პატიმრების გუნდი – 2:1. ოფიციალურად ამ ღონისძიებას ეწოდებოდა სკანდინავური საზოგადოებრივი ორგანიზაციის KRIS პრეზენტაცია.

შვედების გუნდში მამაკაცებთან ერთად თამაშობდნენ ქალებიც, სხვათა შორის, ისინიც ყოფილი პატიმრები. თუმცა ლამაზი სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობას ამ აქციაში არავითარი ინტერესი არ გამოუწვევია საავადმყოფოს გისოსებიან ფანჯრებთან მომდგარ უამრავ მაყურებელში. ავყიობის ნატამალიც კი არ ყოფილა. ჩანს, ისინი გამარჯვებით ტკბებოდნენ.

საზოგადოება KRIS 1997 წელს ჩამოაყალიბა შვედმა კრისტერ კარლსონმა, რომლის ანგარიშზე 45 დანაშაულია, რისთვისაც 27 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

ყველაფერი ყველაფერზე

ფრიდრიხ მეორის დოკუმენტები

ავსტრიის ქალაქ ინსბრუკის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს იმპერატორ ფრიდრიხ მეორის (1194-1250) ეპოქის კუთვნილი ორასამდე წერილობითი დოკუმენტი. მათი უმეტესობა მკვლევართათვის აქამდე უცნობი ყოფილა.

ბიბლიოთეკის ყოფილმა დირექტორმა ვალტერ ნოიჰაუზერმა და ინსბრუკელმა მედიევისტმა იოზეფ რიდმანმა ისინი ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით მოიძიეს. საქმე გვაქვს რომის პაპთან და აგრეთვე ევროპის სამეფო სახლებთან ორი იმპერატორის, ფრიდრიხ მეორისა და მისი ვაჟის, კონრად მეოთხის დიპლომატიურ მიმოწერასთან.

გარდა აღნიშნულისა, გვხვდება მოხელეთა წერილები, სადაც ლაპარაკია იმპერიის სხვადასხვა ოლქის მართვაზე. რამდენიმე დოკუმენტში ციტირებულია პაპისა და აღმოსავლელ მბრძანებელთა უსტარები. ექსპერტთა აზრით, დოკუმენტები ვეებერთელა ისტორიული ღირებულების მატარებელნი არიან.

კორეელ მწერალთა შეხვედრა

სეულში პირველად შედგა სამხრეთ კორეისა და ჩრდილოეთ კორეის მწერალთა შეხვედრა, რაც ჟურნალისტებმა უკვე მონათლეს „აზიურ კულტურულ სენსაციად". მრავალი წელი ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მოხვედრილმა მწერლებმა ერთმანეთზე არაფერი იცოდნენ. ორივე სახელმწიფოში პრაქტიკულად არ ისტამბებოდა მეზობელი ქვეყნის წიგნები.

ორასზე მეტი ავტორი შეიკრიბა პიონგიანგში. „სამხრეთში არ სურდათ კომუნისტური ჩრდილოეთის პოლიტიკოსთა სამსახურში მყოფი ლიტერატურის კითხვა", – თქვა პეტერ რიპკენმა, აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიტერატურათა საზოგადოების წარმომადგენელმა. გამომცემლობა „პენდრაგონის" აგენტი გიუნტერ ბუტკუსი კი მას არ დაეთანხმა: „სამხრეთ კორეის მცხოვრებლებმა მხოლოდ 1987 წელს შეძლეს თავისუფლად არჩევა პრეზიდენტისა და კარგად ახსოვთ ავტორიტარული რეჟიმი".

ჩრდილოეთკორეელი მწერლის ჰონგ სოკ ცუნგის ისტორიული რომანი XVII ასწლეულის მშვენიერი კურტიზანი ქალის შესახებ ამას წინათ „მანხაეს" ლიტერატურული პრემიით აღინიშნა სამხრეთ კორეაში. მკითხველები აღტაცებული დარჩნენ ჰონგის სტილის სინატიფით: დიდი ხანია, რაც სამხრეთში ენა უფრო რაციონალური გახდა.

ბრიუს ლი – დიდიც და საშინელიც



მსოფლიოში ბრიუს ლის პირველი ძეგლი ჰონკონგში გამოჩნდება. მისი გახსნა ნოემბერშია განზრახული, ლეგენდარული კინომსახიობისა და აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატის დაბადებიდან 65 წლისთავისათვის.

32 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული, 1970-იანი წლების ბოევიკების საკულტო გმირის ორმეტრიანი ქანდაკება დიდების ხეივანს დაამშვენებს ვიქტორიის ყურის სანაპიროზე.

პროექტების კონკურსში ჩინელმა სკულპტორმა ცაო ჩუნიენმა გაიმარჯვა. ბრიუს ლის ნიჭის თაყვანისმცემლები სანაპიროზე თავიანთი კერპის მუზეუმის გახსნასაც აპირებენ.

ნაპოვნია პომპეის საგანძური

პომპეი, რომელიც გაღვიძებულმა ვულკანმა ვეზუვიმ ფერფლით დაფარა თითქმის 2000 წლის წინათ, ახალ სიურპრიზს გვთავაზობს. პომპეიდან ჯერ კიდევ 2000 წელს ჩამოტანილი ვულკანური ფერფლი ექსპერტებმა გამოიკვლიეს რენტგენის სხივების მეშვეობით და მასში აღმოაჩინეს ვერცხლის ჭურჭელი: თასები, ჭიქები, თეფშები, ლანგრები. ჩინებულად შემონახული სერვიზი დაახლოებით 4 კილოგრამს იწონის. ეს, ამ ბოლო 70 წლის განმავლობაში, ალბათ, უმთავრესი ნაპოვნია.

იგი გვიქმნის წარმოდგენას ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დამლევის მდიდარი რომაელების გემოვნებასა და იმდროინდელ ოქრომჭედელთა ოსტატობაზე.

სუფრის ვერცხლეულის კიდევ ორი ასეთი შენარჩევი იპოვეს პომპეიში XIX და XX საუკუნეებში, რომლებიც ამჟამად ინახება პარიზის ლუვრსა და ნეაპოლის ეროვნულ არქეოლოგიურ მუზეუმში. ეს ახალი ნაპოვნი ასევე ნეაპოლის მუზეუმში დაიდებს ბინას.

ტუჩებით მკითხვე-

ყრუ გოგონას ლაპარაკი ასწავლეს

პატარა ირინას მშობლები სასოწარკვეთილები იყვნენ: ათი ბავშვიდან, რომლებიც მასთან ერთად იმყოფებოდნენ პალატაში, შვიდი, მათ შორის მათი გოგონაც, დაყრუვდა.

ირინა სულ ერთი წლის იყო, როდესაც ფილტვების ანთებით ქ. ტირასპოლის საავადმყოფოში დააწვინეს. გოგონას ანტიბიოტიკების ინტენსიური კურსი დაუნიშნეს. შედეგები საშინელი აღმოჩნდა.

მშობლები აღშფოთებას გამოთქვამდნენ, რატომ არიან სკოლაში ყრუ ბავშვებიო

ისე რომ ნათესავებისთვის არაფერი უთქვამთ, ექიმებმა გოგონა საავადმყოფოდან გამოწერეს. როდესაც აღმოაჩინეს, რომ ბავშვი ხმებზე არ რეაგირებდა, შეშფოთებულმა მშობლებმა კვლავ მიმართეს მედიკოსებს. „ეს მალე გაუვლის, – ირწმუნებოდნენ ექიმები, – გადატანილი სერიოზული დაავადების შემდეგ ბავშვებს ზოგჯერ დროებითი დამუხრუჭება აქვთ ხოლმე". მაგრამ მშობლებს გული ცუდს უგრძნობდა და მათ შვილი კიევში წაიყვანეს. იქ გოგონას ზუსტი დიაგნოზი დაუსვეს – „სასმენი ნერვის კოქლეალური ნეფრიტი". სამედიცინო ტერმინების ეს თანაწყობა ერთს ნიშნავდა: გოგონა ყრუ იყო.

როგორ უნდა გადაეტანათ ეს უბედურება? როგორ უნდა შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ მათი ერთადერთი შვილი, გარდა იმისა, რომ ისეთ სამყაროში ცხოვრებისთვის იყო განწირული, სადაც არც ადამიანთა ხმებია, არც მუსიკა და არც ჩიტების გალობა, თვითონაც ვერასდროს ილაპარაკებდა?! ირინამ ხომ სულ პაწაწინამ დაკარგა სმენა, როცა ის-ის იყო პირველი სიტყვების წარმოთქმა დაიწყო. რა თქმა უნდა, მშობლები სასოწარკვეთილები იყვნენ, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. მთელი სანათესაო და სამეგობრო დააყენეს ფეხზე და ბოლოს ნაცნობობის რაღაც წარმოუდგენელი ხაზით კულტურის მინისტრი ეკატერინა ფურცევა შეაწუხეს. სწორედ იმ დროს მოსკოვში სურდოპედაგოგი, ე. ი. ლონგარდი ექსპერიმენტულ ჯგუფს აგროვებდა, რომელშიც პირველად დაიწყო ყრუ ბავშვების ახალი მეთოდიკით სწავლება. ამ მეთოდით პატარებს ტუჩების მოძრაობის მიხედვით წაკითხვა უნდა ესწავლათ. ამ გზით მათ ლაპარაკს ასწავლიდნენ. ფურცევამ გულთან ახლოს მიიტანა პატარა ირინას ამბავი, შედეგად კი ამას გოგონას ოჯახის მოსკოვში გადმოსახლება მოჰყვა. ირინა ამ ექსპერიმენტულ ჯგუფში მიიღეს. ამ დროისთვის მას სამი წელი შეუსრულდა.

დაიწყო უსასრულო დაძაბული მუშაობის წლები. სპეციალისტთა მთავარი მიზანი იყო ბავშვების ჩვეულებრივი სმენის მქონე ადამიანთა სამყაროში ცხოვრებისთვის მომზადება. დიდხანს და გულმოდგინედ სწავლობდნენ ყოველ ბგერას, მთელი კედლები და კარები ასოებით იყო აჭრელებული. მეთოდიკა არა მარტო სურდოპედაგოგებისა და ბავშვების დიდ ძალისხმევასა და დროს მოითხოვდა, არამედ ბავშვების მშობლებისასაც.

იხ. მე-11 გვ.

საწოლში ნამდვილი მამაკაცობა მინდა

ლავერონი სექსუალური ცხოვრების მოგვარებაში მოგეხმარებათ

25 ივლისის „Московский Комсомолец"-მა ხელმოუწერლად გამოაქვეყნა ერთგვარად უჩვეულო წერილი, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ.

40-ზე ცოტა მეტისა ვარ. აქამდე მეგონა, რომ იმპოტენციაზე ყოველგვარი ლაპარაკი იმ მამაკაცებს ეხებათ, ვინც სამოც წელს გადასცილდა; მაგრამ აი, მე, თითქოსდა ჯანმრთელი, უცებ სუსტი აღმოვჩნდი.



ჩემი ცოლი ძალიან ტემპერამენტიანია და სექსი მეტი უნდა, მე კი ბანალურად არ გამომდის, სულ უფრო ხშირად მექმნება ერექციის, ეაკულაციის პრობლემები.

ექიმმა დამამშვიდა, მითხრა, რომ ასეთი სიძნელეები ახლა იშვიათობა როდია. პრესის პუბლიკაციებში მამაკაცის სექსუალურ ცხოვრებაში ჩავარდნებს იმპოტენციად მოიხსენიებენ, რაც მთლად სწორი არ არის. ექიმები ასეთად იმ მდგომარეობას თვლიან, როცა მამაკაცი ვერანაირ გარემოებებში ვერ ახერხებს სქესობრივი აქტის შესრულებას. შემთხვევით ან პერიოდულად გამომხტარ ერექციის პრობლემებს კი ერექტიულ დისფუნქციას უწოდებენ.

ორგანიზმში სხვადასხვა დარღვევა ხდება, რომლებიც ახლა ხშირად ჩნდება ცუდი ეკოლოგიის, ცხოვრების ნაკლებმოძრავი წესის, მავნე ჩვევების, სტრესების ნიადაგზე. ამის შედეგად მამაკაცებთან შეიმჩნევა სისხლის არასაკმარისი მოდინება სასქესო ასოს ვენებში. მეც ასეთი პრობლემა მქონია. მისი გადაწყვეტა ახალი ამერიკული პრეპარატის მეშვეობით მირჩიეს – ლავერონისა (Laveron), რომელიც ბოლო დროს პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში.

ეს გახლავთ საერთოდ მომამაგრებელი, მატონიზებელი, სექსუალური აქტიურობის მასტიმულირებელეფექტიანი საშუალება. თანაც აბსოლუტურად უხიფათო და გვერდითი ეფექტების მინიმუმის შემცველი. ის ხანგრძლივ მკვიდრ ერექციას უზრუნველყოფს პრაქტიკულად ნებისმიერი ასაკის მამაკაცთათვის; აგრეთვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლავერონი სწრაფ და საიმედო ეფექტს იწვევს არა კურსის ჩატარებისას, არამედ მიღებიდან უკე 40-60 წუთის შემდეგ; ყველაფერთან დამატებით, მისი აქტიური მოქმედება 8 საათამდე გრძელდება.

ლავერონის პირველივე მიღებიდან სტუდენტური წლები დამიბრუნდა, კვლავ ვიგრძენი ძალა და სექსუალური ენერგია. რამდენიმე დღის ხმარების შემდეგ ცოლთან სურვილობა ზედიზედ რამდენჯერმე შევძელი. ჩვენ თითქოს ახალი თაფლობის თვე დაგვიდგა.

ყველა მამაკაცს ვურჩევ – არაფრის გამოგონება არაა საჭირო, ლავერონით იმკურნალეთ და ყველა პრობლემა მოგეხსნებათ...

ქრონოგრაფი

8 ივლისი, 1900 წელი

TIME
The Weekly News-Magazine

ამერიკელებმა ჩოგბურთში, ერთეულთა თანრიგში ზედიზედ ორ გამარჯვებას მიაღწიეს ბოსტონში ლონგვუდის კრიკეტ-კლუბის კორტებზე. სწორედ ეს იყო ჩოგბურთში პირველი შეხვედრა, რომელიც დევისის თასის სახელწოდებითაა ცნობილი. მეორე დღეს ამერიკელებმა წყვილთა შეჯიბრშიც დაამარცხეს მოწინააღმდეგე.

მესამე დღეს შეჯიბრი არ განახლებულა ძლიერი წვიმის გამო. ამ დღიდან მოყოლებული დევისის თასის გათამაშება ყოველწლიურად ტარდება მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა მონაწილეობით. თასი ვერცხლის სასალათის ფორმისაა. იგი შეჯიბრებაში გამარჯვებულის გადასაცემად შეიძინა ამერიკელთა გუნდის კაპიტანმა დ. დევისმა.

9 ივლისი, 1705 წელი

ასტრახანში აჯანყებამ იფეთქა. მისი საბაბი გახდა ხალხში გავრცელებული ჭორი, თითქოს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I შვიდი წლით აკრძალა ასტრახანელი გოგონების გათხოვება ადგილობრივ მამაკაცებზე – ქალები მხოლოდ ყაზანელ გერმანელებზე უნდა დაქორწინებულიყვნენ.

შეურაცხყოფილმა ასტრახანელებმა ერთ დღეს ერთდროულად ასამდე წყვილი დააქორწინეს. მთვრალი მამაკაცები უცხოელებს დაერივნენ. ესეც არ იკმარეს, შეცვივდნენ იარაღის საწყობებში, შეიარაღებულნი ვოლგას აღმა აუყვნენ, რათა შური ეძიათ იმპერატორზე. აჯანყების ჩახშობა 1706 წლის შემოდგომაზე შესძლო სამეფო ჯარმა, რომელსაც ფელდმარშალი შერემეტიევი ხელმძღვანელობდა. ორი წელი ეძებდნენ აჯანყების მეთაურებს. მოსკოვში სიკვდილით დასაჯეს აჯანყების 240 ლიდერი.

10 ივლისი, 1675 წელი



ინგლისის მეფის კარლ II სტიუარტის ბრძანებით დაიწყო მსოფლიოში ცნობილი გრინვიჩის ობსერვატორიის მშენებლობა.

მეფის ბრძანებაში ნათქვამია: „ასტრონომიისა და ნავიგაციის განვითარება-სრულყოფისათვის გრინვიჩში ჩემი პარკის ტერიტორიაზე, ჩემი ციხე-სიმაგრის მახლობლად ამაღლებულ ადგილზე, ჩემი ასტრონომ-დამკვირვებლისა და მისი ასისტენტის საცხოვრებლად და სამუშაოდ აგებულ იქნას ობსერვატორია".

11 ივლისი, 1890 წელი

ანტვერპენში ნეოკლასიკური სტილის სასახლეში გაიხსნა ბელგიაში ერთ-ერთი უმდიდრესი სახვითი ხელოვნების სამეფო მუზეუმი. აქ განთავსდა ძველი ფლამანდიელი მხატვრებისა და ოსტატების ნამუშევრები, ცნობილი ანტვერპენელი მხატვრის პიტერ პაულ რუბენსის ტილოები.

თავდაპირველად ეს ძვირფასეულობა ინახებოდა 1843 წელს სახვითი ხელოვნების აკადემიისთვის გადაცემულ ფრანცისკანულ ეკლესიაში. მუზეუმის სიამაყეს წარმოადგენს XV-XVI საუკუნის შემოქმედთა 140 ტილო, რომელიც ქალაქს 1841 წელს საჩუქრად გადასცა მისმა ყოფილმა ბურგომისტრმა ფლორან ვან ერტბორნმა.

12 ივლისი (XIII ს.)



ხსენების დღე საქართველოსთვის თავდადებულისა და აღმსარებლისა წმიდა ცოტნე დადიანისა. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობა XIII საუკუნეში. ამ დროს საქართველო მონღოლთა უღელქვეშ იტანჯებოდა. რუსუდან მეფის გარდაცვალების შემდეგ (1245 წ.) მონღოლებმა ქართველ მთავრებს უმძიმესი ხარკი დაუწესეს. მდგომარეობა იმდენად აუტანელი გახდა, რომ მთავრებმა გადაწყვიტეს გაერთიანებული ძალებით შებრძოლებოდნენ მტერს. ისინი კოხტასთავს შეიკრიბნენ და სამოქმედო გეგმა დასახეს.

ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი ლაშქრის შესაკრებად წავიდნენ. მონღოლებმა შეიტყვეს ქართველთა გადაწყვეტილების შესახებ, თავს დაესხნენ კოხტასთავს და შეპყრობილი მთავრები ანისის ქვეყანაში შირავაკანში წაასხეს. შეპყრობილი მთავრები გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და პაპანაქება სიცხეში დატოვეს. როდესაც ცოტნე დადიანმა ეს ამბავი შეიტყო, ისიც ანისში ჩავიდა, გაშიშვლდა, ტანზე თაფლი წაისვა და თანამოძმეებთან დაჯდა. მონღოლები განაცვიფრა ცოტნეს ვაჟკაცობამ და თავდადებამ. მან მონღოლებს აუხსნა, რომ ქართველები უდანაშაულონი იყვნენ. მტერმა ყველა ქართველი თავადი გაათავისუფლა. 1259 წლის მონღოლების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში ცოტნე დადიანის სახელი არ ჩანს. ვარაუდობენ, რომ იგი უკვე გარდაცვლილი იყო.

13 ივლისი, 1940 წელი



დაიწყო „ინგლისისათვის ბრძოლა". ამ დღიდან 1941 წლის მაისამდე გერმანელთა თვითმფრინავები თითქმის ყოველდღიურად ბომბავდნენ ინგლისის ქალაქებს. ინგლისი, საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ, ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც გერმანიის მოწინააღმდეგედ რჩებოდა.

დაიღუპა თითქმის 40 ათასამდე ინგლისელი, 50 ათასმა მძიმე ჭრილობები მიიღო, განადგურდა ქალაქები და დასახლებული პუნქტები. მიუხედავად ამისა, ინგლისმა კაპიტულაცია არ გამოაცხადა. გერმანელთა გეგმა ინგლისის ელვისებური დაპყრობისა და დამორჩილებისა ვერ განხორციელდა.

14 ივლისი, 1385 წელი

ციხესიმაგრე კრეკოში ლიტვის დიდმა მთავარმა იაგაილომ და პოლონეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რათა ამ ორ სახელმწიფოს ერთიანი ძალით ებრძოლა ტევტონთა ორდენის წინააღმდეგ.

ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო იაგაილოსა და პოლონეთის მეფის 15 წლის ქალიშვილის იადვიგას ქორწინება. კრაკოვში იაგაილომ კათოლიკობა მიიღო და გახდა პოლონეთის მეფეც. მას ეწოდა ვლადისლავ II.

პროფესიული ორგაზმი

ამერიკელი სექსოპათოლოგები საგულისხმო დასკვნამდე მივიდნენ: ადამიანის პროფესია არა მარტო გავლენას ახდენს მის სექსუალურ შესაძლებლობებზე, არამედ სხეულზე ეროგენული ზონების განლაგებასაც განსაზღვრავს.

სპეციალისტებისთვის დიდი ხანია ცნობილია, რომ ადამიანთა უმეტესობას აქვს როგორც თანდაყოლილი, ისე შეძენილი ეროგენული ზონები. თანდაყოლილთა ადგილსამყოფელი მრავალი ჩვენგანისთვის ერთნაირია: ეს არის სასქესო ორგანოებისა და მკერდის არე, სადაც თავმოყრილია ბევრი ნერვული დაბოლოება – მაღალი მგრძნობიარობის რეცეპტორები, რომლებიც ეხმაურებიან სულ უმნიშვნელო ზემოქმედებასაც. შეძენილი ზონები კი ყველაზე უჩვეულო ადგილებშიც შეიძლება აღმოგვაჩნდეს. ისინი ყოველი ადამიანისათვის ინდივიდუალურნი არიან და სიცოცხლის განმავლობაში ეგებ კიდევაც შეიცვალონ მდებარეობა.

სექსოლოგები დიდი ხანია ცდილობენ განსაზღვრას – არის თუ არა აქ რაიმე კანონზომიერება. ეს მოახერხა პროფესორმა ენტონი გორდონმა ამერიკის სექსოლოგიის ინსტიტუტიდან. შეადარა რა სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით, მან დაადგინა, რომ ეროგენული ზონები ადამიანის პროფესიაზეა დამოკიდებული, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ის შესაბამის საქმიანობას ზედიზედ ეწევა არა ნაკლებ ათი წლისა.

✱ მოცურავეებს, ცურვის მწვრთნელებს, პლაჟის მაშველებს ერთობ მგრძნობიარე აქვთ დუნდულები, ზურგის ბოლო და ფეხები. ეს იმით აიხსნება, რომ ცურვის დროს წყალი ყველაზე მეტად სხეულის სწორედ ამ ნაწილებზე ზემოქმედებს და კანისკენ სისხლის მოქცევას უწყობს ხელს. შედეგად კი სხეული ამ ზონებში ძალიან მგრძნობიარე ხდება და კარგად რეაგირებს ნაზ, მოლიტინე შეხებებზე; და კიდევ, ამ პროფესიების ადამიანებს ერთობ „ამთვისებელი" ტერფები აქვთ, ვინაიდან ხშირად უწევთ ფეხშიშველა სიარული.

✱ მოცეკვავეებს, მასწავლებლებს, გამყიდველებს, მსახიობებს – ანუ ყველას, ვინც ბევრ დროს ფეხზე მდგომი ატარებს, ყველაზე მგრძნობიარე აქვთ ზურგი. ფეხზე დგომით დაღლილი კუნთები მაშინვე რეაგირებს ხერხემლის გაყოლებით ხელის დასმაზე და სქესობრივ აგზნებასაც კი უწყობენ ხელს.

✱ მწერლებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს – ერთი სიტყვით, იმათ, ვისი სამუშაო დროც საწერ მაგიდასთან ან კომპიუტერთან გადის, ეროგენული ზონები უთავსდებათ ბარძაყის შიდა მხარესა და მუხლების კვირისტავების ქვეშ. მათ აგრეთვე ალაგზნებთ ყელისა და ბეჭებს შორის მდებარე „კატის ადგილის" ალერსი. სხეულის ეს ნაწილები, როგორც წესი, იღლებიან და ბრუჟდებიან და ამიტომაც მოფერების, განსაკუთრებით მასაჟის „ამთვისებელნი" ხდებიან. ცხოვრების მჯდომარე რაგვარობა ქალებში იწვევს საშვილოსნოში სისხლის შეგუბებას, ამიტომ სექსის დროს მათ მოეწონებათ ამ ორგანოს ყელის სტიმულირება.

✱ ხელოვნების სფეროში მომუშავეებს, ჩვეულებრივ, აქტიური უხდებათ სმენასთან, შეხებასა და მხედველობასთან დაკავშირებული ეროგენული ზონები. მათი აგზნება ადვილად შეიძლება ყურის ბიბილოსთან, ენასთან, თვალებთან, ქუთუთოებთან და... ცხვირთანაც კი შეხებით.

✱ დეგუსტატორებსა და მზარეულებს ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე ზონად უხდებათ ენა და ტუჩები. ეს იმის გამო, რომ მათ განსაკუთრებით აქვთ განვითარებული გემოვნებითი შეგრძნებები.

✱ აი ისინი კი, ვინც მუშური სპეციალობებით არიან დაკავებულნი, მოკლებული ხდებიან განვითარებულ ეროგენულ ზონებს: ძლიერი ფიზიკური დაძაბულობა იწვევს სტრესის ჰორმონების დიდ ამოტყორცნებს (კორტიზოლი და ადრენალინი), რომლებიც კანის რეცეპტორთა მგრძნობელობას ბლოკავენ. იგივე ეხებათ ექიმებსა და მედდებს – ისინი ძლიერ სექსუალურ აღელვებას განიცდიან ძირითადად ყველაზე „ტრადიციულ" ზონებზე, სასქესო ორგანოებზე ზემოქმედებისას. გამოირკვა, რომ მუშები და ექიმები ნაკლებ რომანტიულნი არიან ლოგინში, ვიდრე სხვა პროფესიების წარმომადგენლები.

ტუჩებით მკითხველი,

ყრუ გოგონას ლაპარაკი ასწავლეს

(მეათე გვერდიდან)

ყველა დედა და მამა როდი აღმოჩნდა მზად ასეთი თავდადებისთვის. ამ მხრივ ირინას გაუმართლა. მისი წარმატებები იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ გადაწყდა მასთან და კიდევ ერთ გოგონასთან ექსპერიმენტი გაეგრძელებინათ: ისინი დამხმარე სკოლაში კი არ გაგზავნეს სასწავლებლად, არამედ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში. ასე გახდნენ ირინა და მისი თანატოლი მეორე გოგონა ქ. მოსკოვის № 710 სკოლის მოსწავლეები. სხვათა შორის, ამ სკოლის კურსდამთავრებულია რუსეთის ახლანდელი პრემიერი მ. ფრადკოვი.

ირინა იხსენებს, რომ იმდენად კარგად იყო მომზადებული, რომ ამ მნიშვნელოვანმა ცვლილებამ მის ცხოვრებაში მისთვის რაიმე განსაკუთრებული პრობლემების გარეშე ჩაიარა. ცხადია, უჩვეულო მოსწავლეებს განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდნენ! პირველ მერხზე დასხეს, გაკვეთილის ახსნისას მასწავლებლები პირით გოგონებისკენ დგებოდნენ, რათა მათ თავისუფლად ედევნებინათ თვალი მათი ტუჩების მოძრაობისთვის. მათემატიკის მასწავლებელს კი, რომელსაც საკმაოდ ხშირი ულვაშები ჰქონდა, მათი წამდაუწუმ გასწორება უხდებოდა. თუმცა თავიდან ზოგიერთი თანაკლასელის მშობლები აღშფოთებას გამოთქვამდნენ: რატომ დაუშვეს სკოლაში ყრუ ბავშვები, რატომ არის სწავლება აგებული მათი ნაკლის გათვალისწინებით? მაგრამ ირინას პირველმა მასწავლებელმა მტკიცედ განაცხადა, უმალ ნებისმიერი სხვა ბავშვი გაირიცხება სკოლიდან, ვიდრე ეს გოგონებიო. ზოგჯერ თანაკლასელთა დაცინვების ატანაც უწევდათ. თუმცა დღეს ირინა ამაზე ლაპარაკს გაურბის. სამაგიეროდ, სულ სხვა განწყობით ჰყვება იმის შესახებ, თუ როგორ აუჩუყდა გული, როდესაც მრავალი წლის შემდეგ თანაკლასელთა შეხვედრაზე მისი მწყენინებლები თვითონ უახლოვდებოდნენ და პატიებას სთხოვდნენ, ხოლო ერთმა „ბიჭმა“, რომელსაც ახლა მაღალი თანამდებობა უკავია, თავი ვერ შეიკავა და... ატირდა. ირინას ისიც კარგად დაამახსოვრდა, როგორ ავიდა სცენაზე გამოსაშვებ საღამოზე მათი კლასის დამრიგებელი და აღელვებულმა როგორ მიმართა თავის ორ განსაკუთრებულ მოსწავლეს: „თქვენ მე მასწავლეთ იმის დაფასება, რაც გამაჩნია, მასწავლეთ, ყველაფრის მიუხედავად, სიცოცხლით ტკბობა!“

გოგონა ამაოდ ეძახდა დედას და ეგონა, აღარ ვუყვარვარო

მერე იყო ახალი საფეხური: ცნობილ ბაუმანის ინსტიტუტში ჩარიცხვა. ირინა სმენადაქვეითებულთა სპეციალურ ჯგუფში სწავლობდა, თავისუფლად, ლაღად იქცეოდა, მეგობრობდა თანაკურსელებთან. ახლა, როცა უკვე დიდი იყო, მას შეეძლო სათანადოდ შეეფასებინა მრავალი ადამიანის მიერ მისთვის გაწეული შრომის შედეგები და გაეცნობიერებინა, თუ როგორ გაუმართლა.

ბოლო კურსზე ირინა სმენადაქვეითებულ ჭაბუკს გაჰყვა ცოლად. გოგონა, გალია რომ გაუჩნდათ, ახალგაზრდა მშობლებს ერთადერთი რამ აშინებდათ: ესმის თუ არა მათ შვილს? ექიმები თავიდანვე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილები. სპეციალურად ჩამოვიდა ირინას სურდოპედაგოგი, რომელიც ბავშვობიდან ასწავლიდა მას, ბავშვი გასინჯა, შვებით ამოისუნთქა და გამოაცხადა: „ღმერთს უმადლოდეთ“. ირინა და მისი ქმარი ამის შემდეგაც კარგა ხანს გაუთავებლად ამოწმებდნენ გოგონას რეაქციას ხმაურზე და გახარებულები ყვიროდნენ: „ესმის!“ რა თქმა უნდა, ბავშვის მოვლაში სირთულეებსაც ჰქონდა ადგილი: მაგალითად, როდესაც ღამე გოგონა იღვიძებდა და ტიროდა. გალიასაც ახსოვს, როცა ბავშვობაში დაცემისას რამეს იტკენდა და გამწარებული ამაოდ ეძახდა ხოლმე დედას და ეჩვენებოდა, რომ მან რატომღაც გადაიყვარა. რაღაც მომენტში ირინამ და ქმარმა სრულად გააცნობიერეს, რომ ყველაფრის მიუხედავად, მათ გოგონას მაინც აკლდა სრულფასოვანი, ჯანსაღი ურთიერთობა. და მაშინ გადაწყვიტეს მეორე შვილი გაეჩინათ. და ისევ განცდები, ნერვიულობა: ეს ბავშვი როგორი-ლა დაიბადება? დაშა გალიას შემდეგ ზუსტად სამ წელიწადში დაიბადა. სმენა მას სრულ წესრიგში აქვს.

დაშას მოვლა-გაზრდა ბევრად უფრო იოლი აღმოჩნდა. დედას ახლა გვერდში საუცხოო პატარა დამხმარე ჰყავდა, რომელსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რამდენად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა: გალია უბრალოდ სიამოვნებით ეთამაშებოდა თავის დაიკოს, უყვებოდა მას ზღაპრებს, უმღეროდა სიმღერებს.

ამჟამად ორივენი შესანიშნავად სწავლობენ მუსიკალურ სკოლაში ფლეიტის კლასში, ეუფლებიან უცხო ენებს. დაშა მშვენივრად ხატავს, გალია კი ლექსებს წერს.

გულსატკენი მარტო ის არის, რომ ზოგჯერ ეს ოჯახი აგრესიულ შურს აწყდება. ზოგი ადამიანის ბოროტი გამოხდომები იმის აბსურდულ მტკიცებას ემყარება, რომ თითქოს არ შეიძლება ყრუ მშობლებს ჯანმრთელი და წარმატებული შვილები ჰყავდეთ. ეს არ არის მართალი.

უხსოვარ დროს დაიწყო ადამიანმა ხიდების აგება. სურდათ უმოკლესი მანძილით გადასულიყვნენ წყალუხვ მდინარეებზე, ხეობის ერთი ადგილიდან მეორეზე. თავდაპირველად ხიმ მორს თუ გამოიყენებდნენ ჯერ ერთს, შემდეგ რამდენიმეს. საუკუნეები დასჭირდათ, ხე რომ ქვებით შეეცვალათ. შემდეგ ყოველივე ეს დაიხვეწა, თანამედროვე სახე მიიღო. დამპყრობლებისთვის ფეხით გადასასვლელი ხიდები პრობლემას წარმოადგენდა. ხიდი გამძლე, განიერი უნდა ყოფილიყო, რათა მასზე ოთხთვალებსა და საბრძოლო ტექნიკასაც შესძლებოდა გადასვლა.

ხიდებიანი მსოფლიო

ახლა მსოფლიოში მილიონამდე ხიდია. ზოგი თავისი ისტორიული წარმომავლობით გამოირჩევა, ზოგიც უნიკალური კონსტრუქციით. ბევრი მათგანი არქიტექტურის საოცრებას წარმოადგენს, მაგრამ ერთეულები თუ მოიწონებენ თავს ასაკით. დღესაც, მარტო საქართველოს მდინარეებზე აჭარასა და აფხაზეთში, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში უამრავი ხიდია თამარის და უფრო ადრინდელი ეპოქისა. ასე რომ, სხვა ქვეყნებს არც ჩვენ ჩამოვრჩებით.

ამჯერად მსოფლიოს უნიკალურ ხიდთა ჩამონათვალს გადავავლოთ თვალი.


ფორტ-რეილ ბრიჯი

ოქროს კარიბჭე

✱ მსოფლიოში ყველაზე დიდი კონსოლური ხიდი ფორტ-რეილ ბრიჯია, რომელიც შოტლანდიაში 1890 წელს ააგეს. იგი მსოფლიოს მერვე საოცრებად ითვლება.

✱ ყველასათვის ცნობილი ბრუკლინის ხიდი ისტ-რივერის სრუტეზე გადადის. იგი ბრუკლინსა და მანჰეტენს აკავშირებს ერთმანეთთან. აგებულია 1883 წელს.

✱ მსოფლიოში უძველეს მოქმედ ხიდად ითვლება არკის ტიპის ხიდი ანიცზი, რომელიც ჩინეთში 610 წელს ააგეს.

✱ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხიდია საფრანგეთის ქალაქ მიიოში მდინარე ტარნის დაბლობში აგებული „ვიიადუკ მიო“. მისი ერთ-ერთი საყრდენის სიმაღლე 343 მეტრია. ხიდის აგებისას პროექტი „ექსტრემალური ინჟინერია“ განახორციელეს შემდუღებელმა რობოტებმა.

✱ 1937 წლის მაისში გოლდენ-გეიტის სრუტეში ოფიციალურად გაიხსნა ხიდი, რომელიც სან-ფრანცისკოსა და წყნარ ოკეანეს ერთმანეთთან აკავშირებდა. იმ დროისათვის ყველაზე მაღალ დაკიდულ ხიდს (2737 მ.) აგებდნენ მეტად რთულ პირობებში – ნისლში, ქარიშხალში, შტორმში, ოკეანურ მიმოქცევებში, – მართლაც ტიტანურ შრომას მოითხოვდა. ხიდის რხევის ამპლიტუდა 9 მეტრს აღწევს.

✱ 1912 წელს ააგეს სარკინიგზო ხიდი, რომელიც ფლორიდის ქორალის კუნძულებს ერთმანეთთან აერთებდა. 1930 წელს ძლიერმა შტორმმა ხიდი დაანგრია. რეკონსტრუქციის შემდეგ იგი მხოლოდ ავტომობილით მოსარგებლეებს ემსახურება. როდესაც ხიდი სამგზავროდაც უარგისი გამოდგა, მის პარალელურად ახალი ხიდი ააგეს, რომლის სიგრძეც 10 კილომეტრ

იხ. მე-12 გვ.

ტაუერი

ციფრების ენით

ვისთან და რით ვაჭრობს რუსეთი

ლატვია

გზავნის რუსეთში 212 მილიონი დოლარის პროდუქციას. მათ შორის, ხორცის პროდუქტებს, თევზს – 27,9 მილიონი დოლარის, ალკოჰოლიან და უალკოჰოლო სასმელებს – 5,5 მილიონი დოლარის.

იღებს რუსეთიდან 1,35 მილიარდი დოლარის საქონელს. მათ შორის, ნავთობს – 1866 ათას ტონას, გაზს – 2220 მილიონ კუბურ მეტრს, ლოკომოტივებსა და სარკინიგზო ვაგონებს – 20,5 მილიონი დოლარის.

ლიტვა

გზავნის რუსეთში 459 მილიონი დოლარის პროდუქციას. მათ შორის, ხორცის პროდუქტებს, თევზს – 3,2 მილიონი დოლარის, ალკოჰოლიან და უალკოჰოლო სასმელებს – 1,2 მილიონი დოლარის.

იღებს რუსეთიდან 2,99 მილიარდი დოლარის საქონელს. მათ შორის, ნავთობს – 8661 ათას ტონა გაზს, – 2929 ათასი კუბურ მეტრს.

ესტონეთი

ФИНЛЯНДИЯ
ЭСТОНИЯ
РОССИЯ
ЛАТВИЯ

გზავნის რუსეთში 176 მილიონი დოლარის პროდუქციას. მათ შორის, სასურსათო საქონელს – 16 მილიონი დოლარის, მანქანა-მოწყობილობებს – 83 მილიონი დოლარის.

იღებს რუსეთიდან 1,54 მილიარდი დოლარის პროდუქციას. მათ შორის, გაზს – 932 მილიონი კუბურ მეტრს, სარკინიგზო ლოკომოტივებს – 91,1 მილიონ დოლარს.

უკრაინა



გზავნის რუსეთში 4,44 მილიარდი დოლარის პროდუქციას. მათ შორის, რძეს და რძის პროდუქტებს – 93,1 ათასი ტონას, რკინისა და ფოლადის ნაგლინს – 1023 ტონას.

იღებს რუსეთიდან 7,6 მილიარდი დოლარის პროდუქციას. მათ შორის, გაზს – 26,4 მილიარდ კუბური მეტრს, ნავთობს – 19,4 მილიონი ტონას.

მოლდავეთი

Moldova
UKRAINE

გზავნის რუსეთში 403 მილიონი დოლარის საქონელს. მათ შორის, ხორცს – 128 ათას ტონას, ღვინოს – 14,7 ათას დეკალიტრს.

იღებს რუსეთიდან 306 მილიონი დოლარის საქონელს. მათ შორის, გაზს – 1,7 მილიარდ კუბურ მეტრს, ქვანახშირს – 12,2 ათას ტონას.

საქართველო



გზავნის რუსეთში 84,2 მილიონი დოლარის პროდუქციას. მათ შორის, მინერალურ სასუქებს – 11 ათას ტონას, ბოსტნეულს, ხილს – 7 ათას ტონას.

იღებს რუსეთიდან 153 მილიონი დოლარის საქონელს. მათ შორის, ცემენტს – 5,6 ათას ტონას, დაუმუშავებელ ხეტყეს – 1,1 ათას კუბურ მეტრს.

ფულის უკან ოქროს მარაგის

მსოფლიოში წამყვან ვალუტებად ყოველთვის ითვლებოდა იმ სახელმწიფოთა ფული, რომლებსაც ჰქონდათ ოქროს მარაგი. რუბლი, ისევე როგორც დოლარი, ვერცხლზე იყო მიჯაჭვული. დოლარი ლიდერი გახდა 1945 წლის შემდეგ, როცა ამერიკის ეკონომიკა აღდგა მეორე მსოფლიო ომის ნანგრევებიდან.

1. ბიზანტიური ოქროს მონეტა	– მე-5 – მე-7 საუკუნეები;
2. არაბული დინარი	– მე-8 – მე-12 საუკუნეები;
3. ფლორენციული ფლორინი	– მე-12 – მე-16 საუკუნეები;
4. ვენეციური დუკატი	– მე-15 საუკუნე.
5. ჰოლანდიური გულდენი	– მე-17 – მე-18 საუკუნეები;
6. ინგლისური გირვანქა სტერლინგი	– მე-18 საუკუნის დამლევიდან მეორე მსოფლიო ომამდე.
7. ამერიკული დოლარი	– მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.

YEN
Dm.
pesos
Kroner
$
Lire
rupiah
Dinar
Rand
£
US Dollar
Dm.

ვალუტა სხვადასხვანაირია

სადღეისოდ მსოფლიოში ყველა ვალუტა ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა

პირველი – ეროვნული ვალუტები. ისეთები, რომლებიც მიმოქცევაშია მხოლოდ თავ-თავიანთ ქვეყნებში. მაგალითად, კუბური პესო ან ჩრდილოკორეული ვონი.

მეორე ჯგუფი – საერთაშორისო ვალუტები. ეს მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის ფულადი ერთეულებია. ასეთი ვალუტა საერთაშორისოდ რომ აღიარონ, საკმარისია, თუ ქვეყანა მონაწილეობს საერთაშორსო ვაჭრობაში. ამასთან, არ ენიჭება მნიშვნელობა მთლიან შიდა პროდუქტს და ეკონომიკის ზრდის ტემპს. რუსული რუბლი მხოლოდ ახლა გადავიდა ამ ჯგუფში.

გაცილებით უფრო ფასდება **მესამე** ჯგუფის ქვეყნების ფული – ძირითადი ვალუტები. ეს იმ სახელმწიფოების ვალუტებია, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მსოფლიო ვაჭრობაში, აქვთ მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტი სულ მოსახლეზე, განვითარებული ფინანსური ბაზრები; ამ ქვეყნების კანონები ითვალისწინებენ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას და იქ არ არსებობს სავალუტო შეზღუდვები. ამ ჯგუფს, მაგალითად, მიეკუთვნება კანადური დოლარი.

მეოთხე ჯგუფია სარეზერვო ვალუტები. ამერიკული დოლარი, ინგლისური გირვანქა სტერლინგი, ევრო და იენა. ამ სახელმწიფოებს აქვთ ყოველივე ის, რაც მეორე და მესამე ჯგუფის წევრებს გააჩნიათ, ოღონდ გაცილებით უფრო დიდი ოდენობით. ამ ვალუტების დაგროვებას რეზერვის სახით ცდილობს ყველა ქვეყანა.

იმის შანსი, რომ თქვენ გენეტიკურად შეცვლილ სოიას მიირთმევთ, 70 პროცენტზე მეტია

მაშ, შეიძლება თუ არა სოიის ჭამა?

გვინდა თუ არ გვინდა, ამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მცენარის გარკვეულ დოზას ჩვენ ლამის

ყოველდღე ვღებულობთ. შიმშილს ვიკლავთ? სინამდვილეში, მეცნიერთა აზრით, – სამარეს ვითხრით...

„სოია მცენარეული ცილების უძვირფასესი წყარო, ადამიანისთვის უკიდურესად საჭირო პროდუქტია. როცა ამა თუ იმ სახის რძეს მივირთმევთ ან შევექცევით მორიგ ბუტერბროდს ძეხვით, ჩვენ სოიას ვღებულობთ. ჩინეთში ათასი წელია ქება-დიდებას ასხამენ მას“, – ირწმუნებიან ერთნი. „რაც ჩინელისთვის კარგია, ჩვენთვის მაინცდამაინც მისაღები ვერ არის. სოია ანელებს საჭმლის მონელებას, რასაც ორგანიზმისთვის ნეგატიური შედეგები მოსდევს“, – აცხადებენ სხვები. მაინც ვინ არის მართალი? ამის გასარკვევად ჩვენ ამ სფეროს ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ვავილოვის სახელობის ზოგადი გენეტიკის ინსტიტუტის პროფესორს ვიტალი პუხალსკის მივმართეთ:

– მე ასე ვიტყვი, ბუნებრივი, სუფთა სოია არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. ის სასარგებლოა ისე, როგორც ყველა პარკოსანი კულტურა, რომელსაც ჩვენ შევექცევით და მათთან ერთად ვღებულობთ მცენარეულ ცილებსაც, აუცილებელ ამინომჟავებს და ვიტამინებსაც.

ყველა „თავდასხმა“ გენეტიკურად მოდიფიცირებულ (გმ) სოიას, ანუ იმ მცენარეს უკავშირდება, რომელშიც მისთვის თავიდანვე „არამშობლიური“ გენებია ჩანერგილი. სამწუხაროდ, ჩვენ სწორედ ამ გენეტიკურად მოდიფიცირებულ სოიასთან გვაქვს საქმე. უბრალოდ იმიტომ, რომ მსოფლიოში წარმოებული მთელი სოიის 77 პროცენტი სწორედ მასზე მოდის და წამყვანი ექსპორტიორი – აშშ-ც სწორედ მას აწვდის რუსეთს ფართოდ.

სხვათა შორის გენეტიკურად მოდიფიცირებული ჯიშების ავტორები თავად არ მალავენ და საკმაოდ დარწმუნებით ლაპარაკობენ, რომ ამა თუ იმ მცენარეში ამა თუ იმ გენეტიკური ჩარევის უსაფრთხოებაზე ლაპარაკი სულ ცოტა 60 წლის შემდეგ თუ შეიძლება. სიმინდის, სოიის და სხვა მცენარეების რომელმა ჯიშებმა გაიარა ამდენი ხნის გამოცდა? არც ერთმა. მაშასადამე, სრულ და უეჭველ უსაფრთხოებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

ეჭვების არსი კი შემდეგში მდგომარეობს. სოიას მოდიფიცირება კერძოდ, იმისთვის ხდება, რომ ის კულტურული მცენარეების დასაცავად ხმარებული შხამ-ქიმიკატებისადმი, მაგალითად, ჰერბიციდებისადმი, მედეგი იყოს. მოასხურეს მინდორს ჰერბიციდები – სარეველები დაიღუპა, სოიას კი არაფერი მოსვლია. მაგრამ ამ მედეგობისთვის სოიამ უნდა „ზღოს“. არსებობს მონაცემები, რომ გენეტიკური ცვლილებები ზრდის მის მიერ გლიფოსფატის დაგროვების უნარს – ეს კი ძლიერი და მავნე კანცეროგენია.

თუ ასეთი სოია დანამატის სახით ძეხვში მოხვდა (დღეს ძეხვეულის ასობით რეცეპტურა სწორედ სოიაზეა „მოზელილი“), სიკეთეს არ უნდა ველოდოთ.

თქვენს კუჭში სასიცოცხლოდ აუცილებელი მრავალმილიარდიანი მიკ-



როფლორა ბინადრობს. შეიძლება გენეტიკური ჩანართის წყალობით ის იმდენად შეიცვალოს, რომ ველარც ვიცნოთ. ვთქვათ, ადამიანი ავად გახდა, მას სავსებით აპრობირებული სქემის მიხედვით უნიშნავენ ანტიბიოტიკებს, რომლებმაც ასი პროცენტით უნდა უშველოს, მაგრამ არ შველის!!!

იწყებენ კვლევა-ძიებას – რატომ ხდება ასე? თურმე პაციენტის მიკროფლორამ გენეტიკურად მოდიფიცირებულ პროდუქტთან „კავშირის“ შედეგად შეიძინა „უნარი“ წაართვას მოცემულ წამალს განკურნების ძალები.

ხსნა ნამდვილი ხორცის ძეხვშია

რამდენად უკვალოდ ჩაივლის მომავალი ბავშვისთვის ორსული ქალის მიერ გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის მიღება? იმავე პათოლოგიურად მსუქან ადამიანებს ამერიკელი მეცნიერები მცენარეებსა და ცხოველებზე განხორციელებული ათასგვარი გენეტიკური ექსპერიმენტის „შედეგად“ მიიჩნევენ. და ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია... სანამ ყველაფერი ბოლომდე არ გარკვეულა, ერიდეთ! ცდები თაგვებზე? მაგრამ თაგვები ადამიანები არ არიან. შედეგებს თაგვების ხუთ თაობაზე ამოწმებენ, მაშინ როცა 150 თაობაზე უნდა მოწმდებოდეს! იქნებ მეტზეც კი. ბავშვთა კვებაში გენეტიკურად მოდიფიცირებული სოიის დაშვება ხომ საერთოდ ნონსენსია!

– მაშ, რა გამოსავალი არსებობს?

– უნდა დავიწყოთ იმით, რომ ვაკეთოთ ხორცის ძეხვი და არა სოიის. ხოლო თუ მაქსიმუმზე ვილაპარაკებთ, ბოლოს და ბოლოს უნდა ავაღორძინოთ სოფლის მეურნეობა. ჩვენ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით: დიახ, ჩვენ ავტომანქანების კეთება არ შეგვიძლია, მაგრამ ჩვენი კვების პროდუქტები მსოფლიოში საუკეთესოა. მათი წყალობით მილიარდების მიღება შეგვიძლია.

სიტყვამ მოიტანა

პროფესორ პუხალსკის აზრი რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კვების ინსტიტუტის სპეციალისტებს გავაცანით. იქ მას დაეთანხმნენ, რომ კვლევები ზოგადად გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების და, კერძოდ, სოიის სფეროში გამუდმებით, ყველა ნიუანსის დადგენამდე უნდა მიმდინარეობდეს. მაგრამ პარალელურად ისიც დარწმუნებით გვითხრეს, რომ გმ პროდუქცია მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფება: პროდუქტები, რომლებიც ჩვენთან მიღებული ევროპული სტანდარტებით 0,9 პროცენტზე მეტ გენეტიკურად მოდიფიცირებულ შემადგენლებს შეიცავს, აუცილებელ მარკირებას ექვემდებარება. ასე რომ, იმათ, ვისაც ეჭვი ეპარება, ვურჩევთ ყურადღებით გაეცნონ ეტიკეტებს და თუ გმ-კომპონენტების არსებობა მათთვის მიუღებელია, შეუძლიათ უარი თქვან ამ პროდუქტის ყიდვაზე.

ეს კი ასეა, მაგრამ ასეთ მარკირებას ყველა მწარმოებელი არ აკეთებს, გარდა ამისა, ეშმაკურად შედგენილ ეტიკეტებსაც ყველა როდი კითხულობს...

თუ არის მოსალოდნელი უახლოეს მომავალში ახალი დიდმასშტაბიანი ტერორისტული აქტების განხორციელება? და თუ მაინც მოხდა ეს ტერაქტები, ყველაზე მეტად სად არის მოსალოდნელი?

2 პროცენტი	– შეუძლებელია
8 პროცენტი	– შესაძლებელია, ევროპაში
6 პროცენტი	– შესაძლებელია, რუსეთში
4 პროცენტი	– შესაძლებელია, შეერთებულ შტატებში
60 პროცენტი	– შესაძლებელია, თანაბრად ყველა ამ რეგიონში

20 პროცენტს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

„საზოგადოებრივი აზრის“ ფონდის
მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგები.



ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ივანე გიგინეიშვილი (მარცხნივ) და გრიგოლ კიკნაძე.
1967 წელი.

გივი შეყილაძის ფოტოარქივიდან.

გვემრავლოს!

ჯანმრთელი ბიჭი შეგვეძინა

ჩემი ქალიშვილი ნაზიკო სამი წელიწადი ელოდა შვილს, მკურნალობაც დასჭირდა. მოგეხსენებათ, ქალის ცხოვრებაში ფეხმძიმობა ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდია, ამიტომაც ჩვენი ოჯახისთვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა ორსული ქალის მშობიარობამდე მკურნალობამ, მშობიარობის სწორი მართვის აუცილებლობამ, მელოგინისა და ახალშობილის სწორად მოვლამ. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, როცა ამ დროს გრძნობ სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. მაშინ თავადაც იმედიანად ხარ.

ოჯახის სიხარული ქორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამსახურებაა ჩემი ქალიშვილი დღეს რომ ბიჭის დედაა და ახალგაზრდა ოჯახიც გახარებულია, ამას გატყობინებთ თქვენი გაზეთის მკითხველი, ვიცი ჩვენს სიხარულს გაიზიარებთ.

სოფო მახარობლიძე,
რუსთავი.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

— ეჰ, ჩემო ბატონო, ფეხის ძვლები არასწორად შეგხორცებიათ. ამიტომაც საჭიროა, რომ იგი კვლავ იმავე ადგილზე გადავტეხოთ და სწორად შევახორცოთ, გასაგებია? — ეკითხება ექიმი მიხოს.

— გასაგებია, ექიმო, მაშინ კვლავ დავლევ ლიტრ არაყს და წავიდეთ იმ დაწყევლილი ორმოსკენ, ჩემ სადარბაზოსთან რომ აქვს პირი დაფჩენილი...

* * *

— **ექიმო,** რატომ არის, რომ ყველა ცდილობს ჩემზე შემოჯდომას?

— თქვენც მოიხსენით უნაგირი...

* * *

ძნელია სინდისის გაყიდვა, როცა იგი არა გაქვს, და, საერთოდ, შეუძლებელია, თუ იგი გაქვს.

* * *

ველური დასავლეთი. კოვბოი რანჩოს უახლოვდება, ცხენიდან ჩამოდის და სახლისკენ მიდის. მის შესახვედრად გოგო გამორბის.

— სად არის მამაჩემი?

— მოკლეს.

— ვინ მოკლა?

— არ ვიცი, მაგრამ ის ხალხი აუცილებლად გადაიხდის ამის საფასურს, — კბილების ღრჭენით ამბობს კოვბოი და კვლავ ამხედრდება.

გარკვეული დროის შემდეგ იგი ბრუნდება და მაგიდაზე ფულით სავსე ტომარას დებს.

— ეს რა არის?

— საფასური გადაიხადეს.

* * *

ჩემო ფისუნია, მინდოდა სადღესასწაულოდ შენთვის ახალი ტაფა მეყიდა, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ცივ იარაღს არ ჩუქნიან.

ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

ლარის კურსი

5 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,2059 ლარი
აშშ დოლარი	1	1,8025 ლარი
ევრო	1	2,2320 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0634 ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1000	0,3854 ლარი.
სომხური დრამი	100	0,4006 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,5978 ლარი.

ეს საინტერესოა

კარტოფილის თავგადასავალი

სწრაფად მიპასუხეთ: კარტოფილის რამდენნაირი საჭმელი იცით? მოხარშული. შემწვარი. პიურე. კარტოფილის ფრი. კარტოფილი პაი...

როგორც არ უნდა მოიწადინოთ, ჩამოთვალოთ ყველა საჭმელი, რაც ამ ბოსტნეულისაგან მზადდება, ამის გაკეთება, უბრალოდ, შეუძლებელია. კულინართა მტკიცებით, თანამედროვე კარტოფილის მენიუ, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილ ორი ათასამდე სახის კერძს ითვლის, ნაირნაირი კულინარული სიახლეებით ყოველდღიურად იზრდება.

კარტოფილი სამართლიანად ითვლება ბოსტნეულის ოჯახის ყველაზე საპატიო წარმომადგენლად. მეტიც. იგი ქანდაკებებშიც კია „უკვდავყოფილი“. ასეთი მონუმენტები (უზარმაზარი ბოლქვების სახით) დგას გერმანიასა და რუმინეთში. კარტოფილის მუზეუმებია ბელგიაში, დანიაში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. მაგალითად, ვაშინგტონის მუზეუმში გამოფენილია კარტოფილის გაქვავებული ბოლქვები სამხრეთ ამერიკიდან (მათი ასაკი ოთხ ათას წელზე მეტია, თუმცა, დამტკიცებულია, რომ ინდოელები მას საკვებად 14 ათასი წლის წინათ ხმარობდნენ). როგორ მოხვდა კარტოფილი ევროპაში, ვის უნდა ვუთხრათ ამის გამო მადლობა, არაფერია ცნობილი. ერთი ვერსიით — ესპანელ, სხვა ვერსიით კი — ინგლისელ ზღვაოსნებს.

კარტოფილი პირველად აღწერეს XVI საუკუნის ერთ-ერთ ესპანურ წიგნში „პერუს ქრონიკა“. იგი დახასიათებულია, როგორც „განსაკუთრებული სახეობის მიწის კაკალი, რომელსაც ქერქი აქვს გადაფარებული“. თითქოს ამ გემრიელ და სიმაძღრის მომგვრელ „კაკალს“ წინ არაფერი ედგა, ძველ კონტინენტზე პოპულარული რომ გამხდარიყო, მაგრამ არა — თავდაპირველად ევროპელები მტრულად შეხვდნენ მას და შხამიანადაც კი გამოაცხადეს.

როგორც ამბობენ, რუსეთში ამ კულტურის გავრცელება პეტრე პირველთანაა დაკავშირებული. მას XVII საუკუნის ბოლოს ჰოლანდიიდან სამშობლოში კარტოფილით სავსე ტომრები გამოუგზავნია, მაგრამ თავდაპირველად რუსმა გლეხობამ იგი „ეშმაკის ვაშლად“ გამოაცხადა და არ თესავდა იმის შიშით, რომ სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში მოხვდებოდა.

საქართველოში კარტოფილი, ეტყობა, რუსეთიდანაა შემოსული. ამ კულტურის პირველი ნათესები მე-19 საუკუნის დასაწყისში თბილისის ახლო-მახლო სოფლებში გაჩნდა, საუკუნის შემდეგ კი კარტოფილის ფართობებმა — საქართველოში 7 ათას ჰექტარს მიაღწია.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა „მიწავაშლა“, თუნდაც „კაკალი“ წვალებით იკვლევდა გზას ევროპის ქვეყნებისკენ. დღეს კარტოფილი რეკლამას არ საჭიროებს. საქმე მარტო მის შესანიშნავ საგემოვნო თვისებებში როდია. დამტკიცებულია, რომ ამ მცენარის ბოლქვები სამკურნალო საშუალებაცაა — მასში ბევრია ვიტამინი, ცილები, მინერალური მარილები და ძვირფასი ამინომჟავები. ცოტამ თუ იცის, რომ კარტოფილის დიეტას უნიშნავენ მათ, ვისაც სახსრები და სისხლნაკლებობა აწუხებს, კარტოფილის წვენით კურნავენ სურავანდს და კუჭის ავადმყოფობას. შემწვარი ბოლქვები კი სასარგებლოა მათთვის, ვისაც გულსისხლძარღვოვანი ავადმყოფობა ჭირს.

მოამზადა
გურამ
პავლიაშვილმა.

???

ბანაკი ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პატრონაჟით დაბა ქობულეთში, 2005 წლის 3-დან 15 აგვისტოს ჩათვლით, გაიხსნა ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და მოზარდთა შემეცნებით-გამაჯანსაღებელი ბანაკი.

ღონისძიება ხორციელდება ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და მოზარდთა შემეცნებით-გამაჯანსაღებელი ქვეპროგრამის ფარგლებში, მოზარდთა ფიზიკური გაჯანსაღებისა და შემოქმედებითი დასვენების მიზნით.

პროგრამას ხელმძვანელობს სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის დეპარტამენტის აღმზრდელობითი სამმართველოს უფროსი ლელა ცქიტიშვილი, ხოლო კოორდინატორია აღმზრდელობითი სამმართველოს სპეციალისტი ნონა დოხნაძე.

ქობულეთის ბანაკში დაისვენებს საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების 80 აღსაზრდელი თბილისის № 1 საბავშვო სახლიდან, თბილისის რესპუბლიკური სამუსიკო საშუალო სკოლა-ინტერნატიდან, ქუთაისის სამუსიკო სკოლა-ინტერნატიდან, რუსთავის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლიდან, კოჯრის საბავშვო სახლიდან, თელავის სკოლა-ინტერნატიდან და ე. წ. „ფოსტერ-ოჯახებიდან“ (გაშვილებული ბავშვები).

მანამდე, 20-31 ივლისს, კურორტ აბასთუმანში მოეწყო 1 ნაკადის ბანაკი და მასში მონაწილეობდა ასევე 80 აღსაზრდელი ბათუმის, სურამის, მარტყოფის და სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის ბავშვთა სახლებიდან.

ინფორმაცია

დააკავეს ენერგოთაღლითები

ფინანსურმა პოლიციამ 5 აგვისტოს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ თანამშრომლები დააკავა: სს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ წყალტუბოს სერვისცენტრის ხელმძღვანელი კახაბერ ბაკურაძე, თერჯოლის ენერგოკომპანიის ექსპლუატაციის მენეჯერი ზურაბ იმნაძე, ბაღდათის ენერგოკომპანიის გასაღების სამსახურის უფროსი ავთანდილ ლომინაძე და ქუთაისის ენერგოკომპანიის კონტროლიორი საშა ლიკლიკაძე.

დაკავებულებს ბრალად ედებათ მოსახლეობიდან აკრეფილი ელექტროენერგიის საფასურისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხების მითვისება. აღსანიშნავია, რომ „გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ“ თანამშრომლების კანონდარღვევებზე მასალები ფინანსურ პოლიციას თავად გადაუგზავნა.

ჰესი სრული დატვირთვით გაისად ამუშავდება

„შაორჰესისთვის“ მოწყობილობები ავსტრიაში მზადდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ არჩილ ნიკოლეიშვილმა განუცხადა, ტურბინის მუშა თვლებისა და სხვა ძირითადი მოწყობილობების უვარგისობის გამო „შაორჰესის“ სიმძლავრე განახევრებულია.

მისივე თქმით, „ფოიტის“ მიერ დამზადებულ მოწყობილობებს ქართველი სპეციალისტები ავსტრიელი კოლეგების კონსულტაციების მიხედვით დაამონტაჟებენ. სამონტაჟო სამუშაოები მომავალ წელს გაგრძელდება. “მომავალ წელს „შაორჰესის“ რეაბილიტაციისთვის 4 390 000 ლარი იქნება საჭირო. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, „შაორჰესი“ სრული სიმძლავრით იმუშავებს და სისტემას 22 მეგავატი სიმძლავრე შეემატება“, — განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

სასამართლო პროცესი გადაიდო

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესი კვლავ გადაიდო.

ამის მიზეზი გახდა ახალი ადვოკატის თემურ ნემსაძის შუამდგომლობა, რომელმაც საქმის მასალების გასაცნობად კანონით მინიჭებული 30-დღიანი ვადა მოითხოვა.

პროცესზე პროკურორმა ეჭვი გამოთქვა, რომ მოლაშვილის ადვოკატები საქმის განხილვას ხელოვნურად აჭიანურებენ და ამ მიზნით, საქმის მასალების დამატებით გაცნობას იმიზეზებენ. ადვოკატის მოთხოვნა მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და 30 დღის ნაცვლად ადვოკატს ერთი კვირა მისცა.

მოსამართლის ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ბრალდებულმა სასამართლო დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა. დარბაზიდან გასვლამდე მოლაშვილმა განაცხადა, რომ „თუ ასე გაგრძელდება, იგი დაცვაზე უარს იტყვის და არც სასამართლო დარბაზში გამოცხადდება“. მოლაშვილის ადვოკატი მოსამართლის დღევანდელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს.

ინტერპრესნიუსი

ამინდი დღეს

5 აგვისტო	☼	)
თბილისი	33⁰	21⁰
ბათუმი	31⁰	22⁰
სოხუმი	33⁰	22⁰
ქუთაისი	34⁰	22⁰
თელავი	30⁰	20⁰

დღის კალენდარი 6 აგვისტოსთვის

☼ ამოდის 04.58, ჩადის 19.12
) ამოდის 05.52, ჩადის 20.11

წლის 218-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 147 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ხსენება წმიდა ილარიონ თვალელისა, გიორგი მთაწმინდელის მოძღვრისა (XI). მოწამე ქრისტინესი (300). კეთილმორწმუნეთა მოწამეთა ბორისისა და გლებისა, წმიდა ნათლისღებით რომანოზისა და დავითისა (1015).

დაიბადნენ:

1809 — ალფრედ ტენისონი, ინგლისელი პოეტი. გარდაიცვალა 1892 წელს.

1817 — ჯოვანი სკუდიერი, იტალიელი არქიტექტორი. გარდაიცვალა 1851 წელს. მისი პროექტით აშენდა თბილისში ყოფილი ვორონცოვის ხიდი.

1881 — ელიგზანდერ ფლემინგი, ინგლისელი მიკრობიოლოგი. აღმოაჩინა პენიცილინი და ლიზოციმი. ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1955 წელს.

1899 — აკაკი ვასაძე, მსახიობი, რეჟისორი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1978 წელს.

გარდაიცვალნენ:

1637 — ბენ ჯონსონი, ინგლისელი დრამატურგი.

1660 — დიეგო ველასკესი, ესპანელი მხატვარი.

1969 — თეოდორ ადორნო, ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი.

1978 — ედუარდ დარელ სთოუნი, ამერიკელი არქიტექტორი.

მოვლენები:

1497 წელი — ბრისტოლში დაბრუნდა ჯონ კაბოტის ექსპედიცია, რომელმაც აღმოაჩინა კანადა.

1825 წელი — ბოლივიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1914 წელი — ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს.

1926 წელი — 19 წლის გერტრუდა ედერლემ ქალთა შორის პირველმა გადაცურა ლა-მანშის სრუტე.

1945 წელი — ხიროსიმაზე ჩამოაგდეს ატომური ბომბი. დაიღუპა ათეული ათასობით ადამიანი.

1965 წელი — ინდოეთის ჯარები პაკისტანში შეიჭრნენ.

1996 წელი — NASA-მ განაცხადა, რომ მარსზე შეიძლება სიცოცხლე არსებობდეს.

1999 წელი — კომპანია „შელმა“ (ინგლისურ-ჰოლანდიური) და „პიეს-ჯიმ“ (ამერიკული) ხელი მოაწერეს ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობის ხელშეკრულებას.

ღირსსახსოვარი დღეები:

ხიროსიმის დღე — ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღე

ბოლივია — ეროვნული დღე.

საერთაშორისო დღე — მსოფლიო ექიმები მშვიდობისათვის.

არგენტინა — ბავშვის დღე.

არაბეთის გაერთიანებული ემირატები — პრეზიდენტის დღე.

მედიანიუსი

(მეთერთმეტე გვერდიდან)

ხიდებიანი მსოფლიო

სან ფრანცისკოს ხიდი

✱ მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს ხიდად ითვლება სიდნეი-ხარბორბრიჯი. ავსტრალიელები მას „ტანსაცმლის საკიდებელს“ უწოდებენ. თავისი ფორმის გამოისობით. იგი მსოფლიოში თავისი კატეგორიით ყველაზე განიერი — 48,8 მ. სიგანის — ხიდია. დღეში 160 ათას ავტომობილს ემსახურება. მისი ერთ-ერთი პილონი 135 მეტრის სიმაღლისაა და მასზე მოწყობილი მოედნიდან მთელი სიდნეი მოჩანს.

✱ ლონდონის ერთ-ერთი „სავიზიტო ბარათია“ ორი ნეოგოთიკური კოშკით დამშვენებული ტაუერ-ბრიჯი.

ბრუკლინის ხიდი

✱ ხის კონსტრუქციის ხიდები 27 საუკუნის წინათ ქვის ხიდებით შეცვალეს. პირველ „ხიდგამდებებად“ ითვლებიან უძველესი შუამდინარეთელი არქიტექტორები.

✱ ჩრდილოეთის იმ ქვეყნებში, რომლებიც „ყინვის სამეფოდ“ ითვლებიან, ქვისა და ხის ხიდებზე მეტად უპირატესობას ანიჭებდნენ „მოცურავე ხიდებს“, ანუ ბორნებს.

✱ ძველი რომაელები და ბერძნები აგებდნენ „აკვედუკებს“, რომლებსაც ამავდროულად ტრანსპორტისა და ხალხის გადასაადგილებლადაც იყენებდნენ. ზოგიერთი „აკვედუკი“ მრავალიარუსიანი, დაახლოებით 50 მეტრის სიმაღლის ხიდი იყო. ევროპაში რომაელები საუკეთესო ხიდმშენებლობად ითვლებოდნენ. უძველესი, დღევანდლამდის შემორჩენილი, ზოგიერთი ხიდის სიგრძე თითქმის კილომეტრს აღწევს.



ბოსფორის ხიდი

ხსოვნა

ღუტო გუგუშვილი

გარდაიცვალა ღუტო გუგუშვილი, მთაწმინდაზე დაბადებული და გაზრდილი რაინდი კაცი, რომელმაც პროფესიად ვაჟკაცობა და მთაწმინდელობა აირჩია და ორივეს სიცოცხლის ბოლომდე კაცურად უერთგულა. ოჯახის, მეგობრების უზომოდ მოყვარული, გულმართალი და ალალი, ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ შენმდობი. მისი ჯანსაღი სხეული ყოველთვის ჯანსაღი სულის სიძლიერეს ეთაყვანებოდა, ხოლო სულიერება და უფლის მორჩილება მისი ცხოვრების წესი იყო. უკურნებელი სენი შეეყარა, მაგრამ არ დაუკვნესია. საზღვარგარეთ თუ თბილისში აფორიაქებულ და გულდამძიმებულ ჭირისუფალ მეგობრებს თვითონ აწყნარებდა და ანუგეშებდა უკეთესი მომავლის იმედით, მაგრამ, ვაი, რომ ყველაფერს აქვს დასასრული...

ჩვენს ცნობიერებაში ღუტო დარჩება ადამიანად, რომელიც გვერდზე ყოფნით სიცოცხლეს გვილამაზებდა...

აღესრულა და სიკვდილის შიში გაგვიქარვა.

ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო ტკბილო ძმაო!

დიმა კოტეტიშვილი, ჯიმი ყიფიანი, შოთა შარაშენიძე, ილო გომართელი, გურამ ერგემლიძე, დემურ ყიფიანი.

თეატრალური ინსტიტუტის 1947 წლის IV კურსის გამოშვება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

ელენე ალექსანდრეს ასული ასლამაზაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 9 VIII, 15 სთ., მისამართი უზნაძის 11. გამოსვენება წმიდა ნიკოლოზის ეკლესიიდან.

დღევანდელი გაზეთი 12-გვერდიანია, შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 9 აგვისტოს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აიაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.